მასწავლებელი

2008 №1

 პროფესიული ჟურნალი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

6 „ჩვენი ხალხი და განათლება“

8 ინტერვიუ მინისტრთან

18 განათლების რეფორმა და მასწავლებლის უფლებები

26 14 აპრილი – დედაენის დღე

48 გენიოსი – გენები თუ დაუღალავი შრომა

51 სინგაპური – წარმატების საიდუმლო

63 მასწავლებლისთვის საინტერესო წიგნები

ჟურნალი **„მასწავლებელი“**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის №52
ტელ.: (99532) 95 58 36
(99532) 91 14 53
ფაქსი: (99532) 95 58 36
ელ.ფოსტა: info@tpdc.ge
ვებ-გვერდი: www@tpdc.ge

ISSN 1987-6149

ჟურნალის ყდაზე გამოყენებულია *ეგონ შიელის* ნამუშევარი

ფოტოების ავტორები: *მალხაზ მაჭავარიანი, ზურაბ ქურციკიძე, დავით მძინარიშვილი, პაატა ვარდანაშვილი, ნუცა კობახიძე, სოფიო გორგოძე, თეა ზინზიბაძე, თინათინ მოსიაშვილი, ქეთევან კვიტატიანი, ირაკლი ჭინჭარაული*

დიზაინი და დაკაბადონება: *გიორგი ბაგრატიონი*

სტილი და კორექტურა: *ირმა ტაველიძე და მანანა უთურგაიძე*

ჟურნალის რედკოლეგია: *სოფიო გორგოძე, ლელა საბნიაშვილი, ნუცა კობახიძე, ნათია ნაცვლიშვილი, პაატა სარიშვილი*

მთავარი რედაქტორი: *თინათინ მოსიაშვილი*

პროექტის ავტორი: *ნუცა კობახიძე*

ძვირფასო მასწავლებლებო,

სიამოვნებით წარმოგიდგენთ ჟურნალ „მასწავლებლის“ პირველ ნომერს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით შეიქმნა. ჟურნალის სახელი შემთხვევით არ აგვირჩევია: იგი გამოცემის მთავარ ადრესატზე მიანიშნებს, გარდა ამისა, ჟურნალი თავად იქნება ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს გაგაცნობთ და თქვენთვის საინტერესო თემებს გააშუქებს.

ჟურნალის გამოცემით გვსურს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ მასწავლებელი და შევახსენოთ საზოგადოებას რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროფესია. სამწუხარო რეალობაა, რომ მასწავლებლობა დღეს პრესტიჟული აღარ არის. მასწავლებლების უმრავლესობა თავს სოციალურად დაუცველად გრძნობს, მათი პროფესია საზოგადოების თვალში ძველებურად აღარ ფასობს, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებიც ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სწორედ იმ მიზნით დაარსდა, რომ ამ პრობლემების აღმოფხვრაზე იზრუნოს, რათა მასწავლებლობა მომავალი თაობებისთვის მიმზიდველი და სასურველი გახდეს.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ჟურნალი მხოლოდ ერთ-ერთი ინიციატივაა, რომელიც მასწავლებლებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა. ყველა ჩვენს ინიციატივას საფუძვლად უდევს დიდი სურვილი, რომ მასწავლებლები საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ელიტის ნაწილი და ძლიერი სახელმწიფოს ჯანსაღი დასაყრდენი გახდნენ.

გვჯერა, რომ თქვენი და საზოგადოების მხარდაჭერით, ამ სურვილის რეალობად ქცევა შესაძლებელია.

პატივისცემით,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ცენტრის დირექტორი,

სოფიო გორგოძე

რედაქტორის სვეტი

„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აცხადებს კონკურსს მასწავლებელთა ჟურნალის მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე", – ეს განცხადება ორი თვის წინ წავიკითხე. კონკურსში მონაწილეობა გადავწყვიტე, რადგან ჩემთვის, ჟურნალისტური მოღვაწეობის თითქმის 14-წლიან პერიოდში, განათლების პრობლემატიკა ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე მასწავლებლებს ვიცნობ და ვიფიქრე, რომ საინტერესო ჟურნალის გამოცემას შევძლებდით.

გაზეთში სტატიების წერა კულტურისა და განათლების საკითხების გაშუქებით დავიწყე და ეს შემთხვევით არ მომხდარა: უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, შემოდგომის მშვენიერ დღეს, ერთ-ერთი სკოლის წარმომადგენელი მესტუმრა. სკოლა თურმე გეოგრაფიის მასწავლებელს ეძებდა.

„ვიპოვე მასწავლებელი", – აღნიშნა დირექტორმა მერაბ კობერიძემ, თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი, მის წინადადებას დავთანხმდებოდი თუ არა, სკოლაში ინტერესმა უფრო მომიყვანა, ვიდრე სამსახურის პოვნის სურვილმა. მხოლოდ ერთი მასწავლებელი გვყავს და გეოგრაფიის გაკვეთილზე ბავშვებს ეზოში ვუშვებთო, მითხრა დირექტორმა და... ასე გავხდი თბილისის 178-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

იმავე დღეს გეოგრაფიის კაბინეტიც მაჩვენეს, თუმცა „კაბინეტი" ხმამაღლა ნათქვამი აღმოჩნდა: ოთახში არც მერხი იდგა, არც სკამი, რუკა და თვალსაჩინოებაც არსად ჩანდა. მინების მაგივრად, ფანჯრებზე ფანერები გაეკრათ. შევცბი, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა...

საკლასო ოთახი მე და ჩემმა მოსწავლეებმა გავარემონტეთ, მერხები და სკამები სხვა კლასებმა შემოგვწირეს, რუკებისა და თვალსაჩინოების მოძიებაში მეგობრები დამეხმარნენ.

რატომ ვიხსენებ ამ ყველაფერს? 90-იანი წლების შუა ხანები იყო, ყველა სკოლას ჰქონდა პრობლემები: არ თბებოდა შენობები, აღარ შემოდიოდა ინვენტარი, კლასში მხოლოდ რამდენიმე ბავშვს ჰქონდა სახელმძღვანელო, მასწავლებლებს ხელფასი ტრანსპორტით მგზავრობისთვისაც არ ჰყოფნიდათ და სამსახურს ტოვებდნენ.

ორი წლის მერე მეც წამოვედი სკოლიდან: ასპირანტურაში სწავლა, ყოველდღიურ გაზეთსა და სკოლაში სრული დატვირთვითი მუშაობა შეუთავსებელი აღმოჩნდა. წამოვედი, ჩემი მეგობრები კი დღესაც მუშაობენ სკოლაში. მე მიღებული გამოცდილება განათლების პრობლემებზე წერაში დამეხმარა.

„...ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!" – ჯერ კიდევ 120 წლის წინ წერდა ილია ჭავჭავაძე წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება" და ეს წერილი შემთხვევით არ დაგვიბეჭდავს ჟურნალის ამ ნომერში.

გარჯასა და მხნეობას ითხოვს ცხოვრება და საზოგადოება განათლებული ადამიანისაგან. ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც.

მე კი მიმაჩნია, რომ ქვეყანა, რომელიც მომავალზე ფიქრობს, პირველ ყოვლისა, განათლებაზე, სკოლასა და მასწავლებელზე უნდა ზრუნავდეს.

თქვენ ახლა ჟურნალ „მასწავლებლის" პირველი ნომერი გიჭირავთ ხელში. მასწავლებლებმა სხვებზე უკეთ იცით, რომ პირველი გაკვეთილი ყოველთვის წარმატებული არ არის. ამიტომ მოგვიტევეთ, თუ ნომერი ისეთი არ გამოვიდა, როგორიც გვსურდა. გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები, მოგვწერეთ შენიშვნები.

გვინდა, „მასწავლებელი" თითოეულ მასწავლებლამდე მოვიდეს და თქვენი ჟურნალი გახდეს.

ლინა მოსიაშვილი

შინაარსი

1. **მოკლედ.** სიახლეები განათლების სფეროში 4-5
2. **ისტორიის ფურცლები.** ილია ჭავჭავაძე. „ჩვენი ხალხი და განათლება“ 6-7
3. როგორი უნდა იყოს „მასწავლებელი“? 7
4. **ინტერვიუ.** გიორგი ნოდია: „სწავლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ცოცხალი ურთიერთობაა“ 8-11
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი — მიზნები და ინიციატივები 12-15
6. **სტატისტიკა.** სტატისტიკური მონაცემები მასწავლებელთა შესახებ 16-17
7. **ნომრის თემა – მრგვალი მაგიდა.** განათლების რეფორმა და მასწავლებლის უფლებები 18-21
8. **პორტრეტი.** სკოლის დირექტორობიდან სახალხო დამცველამდე 22-25
9. 14 აპრილი – დედაენის დღე 26
10. „ქართულის სწავლა მინდა, ნო“. . . 27-28
11. რეპორტაჟი იორმუღანლოდან 28-29
12. საინტერესო ამბები უცხოეთიდან 30
13. კითხვარი მასწავლებლისთვის 31
14. სახალისო დავალებები 32-34
15. **ფსიქოლოგი გვირჩევს.** ნათელა იმედაძე: „დაანახეთ, რა იქნება უკეთესი მისთვის“. . . 35-37
16. **ერთი სკოლა.** იქ, სადაც ვერტფრენს და გაზაფხულს იმედით ელიან 38-41
17. **პროფესია – მასწავლებელი.**
    „ჩემო განათლების მინისტრო, მარინა კუხალაშვილს ყველაფერი ესმის“. . . 42-43
    ირინა სიხარულიძე: „მასწავლებლობა მაგალითს ნიშნავს“ 44-45
18. **ერთი გაკვეთილი.** გადატვირთული გზები და ალბათობის თეორია 46-47
19. **გამოხმაურება სტატიაზე.** გენიოსი – გენები თუ დაუღალავი შრომა 48-50
20. **უცხოური გამოცდილება.** სინგაპური – წარმატების საიდუმლო 51-53
21. **ჩემი მასწავლებელი.** 54-57
    თინათინ ყაუხჩიშვილი
    გიორგი ლობჟანიძე
    რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძე
22. **მასწავლებლების შემოქმედება.** რუსუდან კაიშაური 58-59
23. **მოსაზრება.** მასწავლებლის წიგნის თარო 60-62
24. ახალი სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის 63
25. მასწავლებლებისთვის საინტერესო წიგნები 64

14 აპრილი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: სწავლა, სწავლება და შეფასება".

იმავე დღეს, 14 აპრილს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ნოდია ქ. მარნეულის მე-6 საჯარო სკოლას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ის, სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მარნეულის რაიონის პედაგოგებს შეხვდა.

ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა მოსწავლეებმა ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს, შეასრულეს ქართული სიმღერები და ცეკვები.

10-11 აპრილი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გიორგი ნოდია ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ქობულეთსა და ბათუმში იმყოფებოდა. მინისტრმა მოინახულა ქობულეთის პროფესიული სწავლების ცენტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, საზღვაო აკადემია. შეხვდა ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-თანამშრომლებს და ვიზიტის ბოლოს, ბათუმის მე-8 საჯარო სკოლაში – რეგიონის პედაგოგებს.

8 აპრილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს სკოლებისათვის წიგნებისა და სპორტული ინვენტარის უფასოდ მიწოდებას იწყებს. ამის შესახებ მინისტრმა თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

4 აპრილი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა პროგრამა „ცოდნის კარის" პრეზენტაცია. პროგრამა ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის დასაფინანსებლად შეღავათიანი სესხით ისარგებლონ. ინფორმაცია სესხის გაცემის პირობების შესახებ სამინისტროს ვებ-გვერდზეა (www.mes.gov.ge) გამოქვეყნებული.

2 აპრილი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ნოდიამ, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა, ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა ახალგორში, სოფელ საძეგურის სკოლა მოინახულეს. საძეგურის საბაზო სკოლა 2007 წელს მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის" მხარდაჭერით აშენდა.

1 აპრილი

2008 წლის 1 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ნოდია თბილისის 22-ე საჯარო სკოლაში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პედაგოგებს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სამინისტროს სხვა წარმომადგენლები: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი სიმონ ჯანაშია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფიო გორგოძე, რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი თოდუა, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ქეთევან ჩაჩხიანი, გამოცდების ეროვნული ცენტრის სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსი მაია გაბუნია. მინისტრმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა პედაგოგთა შეკითხვებს უპასუხეს.

20 მარტს თბილისის 189-ე საჯარო სკოლაში მინისტრი ვაჟა-საბურთალოს რაიონის სკოლების პედაგოგებს შეხვდა.

28 მარტი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში „სკოლებში ძალადობის შემცირების პროგრამის“ პრეზენტაცია გაიმართა. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით სამინისტრო ევროპაში ადაპტირებული პროგრამის ამოქმედებას იწყებს.

26 მარტი

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა სოციალურ მუშაკებთან. ბავშვზე ზრუნვის რეფორმის ფარგლებში 2100-მდე ბავშვი ოჯახს დაუბრუნდა.

25 მარტი

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილეს საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის ინიციატორის, კომიტეტის თავმჯდომარის, ნოდარ გრიგალაშვილის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მასწავლებელს შორის ხელშეკრულების კონკრეტული ვადით დადების ვალდებულების გაუქმებას, სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და უფლებამოსილების აღდგენის საკითხების დაზუსტებას, განიხილავს სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებლისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და სკოლებში დირექტორის მოადგილის თანამდებობის გაუქმების საკითხს. აგრეთვე, საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ შენობაში ფუნქციონირების შესაძლებლობის ვადის გაზრდასა და 2013 წლამდე მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად ბარიერების მოხსნას. გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება ენიჭება, დაამტკიცოს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ავთენტურობის წესი.

14 მარტი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სახელმძღვანელო „თავთავის“ მესამე დონის პრეზენტაცია გაიმართა

„თავთავი“ არაქართულენოვანი სკოლების იმ მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც ქართულ ენას ეუფლებიან. ხუთდონიანი სახელმძღვანელოს გამოცემა 2005 წელს დაიწყო და 2010 წელს დასრულდება.

„თავთავი“ უფასოდ ურიგდებათ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

7 მარტი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში ქვეყნის ყველა რეგიონის 250-მდე პედაგოგს შეხვდა. განათლების რეფორმის მიმდინარეობა და სკოლებში არსებული ვითარება – ასეთი იყო შეხვედრის თემა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი ნოდიას თქმით, განათლების რეფორმა ახალ ეტაპზეა, როდესაც განათლების მთელი სისტემა ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგზე, პედაგოგთა გადამზადებაზე, სოციალურ პროგრამებზე, მოსწავლეთა წახალისებაზე.

პრეზიდენტის ინიციატივით გადაისინჯება ისეთი საკითხები, როგორიცაა: მასწავლებელთა ხელშეკრულებები, პედაგოგთა სერტიფიცირება, საჯარო სკოლების დაფინანსების საკითხები, სკოლის დირექტორების არჩევის წესი, ასაკოვანი პედაგოგებისთვის ოპტიმალური საპენსიო პაკეტის შექმნა, პედაგოგთა ხელფასების ზრდა, სკოლების ლიცენზირება და აკრედიტაცია, ოპტიმიზაცია, სასკოლო ბიბლიოთეკები, სკოლების ინტერნეტიზაცია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საგამოცდო ტესტების გამარტივება.

28 თებერვალი

გამოვიდა სამეცნიერო-მეთოდური პროფილის ახალი ყოველკვარტალური ჟურნალი „ქართული სიტყვა“, რომელიც განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, სკოლის დამამათავრებელი კლასების მოსწავლეებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის.

26 თებერვალი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ნოდია ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლაში ზუგდიდელ და გალელ პედაგოგებს შეხვდა. შეხვედრაზე იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლებიც რეგიონში მცხოვრებ პედაგოგებს აწუხებთ.

გამოყენებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურის, ასევე საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაცია

ჩვენი ხალხი და განათლება

ილია ჭავჭავაძე

ტფილისი, 2 მაისი 1886 წ.

უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალრბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰლრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმამაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... გადიკითხეთ ყურადღებით გაზეთებში ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა მხარედამ მოწერილი ამბები და ჰნახავთ...

ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდე სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?..

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა. ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? აღებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიციცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს – სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა – ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს რაგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადავს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს

ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისთვისაო. ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!...

■

როგორი უნდა იყოს „მასწავლებელი"?

თამაზ ჭილაძე, მწერალი: „მივესალმები ახალ ჟურნალს! კაცობრიობას დღემდე არ მოუგონია მოძღვარზე, მასწავლებელზე მაღალი და საპატიო წოდება. მასწავლებლობა ხომ უდიდეს პატივთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მომავლის ადამიანის აღზრდას უკავშირდება. ამიტომაც სიხარულით მივესალმები ახალი ჟურნალის დაარსებას, რომელიც, იმედია, მიეხმარება, მხარში ამოუდგება ჩვენს შესანიშნავ, საქმესშეწირულ პედაგოგებს თავიანთი უმნიშვნელოვანესი და უკეთილშობილესი მოვალეობის შესრულების დროს.

გისურვებთ წარმატებებს!"

გუჩა კვარაცხელია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: „მივესალმები, თუ ეს ჟურნალი მასწავლებლებს ინფორმაციას მიაწვდის პედაგოგიკაში არსებული სიახლეების შესახებ. მიმაჩნია, რომ ადგილი უნდა დაუთმოთ სწავლისა და აღზრდის მარადიულ პრობლემებსაც. მით უმეტეს, რომ ეს საკითხები ახლა, ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გართულებულია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, შინაარსს რა ფორმით შესთავაზებთ მკითხველს.

კარგი იქნება, ზოგიერთ რამეს ძველი პედაგოგიური ჟურნალების გამოცდილებიდან თუ გამოიყენებთ. და ბოლოს, აუცილებელია უკუკავშირი – მასწავლებელს უნდა შეეძლოს, თავისი ხმა მიაწვდინოს ჟურნალს, რომელიც მისთვის გამოდის".

მანანა გიგინეიშვილი, პროფესორი, ლიტერატორი, მთარგმნელი: „ჩემი დიდი სურვილი იქნება, ამ ჟურნალმა მასწავლებელსაც და მოსწავლესაც უბიძგოს, მეტად დაფიქრდნენ ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობაზე, მისი შენარჩუნებისა და გაფრთხილების საკითხებზე... კარგი იქნება, თუ დიდ ყურადღებას დაუთმობთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის უფრო ღრმად და სერიოზულად სწავლების საქმეს".

ოტია იოსელიანი, მწერალი: „მივესალმები ამ სიახლეს, რადგან ჩვენს მასწავლებლებს დღემდე თითქმის არ გააჩნიათ, თუმცა ძალიან სჭირდებათ გაზეთი ან ჟურნალი, სადაც მათთვის საჭირო საკითხები გაშუქდება".

„სწავლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ცოცხალი ურთიერთობაა“

ნუცა კობახიძე

გიორგი (გია) ნოდია პროფესიით ფილოსოფოსია. წლების განმავლობაში ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში სოციალური ფილოსოფიის მიმართულებით მუშაობდა. 1992 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ დააარსა, რომლის ძირითადი პრიორიტეტები საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება და პოლიტიკური კვლევების ჩატარება გახლავთ. წლების მანძილზე გია ნოდია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა, ბოლო დროს კი ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა. 2008 წლის იანვარში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გახდა.

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, განათლების მაღალ სტანდარტებს გულისხმობს. რას ფიქრობს გია ნოდია სფეროში არსებულ პრობლემებზე? როგორია პრობლემების გადაჭრის მისეული ხედვა? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მასწავლებელი მეტად იყოს დაცული? – მრავალმხრივ საინტერესო, აქტუალურ საკითხებზე „მასწავლებელი“ განათლების მინისტრს ესაუბრა.

– ბატონო გია, სანამ მინისტრი გახდებოდით, განათლების სფეროში მოღვაწეობდით. როგორ იყო სფეროში მიმდინარე პროცესების თქვენეული ხედვა სამინისტროში მოსვლამდე და რა მდგომარეობა დაგხვდათ უწყებაში?

– ვერ ვიტყვი, რომ სამინისტროში მოსვლის შემდეგ რადიკალურად შემეცვალა ხედვა განათლების სისტემის მდგომარეობაზე. ბუნებრივია, როცა მოდიხარ, ძალიან ბევრ სხვადასხვა დეტალს ეცნობი, მაგრამ პოზიცია პრინციპულად არ შემცვლია. ბოლო წლების მანძილზე განათლების სისტემაში ტექტონური ძვრები მოხდა, რის შედეგადაც სისტემის ზოგადი სტრუქტურა, შეიძლება ითქვას, უფრო ლოგიკური გახდა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია. ფაქტობრივად, ძალიან ბევრი და კონკრეტული პრობლემაა გადასაჭრელი. ეს ხედვა მქონდა თავიდანვე. ასე ჩანდა გარედან და შიგნიდანაც ასე ჩანს.

– ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში რა ძირითად პრობლემებს ხედავთ და რა იქნება თქვენი პრიორიტეტები ამ მიმართულებით?

– სკოლაში ძალიან ბევრი პრობლემაა, თუმცა შეიძლება ორი ძირითადი გამოიყოს: პირველი მმართველობის ახალი სისტემაა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის კარგად შეთვისებული. სისტემის დეცენტრალიზაცია მოხდა, მაგრამ სკოლები ყველანაირი პრობლემის თუ კონფლიქტის გადაჭრისას ისევ სამინისტროს გადაწყვეტილებას ელიან. ბევრ სკოლაში სამეურვეო საბჭო ჯერ კიდევ პასიურია, ან ზედმეტად აქტიური იმ კუთხით, რომ მწვავედ უპირისპირდებიან დირექტორს. როგორც ჩანს, ეს აქტიურობის ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ. საბჭოს წევრთა უმრავლესობას საკუთარი ფუნქცია არ გაუაზრებია. შეიძლება ითქვას, რომ სამეურვეო საბჭო თავისი არსით პრაქტიკულად არ ჩამოყალიბებულა. იურიდიულად და ფორმალურად კი დასრულდა ახალ სისტემაზე გადასვლა, მაგრამ სკოლის მართვის სისტემა მაინც დაუსრულებელია. თუმცა მთა-

ვარი პრობლემა ეს არ არის. სკოლაში არაფერი მომხდარა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ხშირად ჩივიან, რომ სწავლის ხარისხი ძალიან დაბალია. შეიძლება, ეს ხანდახან გაზვიადებულია, მაგრამ გასარკვევი და კარგად გასააზრებელია, რით არის ეს გამოწვეული – მასწავლებლების პრობლემაა, სახელმძღვანელოების თუ ახალი სისტემის მიმართ შეუგუებლობის? იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სწავლის ხარისხის ამაღლება, სხვადასხვა აზრი არსებობს.

– შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ნაწილს (მათ შორის, მასწავლებლების ნაწილსაც) რეფორმების მიმართ საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ რეფორმების მიმართ მეტი ნდობა და მხარდაჭერა გაჩნდეს?

– ჯერ ერთი, უნდა შევაფასოთ რეფორმები, რომლებიც გატარდა და თუ რომელიმე რეფორმის კურსი შესწორება სჭირდება, დავაზუსტოთ. შეფასებისა და გადაფასების პროცესი ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური მონაწილეობით უნდა მოხდეს – იქნებიან ეს მშობლები, მასწავლებლები თუ მოსწავლეები.

თუმცა უნდა ითქვას, რომ სერიოზული რეფორმების გატარება ბუნებით ისეთ კონსერვატიულ ორგანიზმში, როგორიც სკოლაა, ყოველთვის ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იდეალური და ცალსახად აუცილებელი რეფორმაა, ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა მაინც იარსებებს. ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

– როგორ ფიქრობთ, ასეთი აღქმა იმანაც ხომ არ განაპირობა, რომ რეფორმის შინაარსი საზოგადოებას დროულად ვერ აუხსნეს?

– რა თქმა უნდა, რეფორმის არსის ასახსნელად მეტი ძალისხმევაა საჭირო. ზოგჯერ ამხსნელთა ნაკლებობაცაა: საკმაოდ ბევრი ადამიანი უნდა გვყავდეს, რომლებსაც კარგად ესმით რეფორმის შინაარსი და ძირითადი იდეა.

საქართველოში, ამ სფეროშიც და სხვაგანაც, რეფორმატორული ჯგუფი, როგორც წესი, მცირერიცხოვანია. ხშირად რესურსი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანებს ესაუბრო. სამინისტროს ერთ-ერთი ახალი ინიციატივა სწორედ მობილური ჯგუფის შექმნას ითვალისწინებს. ჯგუფის წევრები რეგიონებში ივლიან და პირადად აუხსნიან დირექტორებს, სკოლის ადმინისტრაციას თუ სხვა ადამიანებს რეფორმებისა და მისი ძირითადი იდეების კონკრეტულ დეტალებს.

– „მასწავლებელი“ სწორედ ამ იდეას ემსახურება. გვინდა, ჩვენი სათქმელი მასწავლებლებამდე მივიტანოთ, ვუთხრათ მათ, რას და როგორ ვაკეთებთ, პასუხი გავცეთ მათ შეკითხვებს.

– ჟურნალი ერთ-ერთი აუცილებელი და ძალიან კარგი ფორმაა, ბევრი სხვა ფორმაც უნდა არსებობდეს.

– 7 მარტს პრეზიდენტთან და თქვენთან მასწავლებლების შეხვედრისას განსაკუთრებულად გამახვილდა ყურადღება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. კონკრეტულად რას გეგმავს სამინისტრო ამ მიმართულებით?

– პრეზიდენტის გამოსვლა ბევრმა არასწორად გაიგო. ბევრმა მიიჩნია, რომ მასწავლებლების სერტიფიცირება აღარ მოხდებოდა. ეს პრეზიდენტს არ უთქვამს და არც უგულისხმია. **მასწავლებელთა სერტიფიცირება აუცილებელია, იმიტომ რომ ეს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ფორმალური დადასტურება, სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარებაა.** ამავე დროს, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ეს პროცესი მასწავლებლისთვის ნაკლებად მტკივნეული იყოს, ფსიქოლოგიურად და ფინანსურადაც ნაკლები დისკომფორტი შევუქმნათ. სერტიფიცირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ მასწავლებლებში, ერთი მხრივ, შიში გამოიწვია, მეორე მხრივ, ფინანსური პრობლემებიც წარმოშვა. გაჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებიც მასწავლებლებს ფასიან კურსებს სთავაზობენ. თუ მასწავლებელთა შემოსავალს გავითვალისწინებთ, ფასიანი კურსები მათთვის მძიმე ტვირთი აღმოჩნდება. **გადავწყვიტეთ: სახელმწიფო მაქსიმალურად შეეცდება, საკუთარ თავზე აიღოს მასწავლებელთა გადამზადების ხარჯები.** თუ მისგან მაღალ პროფესიულ სტანდარტებს მოითხოვს, სახელმწიფომ ისეთი პირობებიც უნდა შექმნას, რომ მასწავლებელს მაღალი სტანდარტების მიღწევა შეეძლოს, მით უმეტეს, თუ მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ძალიან დაბალია. ახლა გადამზადების მექანიზმები იქმნება. სამინისტროს დახმარებით მასწავლებელი ამ პროგრამებს გაივლის. გარდა ამისა, ვფიქრობ, იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც წარმატებით გაივლიან სერტიფიცირებას, წახალისების დამატებითი ფორმები უნდა შეიქმნას.

– იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიცირება 2010 წელს დაიწყება, ყველა მასწავლებელი მოასწრებს გადამზადების პროგრამების გავლას?

– სერთიფიცირება არ არის ერთწლიანი პროცესი. ჩვენ ვგეგმავთ, 2010 წელს დავიწყოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2010 წელსვე

დამთავრდება. გვესმის, რომ პირველივე წელს ყველა მასწავლებელი ვერ გავა ტესტირებაზე. პირველი ცდა ზოგიერთისთვის შეიძლება წარუმატებელი იყოს, მაგრამ მას საშუალება ექნება მომდევნო წლებში განმეორებით გაიაროს სერტიფიცირება.

– განათლების რეფორმის ფარგლებში ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მასწავლებლებს მაინც ისეთი განცდა გაუჩნდათ, რომ სახელმწიფო სათანადოდ ვერ ზრუნავს მათზე და მათ პროფესიას ვერ აფასებს. რა კონკრეტული გეგმები არსებობს მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

– პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ხელფასის საკითხია. გახსოვთ, რეფორმის პირველი წლები როგორი მტკივნეული და ფსიქოლოგიურად არაკომფორტული იყო მასწავლებლებისთვის, იმიტომ რომ განათლების სისტემაში გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. არავინ იყო დარწმუნებული, რომ შეინარჩუნებდა სამუშაო ადგილს. ბევრმა პედაგოგმა დაკარგა კიდეც სამუშაო. ასეთ პირობებში, ალბათ საჭირო იყო, სახელმწიფოს მასწავლებელთა ხელფასები სწრაფად გაეზარდა. ბოლო თვეებში შრომის ანაზღაურების ზრდა შედარებით დაჩქარდა. **მინისტრთა კაბინეტის წევრების საერთო აზრით, მასწავლებელთა ხელფასების ზრდა უახლოესი წლების პრიორიტეტი იქნება.**

გვესმის, რომ მასწავლებლობა არც ერთ ქვეყანაში არ არის მაღალანაზღაურებადი პროფესია, მაგრამ, სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შედარებით, მასწავლებელთა ხელფასის ზრდა უფრო სწრაფად უნდა მოხდეს. გარდა ამისა, მასწავლებლების წახალისების სხვა ფორმებიც უნდა არსებობდეს. ამ შემთხვევაში, ჯანმრთელობის დაზღვევის ან ელექტროენერგიის ვაუჩერებს არ ვგულისხმობ. მთავარია, კარგი მასწავლებლის დაფასების ფორმები არსებობდეს. საპრეზიდენტო 200 ლარიანი სტიპენდია ერთ-ერთ ასეთ ფორმად შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ სხვა რამის მოფიქრებაც შეიძლება. როცა მასწავლებელი კარგად მუშაობს, საზოგადოებამ ეს უნდა დაინახოს, უნდა უთხრას მასწავლებელს: გმადლობ, რომ კარგად იმუშავე. ასეთი დამოკიდებულება ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანია, რასაც შეიძლება მატერიალური გამოხატულებაც მოვუძებნოთ.

– მართლაც, მასწავლებელთა ანაზღაურება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, ამერიკაში ახლახან ჩატარებული კვლევის მიხედვით, მასწავლებელთა 16 %, სკოლის გარდა, ერთ სხვა ადგილას მაინც მუშაობს, რათა თავი ირჩინოს.

– დიახ, მასწავლებლობა ერთგვარი მოწოდებაც არის. თუ ადამიანი კარგი მასწავლებელია, ეს მძიმე, მაგრამ სასიამოვნო შრომაა. როგორც აღვნიშნეთ, მასწავლებლის პროფესია არც ერთ ქვეყანაში არ არის მაღალანაზღაურებადი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული და მორალურად დაფასებული იყოს.

– ბოლო დროს ბავშვთა უფლებების დაცვაზე ბევრს საუბრობენ და გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა ამ მიმართულებით. მასწავლებლები კი ჩივიან, რომ მათ უფლებებს სათანადო ყურადღება არ ეთმობა. თქვენი აზრით, რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, რომ ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან თუ მშობლებთან ურთიერთობისას მასწავლებლის უფლებები დაცული იყოს?

– თავისთავად, მიდგომა, რომ ბავშვი რეფორმის ყურადღების ცენტრშია, სამართლიანია. მასწავლებლის უფლებების დაცვისას რაღაცნაირად ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ. ბავშვი დაცული უნდა იყოს ცუდი მასწავლებლისგან, თუ ასეთი არსებობს და ამავე დროს, მასწავლებლის უფლებებიც უნდა დავიცვათ.

ბოლო წლებში სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან გაჩნდა პრობლემები: ზოგჯერ დირექტორები უფლებებს გადაამეტებდნენ ხოლმე და მასწავლებლებს პირადი ანგარიშსწორების, სიმპათიისა თუ ანტიპათიის საფუძველზე ათავისუფლებდნენ. ჩვენ გარკვეულ შეზღუდვებს ვამზადებთ საიმისოდ, რომ სერიოზული დასაბუთების გარეშე მასწავლებლის სამუშაო ადგილიდან გათავისუფლება შეუძლებელი იყოს. როგორც აღვნიშნე, ოქროს შუალედი უნდა დავიცვათ. არაკეთილსინდისიერი თუ არაკომპეტენტური მასწავლებელიც ზედმეტად დაცულად არ უნდა გრძნობდეს თავს.

– მინდა, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების შესახებ გკითხოთ. რა გეგმები აქვს სამინისტროს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მომუშავე მასწავლებლებთან დაკავშირებით?

– რეფორმა ყველა სკოლისთვის ტარდება, ეს არ არის ქართულენოვანი სკოლების თავისებურება. არაქართულენოვან სკოლებში პრობლემა ის არის, რომ იქ უფრო გვიან მიდის ინფორმაცია ცვლილებების შესახებ. ამისთვის დამატებითი ძალისხმევაა საჭირო. არაქართულენოვანი სკოლები, ქართულენოვან სკოლებთან შედარებით, ნაკლებად ასრულებენ იმ ამოცანას, რაც მათ უნდა შეასრულონ. ფაქტობრივად, ისინი ვერ ამზადებენ საქართველოს სრულყოფილ მოქალაქეებს, ის, რომ არაქართულენოვანი მო-

ქალაქეები ქართულ ენას ვერ ფლობენ, მათი ბრალი არ არის. მანამდე სკოლას არ ჰქონდათ ასეთი ამოცანა, არც – სათანადო რესურსი. ახლა დამატებითი რესურსების გამოძებნა გვჭირდება, რომ სკოლები ამ თვალსაზრისით განვითარდნენ. კონცეპტუალურად, ორენოვანი განათლების გზით უნდა წავიდეთ: ერთი მხრივ, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მშობლიურ ენაზე ისწავლონ, რათა არ დაკარგონ ეს ენა. ამავე დროს, ისინი სრულყოფილად დაეუფლებინ ქართულ ენას. ამისთვის საჭიროა სასწავლო პროგრამების შეცვლა, რადგან არსებული პროგრამები არაეფექტურია: ქართულ ენას, ელემენტარულად, მეტი საათი უნდა დაეთმოს. ამავე დროს, არაქართულენოვან სკოლებს უნდა ჰყავდეთ კადრები, მასწავლებლები, რომლებიც ქართულ ენაზე სწავლებას შეძლებენ. შეუძლებელია ეს რთული პრობლემა ერთ-ორ წელიწადში გადაწყდეს. სამწუხაროდ, პროგრამები, რომლებიც ქართული ენის მასწავლებლებისთვის არსებობდა, კერძოდ, სპეციალური გაგზავნის პროგრამები, მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაშია გამართლებული.

მთავარია, ადგილზე მოვამზადოთ მასწავლებლები. რა თქმა უნდა, ამას წლები, სოციალური სტიპენდიები, მატერიალური წახალისება სჭირდება. მასწავლებლებად ადგილობრივი კადრები უნდა მოვამზადოთ, რომლებიც შეძლებენ, ქართულ ენაზე ასწავლონ საკუთარ რეგიონში.

– როგორია სახელმწიფო პოლიტიკა, რა ენაზე გაივლიან არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები სერტიფიცირებას?

– ამ ეტაპზე ერთადერთი რეალისტური მიდგომაა, რომ მათ სერტიფიცირება მშობლიურ ენაზე გაიარონ. სკოლის დირექტორების შემთხვევა ცოტა განსხვავებული იყო: დირექტორს ბევრი საქმე აქვს სკოლის გარეთ და მას ქართული ენის ცოდნა სჭირდება. მასწავლებელს, რომელიც, მაგალითად, ბიოლოგიას სომხურად ასწავლის, პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად არ სჭირდება ქართული ენის ცოდნა. სასურველია, სახელმწიფო ენა ყველა მოქალაქემ იცოდეს, მაგრამ წარმოუდგენელია, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებმა, რომლებმაც ქართული ენა არ იციან, ახლა სწრაფად ისწავლონ ქართული, ან ისწავლონ ისეთ დონეზე, რომ ტესტირების გავლა შეძლონ. პირველ ეტაპზე მაინც, თუ არაქართველ მასწავლებლებს მოვთხოვთ, სერტიფიცირების ქართულ ენაზე გავლას, ეს თავის მოტყუება იქნება.



– თქვენ უნივერსიტეტში მასწავლებლობის დიდი ხნის გამოცდილება გაქვთ. როგორ ფიქრობთ, როგორი მასწავლებელი ხართ?

– არ ვიცი, ალბათ სტუდენტებმა უნდა გიპასუხონ. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მასწავლებელი კონტაქტური, ინტერაქტიური იყოს. მან აუდიტორიის სასწავლო პროცესში ჩართვა უნდა შეძლოს, სწავლება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას როდი ნიშნავს, სწავლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ცოცხალი ურთიერთობაა.

– და ბოლოს, თქვენს რომელიმე მასწავლებელს ხომ არ გაიხსენებდით?

– მასწავლებელი ბევრი მყოლია. გავიხსენებ მათემატიკის მასწავლებელს, სერგო ჯოჯუას, რომელსაც საინტერესო მოთხოვნა ჰქონდა: თუ, ვთქვათ, რთულ ამოცანას ან განტოლებას საშინაო დავალებად მოგვცემდა, შემოწმებისას მხოლოდ იმით კი არ დაინტერესდებოდა, დავალება შეასრულე თუ არა, მოითხოვდა, მაჩვენე, როგორ ვერ გამოიყვანეო. სწავლაშიც და ცხოვრებაშიც ყოველთვის არ არის მთავარი, გააკეთე თუ არა რამე, მთავარი კეთების პროცესია. შედეგი ხანდახან წარუმატებელია, მაგრამ თავად პროცესია ღირებული. თუ შეეცადე, მაგრამ ამოცანა ვერ ამოხსენი, ამითაც რაღაცას სწავლობ. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად და ჭკუის სასწავლებლად უნდა ჩაითვალოს. როცა ცხოვრებისეულ ამოცანას ისახავ, შეიძლება უცებ წარმატებით ვერ გადაჭრა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, მიზნისკენ მიმავალ გზაზე არ შეჩერდე.

■

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი – მიზნები და ინიციატივები

სოფო ხვედელიძე, არჩილ გამზარდია

მასწავლებლისთვის საქართველოში ცხოვრება და მოღვაწეობა ადვილი არასდროს ყოფილა, თუმცა ბოლო ორი ათწლეული, ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. პედაგოგის როლი და სტატუსი საგრძნობლად დაკნინდა, რასაც სოციალური პირობების გაუარესებამაც შეუწყო ხელი. ამის მიუხედავად, ჩვენმა მასწავლებლებმა მრავალ გამოცდას გაუძლეს და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაიწყეს მზადება.

დღეს, როდესაც მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი თაობის აღზრდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხი განათლების რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა. ამ მიზნით შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრიც, რომლის საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებებითა და პროექტებით არის წარმოდგენილი.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

პროგრამების აკრედიტაცია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან ერთად, პედაგოგების მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) აკრედიტაციაზე მუშაობს. აკრედიტაციის სახით საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმი იქმნება, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები მკაფიოდ განსაზღვრულ წესებსა და სტანდარტებს დაეფუძნება. ამ პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, სასურველი აკრედიტებული კურსები აირჩიონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე, რომელიც იმ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ღირებულებებს განსაზღვრავს, რასაც მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს. მისი ერთ-ერთი ფუნქცია მასწავლებლის შრომის გამარტივებაა: ამ უკანასკნელმა იოლად უნდა შეძლოს იმის გარკვევა, თუ რას მოითხოვს მისგან რეფორმა და თანამედროვე განათლების სისტემა.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შექმნას, რომელშიც განხილული იქნება მასწავლებლის ურთიერთობის ფორმები მოსწავლესთან, მშობლებთან, კოლეგებთან და საზოგადოებასთან. ამჟამად ცენტრი ეთიკის კოდექსზე მუშაობს. იგეგმება ეთიკის სახელმძღვანელოს გამოცემაც.

მასწავლებელთა სერტიფიცირება

მასწავლებთა პროფესიული განვითარების მიზნით იგეგმება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება, რაც კონკრეტული საგნის ცოდნის გარდა მასწავლებლის პროფესიული უნარების შეფასებას ითვალისწინებს.

პირველი ოთხი წლის განმავლობაში გამოცდის ჩაბარება სავალდებულო არ იქნება. ამ პერიოდში მასწავლებელი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას. ამჟამად გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდო ტესტების შედგენასა და დახვეწაზე მუშაობს.

მასწავლებელთა რეგისტრაციის სისტემა

მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემა ქართულ რეალობაში ერთ-ერთი უპრეცედენტოა იმდენად, რამდენადაც ინტერნეტის მეშვეობით მასწავლებლის



პროფესიული მონაცემების ბაზის შექმნისა და განახლების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებელს საშუალება ექნება, პირადი მონაცემები გადაამოწმოს და სპეციალური ფორმის შევსების შემთხვევაში, მასში ცვლილებები და დამატებებიც შეიტანოს.

ასევე, შეიქმნა მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდი, სადაც საჯარო სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ არსებული ინფორმაცია გამოქვეყნდება. ვებ-გვერდი მასწავლებლობის მსურველებს დასაქმებას გაუადვილებს და სკოლაში მათი მიღების პროცესს უფრო გამჭვირვალეს გახდის.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ყველა სიახლის შესახებ, რომელიც განათლების სფეროში ხდება, თითოეულ მასწავლებლამდე მივიდეს.

ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთ-ერთი ახალი ინიციატივა ყოველკვირეული დაიჯესტების შექმნაა. მასწავლებლები უნდა იცნობდნენ უცხოელი კოლეგების საქმიანობას, იცოდნენ, რა ხდება სხვა ქვეყნის სკოლებში. ამ მიზნით ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უცხოურ დარგობრივ პრესას ეცნობა, საუკეთესო პუბლიკაციებსა და კვლევის შედეგებს არჩევს, თარგმნის და დაიჯესტის ფორმით ცენტრის ვებ-გვერდზე აქვეყნებს. დაიჯესტები ელექტრონული ფოსტით ეგზავნებათ მასწავლებლებს, სკოლებს, რესურს-ცენტრებს, საელჩოებს, ჟურნალისტებსა და დაინტერესებულ პირებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ცენტრის მორიგი ინიციატივაა ჟურნალ „მასწავლებლის" შექმნა, რომელიც მასწავლებლებს შესაძლებლობას მისცემს, საკუთარი გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ ისაუბრონ, განათლების სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებზე იმსჯელონ.

ცენტრის წარმომადგენლები

თამარ ბაქრაძე – ადმინისტრაციული ასისტენტი, ხარისხის მართვის მენეჯერი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა დალიტერატურის ფაკულტეტი, ბაკალავრის ხარისხით ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში. მოგვიანებით, გაიარა ამავე ფაკულტეტის სამაგისტრო კურსი ამერიკანისტიკაში და მიიღო ამერიკანისტიკის მაგისტრის წოდება. შემდეგ სწავლა განაგრძო გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც ამავე სპეციალობაში მეორედ მიიღო მაგისტრის ხარისხი.

ეთერ გველესიანი – სერტიფიცირების კოორდინატორი. დაამთავრა უცხო ენების პედაგოგიური უნივერსიტეტი, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოსკოვის ტორეზის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა. 1988 წლიდან მუშაობდა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ინგლისური ენის კათედრაზე. აქვს პედაგოგიური მუშაობის ოცწლიანი გამოცდილება. 1994-95 წლებში სწავლობდა გლაზგოში, სტრეტკლაიდის უნივერსიტეტში. დიდ ბრიტანეთში, ჩილესა და საფრანგეთში გავლილი აქვს სწავლებასთან დაკავშირებული სატრენინგო კურსები. სამინისტროში მუშაობს 2003 წლიდან.

ნინო ელბაქიძე – სტანდარტების კოორდინატორი. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის განხრით. პარალელურად, სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლა განაგრძო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, განათლების მეცნიერების სპეციალობით. ამავე დროს მუშაობდა ორგანიზაციაში „პედაქტივი", რომლის მთავარი მიზანი მოსწავლეებში დემოკრატიული აზროვნების ჩამოყალიბება და მათი სოციალური შეგნების ამაღლება იყო. ერთი წლის განმავლობაში აკვირდებოდა სწავლების პროცესს ჰაიდელბერგის ორ სკოლაში.

ნუცა კობახიძე – კომუნიკაციების კოორდინატორი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი, ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა დოქტორანტურაში, შუა საუკუნეების ფილოსოფიის მიმართულებით. სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ფილოსოფიას ასწავლიდა, თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში კი – საზოგადოებათმცოდნეობას. სხვადასხვა დროს, სამეცნიერო და სასწავლო მიზნით, იმყოფებოდა ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

ქეთევან მეხუზლა – იურისტი. სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, შემდეგ კავკასიის სამართლის სკოლაში კითხულობდა ლექციებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის განხრით. მუშაობდა კავშირში „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" იურისტად.

ეკატერინე მამაცაშვილი – მასწავლებლობის მაძიებლობის კოორდინატორი. 2001-2003 წლებში სწავლობდა სტოკჰოლმის უნივერსიტეტსა და საერთაშორისო განათლების ინსტიტუტში, სადაც მაგისტრის ხარისხი მიიღო

საერთაშორისო და შედარებით განათლებაში. 2004-2006 წლებში მონაწილეობდა პროექტში „ილია ჭავჭავაძე", როგორც კონსულტანტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საკითხებში, 2006-2008 წლებში კი – პროექტში „განათლების დეცენტრალიზაცია და აკრედიტაცია".

ნათია ნაცვლიშვილი – მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს . რედაქტორი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის განხრით. ამჟამად ამავე ფაკულტეტის დოქტორანტია. სწავლობდა თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სპეციალობაზე. ცენტრში მოსვლამდე მუშაობდა პედაგოგად.

ლელა სამნიაშვილი – აკრედიტაციის კოორდინატორი. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი და სინქრონული თარგმანის განყოფილება. იკვლევდა ამერიკულ ლიტერატურას კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლიში, შემდეგ უმაღლესი განათლების პოლიტიკას სწავლობდა ნორვეგიაში, ოსლოს უნივერსიტეტში. ასწავლიდა ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ისტორიასა და მხატვრულ თარგმანს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პაატა სირბილაძე – პროექტების კოორდინატორი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მასწავლებელთა პროფესიული გან-

ვითარების ცენტრში მოსვლამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, ინფორმაციის დამუშავებისა და მონაცემთა ანალიზის სამმართველოს უფროსად.

ნიკა ციმაკურიძე – რეგისტრაციის კოორდინატორი. ერთი წელი სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე, შემდეგ სწავლა განაგრძო კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა მათემატიკაში.

სოფიო გორგოძე – ცენტრის დირექტორი. სხვადასხვა დროს სწავლობდა ქუთაისისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, უესტმინსტერის კოლეჯსა და ჰარვარდის უნივერსიტეტში. ბაკალავრიატი ინგლისური ენისა და ლიტერატურის, ხოლო მაგისტრატურა ამერიკანისტიკის სპეციალობით დაამთავრა. შემდეგ პედაგოგად დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშაობს 2004 წლიდან. განათლების სამინისტროს პროექტის „განათლება განათლების პროფესიონალთათვის" ფარგლებში, მიიღო საერთაშორისო განათლების პოლიტიკის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის უნივერსიტეტში. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა კვლევების სამმართველოს ხელმძღვანელად, 2007 წლის აგვისტოში კი ცენტრის დირექტორად დაინიშნა.

გავესაუბრეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს, სოფიო გორგოძეს.

– რა მიგაჩნიათ ცენტრის მთავარ მიზნად?

– ცენტრის უპირველესი მიზანია, საქართველოში მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლება. მასწავლებლობა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ პროფესიად უნდა იქცეს. ყველას გვესმის, რომ მასწავლებლის როლი ქვეყნის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, დღეს მისი სტატუსი ამ როლს არ შეესაბამება. ჩვენ ვიზრუნებთ, რომ მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი მომავალი თაობა გვყავდეს.

– რას გულისხმობთ, როდესაც მასწავლებლის სტატუსის ამაღლებაზე საუბრობთ?

– მასწავლებლის სტატუსის ამაღლება მხოლოდ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ ნიშნავს. უნდა ვიზრუნოთ მის პროფესიონალიზმზეც. ორი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ: ერთი მხრივ, მასწავლებლის პროფესიონალიზმი უნდა ამაღლდეს და სახელმწიფოსა და საზოგადოების თვალში მისი ნდობის ხარისხი გაიზარდოს, მეორე მხრივ, მას შესაბამისი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს და სოციალური პრივილეგიებითაც სარგებლობდეს. იმისათვის, რომ მოტივირებული, კარგად მომზადებული მასწავლებლები გვყავდეს, საჭიროა ორივე მიმართულებით კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

– ცენტრის თანამშრომლების უმრავლესობა საკმაოდ ახალგაზრდაა. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაართმევთ თავს დასახულ ამოცანებს?

– რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ ურთულესი საქმე ჩაგვაბარეს. მართალია, საკმაოდ ახალგაზრდები ვართ, მაგრამ ცენტრი კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. გამოცდილი ქართველი კონსულტანტები გვყავს, წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნების გამოცდილებასაც ვითვალისწინებთ. რაც მთავარია, მზად ვართ, მუდმივი დიალოგი გვქონდეს მასწავლებლებთან. ყველაფერი, რასაც გავაკეთებთ, მათთან უნდა შეთანხმდეს, მათ უნდა მოეწონოთ.

– რამდენადაც ცნობილია, ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს რეფორმების პროცესში მასწავლებლების მაქსიმალური ჩართვა წარმოადგენს. როგორ მოიაზრებთ ამ პროცესს?

– ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, მასწავლებლებმა თავად მიიღონ მონაწილეობა განათლების პოლიტიკის დაგეგმვაში. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ეს ფუჭი სიტყვებია და ამ თანამშრომლობას ფორმალური სახე ექნება. მახსენდება ასეთი შემთხვევა: ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მასწავლებლებს მასალა გადაუგზავნა და კომენტარი სთხოვა. ერთ-ერთი მასწავლებლისგან ასეთი პასუხი მივიღეთ: „შეიძლება გავაკეთო კომენტარი?"

მეტს ვიმუშავებთ იმისთვის, რომ მასწავლებლებმა ჩვენი ირწმუნონ, ინიციატივას ინტერესითა და ჯანსაღი კრიტიკით შეხვდნენ, თავადაც შემოგვთავაზონ საინტერესო იდეები და პროექტები სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

■

სტატისტიკური მონაცემები მასწავლებელთა შესახებ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, 2007 წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა რეგისტრაცია განხორციელდა.

რეგისტრაციის მონაცემები 2007 წლის პირველი აპრილისთვის არსებულ მდგომარეობას ეყრდნობა.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად, თვალსაჩინო გახდა გარკვეული სახის უზუსტობები: მაგალითად, მეორდება მასწავლებელთა პირადობის მოწმობების ნომრები (≈1100 შემთხვევა), პირადი ნომერი საერთოდ არ არის მითითებული (≈1700 შემთხვევა). აღმოჩნდა სხვა სახის შეცდომებიც.

მონაცემების ანალიზის დროს დადგინდა, რომ მაქსიმალური ცდომილება დაახლოებით 4 %-ია.

საქართველოში 74 000-მდე რეგისტრირებული მასწავლებელია. თუ ცდომილებათა ალბათობის რიცხვს გავითვალისწინებთ, მათი რეალური რაოდენობა 72 000 უნდა იყოს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით, 2008 წელს მასწავლებელთა მონაცემების ახალი ბაზის შექმნა იგეგმება. მასალის ხელახალი შეგროვების ერთ-ერთი მიზანი სტატისტიკური მონაცემების დაზუსტებაა. ეს პროცესი, სავარაუდოდ, 2008 წლის შემოდგომისთვის დაიწყება.

ახალი ბაზის შექმნამდე არსებულ სტატისტიკას გთავაზობთ, მასწავლებელთა სქესის, ასაკისა და საგნების მიხედვით. სხვა სტატისტიკური მონაცემების ხილვა შეგიძლიათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე: www.tpdc.ge.

მასწავლებელთა პროცენტული რაოდენობა ასაკის მიხედვით



მონაცემები დამრგვალებულია 1% სიზუსტით.

მასწავლებელთა პროცენტული რაოდენობა ასაკის მიხედვით ორივე სქესისთვის





მონაცემები დამრგვალებულია 0.5%-მდე

პროცენტების ჯამი არ უდრის 100%-ს, რადგან საკმაოდ ბევრი მასწავლებელი არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე საგანს ასწავლის.



მონაცემები დამრგვალებულია 1 % სიზუსტით.



მოამზადეს: ნიკა ციმაკურიძემ და ნუცა კობახიძემ

განათლების რეფორმა და მასწავლებლის უფლებები

პაატა ცნობილაძე

მასწავლებლის ადგილი და უფლებები განათლების დღევანდელ სისტემაში – ეს იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ ინიციატივით 18 მარტს გამართული დისკუსიის თემა.

განათლების რეფორმის მიხედვით, განათლების სისტემაში მთავარი ფიგურა მოსწავლეა. სად არის დღეს მასწავლებლის ადგილი? რამდენად დაცულია მისი უფლებები? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მასწავლებლობა სასურველი პროფესია გახდეს?

ამ საკითხებზე საუბრობდნენ დისკუსიის მონაწილეები:

***ნინო ხუციძე-კაშია**, თბილისის 32-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;*

***ნათია კორძაძე**, თბილისის 50-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი;*

***პაატა ჩორგოლაშვილი**, თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;*

***ლუკა გორდაძე**, თბილისის 52-ე საჯარო სკოლის მოსწავლე;*

***ეკატერინე თავართქილაძე**, ლუკა გორდაძის დედა, ბავშვთა დახმარების ცენტრის ფსიქოლოგი;*

***ნანა აღაპიშვილი**, ფსიქოლოგი, ფსიქო-სოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობის“ აღმასრულებელი დირექტორი;*

***ნატა ზაზაშვილი**, ფსიქოლოგი, კრიზისულ ცენტრ „საფარის“ თავმჯდომარე;*

***ნატალი ქორიძე**, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი;*

***ქეთი მეხუზლა**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის იურისტი;*

***ბელა კოპალიანი**, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის პროგრამის ექსპერტი, ასოციაცია „მშვიდობა და განათლების“ თავმჯდომარე;*

***ვილემ ვესტერმანი და იაპ ვედერი**, ჰოლანდიელი ექსპერტები;*

*შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი **თინათინ მოსიაშვილი.***

– დისკუსიის დაწყებისთანავე მინდა ვკითხო მასწავლებლებს: რას ნიშნავს დღეს საქართველოში იყო მასწავლებელი?

ნინო ხუციძე-კაშია: საკმაოდ რთულია, იყო მასწავლებელი. თუმცა, ეს მხოლოდ მძიმე ტვირთი რომ იყოს, ალბათ ვერავინ გაუძლებდა – მისი ტარება სასიამოვნოცაა. მასწავლებლობა, სხვა რომ არაფერი, იმისთვის ღირს, რომ ბავშვის ანთებულ თვალებს უყურებ.

ნათია კორძაძე: მასწავლებლის პროფესია ყოველთვის ენთუზიაზმს ემყარებოდა. სამწუხაროდ, ახლა უფრო რთულადაა საქმე, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. დღეს ბევრი პრობლემაა, რომელიც მასწავლებლის ავტორიტეტს დაბლა სწევს.

ნანა აღაპიშვილი: ბოლო 15 წლის განმავლობაში გარკვეული მიზეზების გამო მასწავლებლობა არასასურველი გახდა. ეს ბევრი ფაქტორით არის გამოწვეული. მე ორი შვილი მყავს და როგორც მშობელი, კარგად ვიცნობ სკოლას. ვიცნობ იმ განწყობილებას, რომელიც საზოგადოებაში არსებობს სკოლისა თუ მასწავლებლების მიმართ. არადა, მასწავლებელი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მას ეკისრება განათლებული თაობის აღზრდა და მოსწავლეთა პიროვნებად ჩამოყალიბება. ჩვენი საზოგადოება გამოფხიზლებას იწყებს. მასწავლებელს პატივი და ღირსება უნდა დაუბრუნდეს.

– ლუკა, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი?

ლუკა გორდაძე: მასწავლებელი უნდა იყოს პროფესიონალი, უყვარდეს ბავშვები, შეეძლოს ემოციების მართვა, თუმცა ასეთი მასწავლებელი მხოლოდ ჩემს სკოლაში კი არა, საერთოდ, ქვეყანაშიც ცოტაა.

– რეფორმამ განათლების სისტემის ცენტრში ბავშვი დააყენა. რას ნიშნავს ბავშვზე ორიენტირებული სწავლება?

პაატა ჩორგოლაშვილი: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ასე მესმის: მონოლოგის რეჟიმი დიალოგის რეჟიმით უნდა შეიცვალოს. შესაცვლელია ის მიდგომაც, რომლის მიხედვითაც, მასწავლებელი დომინანტია. ბავშვებს ანალიტიკური აზროვნების, მსჯელობის საშუალება უნდა მივცეთ. ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელიც დადებითად განწყობილი იქნება, მაგრამ კრიტიკულად იაზროვნებს და ყველაფერ-

ზე მორჩილად არ დაგვეთანხმება. პედაგოგებმა მოსწავლის აზრი უნდა გავითვალისწინოთ. როდესაც გაკვეთილს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით ვგეგმავთ, ის მოტივირებულია და შედეგიც ეფექტურია.

ბელა კოპალიანი: მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი – ეს სამკუთხედის სამი გვერდია. მასწავლებელი და მშობელი ცდილობენ, რომ ამ სამკუთხედისა და განათლების სისტემის საფუძველი – მოსწავლე ყურადღების ცენტრში მოექცეს, კარგი განათლება მიიღოს და დაცული იყოს.

დღეს ბევრს საუბრობენ პედაგოგთა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებზე. სავალალოა მაღალი კლასის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა. მე-10 საჯარო სკოლაში, სადაც ხარისხის მართვის მენეჯერი ვარ, კითხვარებში ბავშვები წერენ: „მინდა, რომ ჩემი მასწავლებელი ტოლერანტი იყოს", „მინდა, მასწავლებელი მშობლივით მექცეოდეს და არ მიყვიროდეს". ფაქტია, რომ დღეს არც მოსწავლეს აქვს გაცნობიერებული საკუთარი უფლება-მოვალეობები და არც მასწავლებელს...

ვილემ ვესტერმანი: ბავშვზე ორიენტირებული სწავლება იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა მხოლოდ ბავშვს უსმინოს და საკუთარი პროფესიონალიზმი არ გამოავლინოს. ერთი მხრივ, მან მთელი სერიოზულობით უნდა მოუსმინოს ბავშვს: მხოლოდ ცოდნა კი არ უნდა გადასცეს მოსწავლეს, არამედ უნდა ასწავლოს საკუთარი ნააზრევის, გრძნობებისა და ცოდნის გადმოცემაც. მეორე მხრივ, თუ მასწავლებელი მხოლოდ უსმენს ბავშვს, არც ეს არის სწავლება. ბავშვზე ორიენტირებული სწავლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის გამართულ მსჯელობას გულისხმობს. მასწავლებელმა ბავშვისგან მიღებული ინფორმაცია პროფესიულად უნდა გამოიყენოს. მაგალითად, ჩემს ქვეყანაში, ჰოლანდიაში, ასეთი ტრადიცია არსებობს: ყოველ ორშაბათს მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, სად იყვნენ შაბათ-კვირას. ერთი ამბობს, რომ იყო პარკში, მეორე – აუზზე. მასწავლებელმა ბავშვის შთაბეჭდილებები გაკვეთილის მსვლელობისას უნდა გამოიყენოს, მოსწავლეებს დააწერინოს ახალი სიტყვები და თხზულებები...

ეკატერინე თავართქილაძე: ჩემი აზრით, მოტივაციის გარდა, აუცილებელია ბავშვის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, მასწავლებელმა ბავშვი კი არა, საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს.

ნატა ზაზაშვილი: მეჩვენება, რომ მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ყველა ასაკს თავისი

სირთულე ახლავს.

ჩვენ რამდენიმე პროგრამა განვახორციელეთ სოფლად. სოფელი ჩაკეტილი სისტემაა, სადაც პედაგოგს მარტო განათლების მიცემა კი არა, მოსწავლის რეაბილიტაციაზე ზრუნვაც უხდება.

კიდევ ერთი პრობლემის წამოწევა მინდა: ეს არის ჩუმი, გაუბედავი და უინიციატივო ბავშვების თემა. ჰიპერაქტიური ბავშვები ყურადღებას იქცევენ, ჩუმი ბავშვებით კი ყველა კმაყოფილია: სკოლაც, მშობლებიც. ვინც ბავშვებთან მუშაობს, დამეთანხმება, რომ ასეთები ძალიან დიდ ტკივილს ატარებენ.

– ალბათ მომავალში ამ საკითხზეც გვექნება დისკუსია, ახლა ისევ თემას დავუბრუნდეთ. სისტემის მთავარი ფიგურა ბავშვია. სად არის მასწავლებლის ადგილი?

ნინო ხუციძე-კაშია: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ნიშნავს, ასწავლო, მაგრამ თავად ნაკლები ილაპარაკო, მოსწავლეს აზრის გამოთქმის საშუალება მისცე. გაცილებით რთულია, წინასწარ შეარჩიო თემა და ისე მართო სიტუაცია, რომ ახალგაზრდებს დიალოგის უნარ-ჩვევები განუვითარო.

ნათია კორძაძე: დღეს მთავარი ყურადღება ბავშვზეა გადატანილი. ბავშვის უფლებებზე ბევრს ვსაუბრობთ. ზოგჯერ ის ფიქრობს, რომ ყველაფრის უფლება აქვს. ბავშვის უფლებების ზედმეტმა პოპულარიზაციამ მასწავლებლის უფლებები დააკნინა. პედაგოგი ყველას დაავიწყდა, არავინ ფიქრობს, როგორი განწყობილებით მოდის ის გაკვეთილზე.

ქეთი მეხუზლა: დაუშვებელია, საკითხის ისე დასმა, რომ ბავშვის რომელიმე უფლების დაცვა მასწავლებლის უფლებას არღვევს, ან პირიქით. ბავშვთა უფლებები და საერთოდ, განათლების სისტემის რეფორმა, პირველ რიგში, მიზნად ისახავს განათლების ფუნდამენტური უფლების რეალიზებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითა და რიგი საერთაშორისო აქტებით არის გარანტირებული.

– ლუკა, თუ გახსენდება შემთხვევა, როცა მასწავლებელმა მოსწავლის უფლება დაარღვია? და, პირიქით, შენმა მეგობრებმა დაარღვიეს მასწავლებლის უფლება?

ლუკა გორდაძე: მასწავლებელს ხშირად ჰგონია, რომ სწავლების პროცესში ძალადობა დასაშვებია, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოაქვს. გაეროს ბავშვთა კონვენციის 28-ე მუხლში წერია, რომ ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რომ სკოლაში დაცული უნდა იყოს დისციპლინა, თუმცა ეს წესები არ უნდა ლახავდეს ბავშვის ღირსებასა და უფლებებს. შეიძლება, ბევრმა მასწავლებელმა არც იცის, რა უფლებები აქვს მოსწავლეს და სწორად როგორ უნდა მართოს სიტუაცია. მასწავლებლის უფლების შელახვის შემთხვევას ვერ ვიხსენებ.

ვილემ ვესტერმანი: არსებობს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მაგრამ არსებობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც. უფლებები ადამიანს ერთგვარ თავისუფლებას აძლევს, მაგრამ ეს თავისუფლება უსაზღვრო არ არის, რადგან მას უფლებებთან ერთად, მოვალეობებიც აკისრია. მაგალითად, ბავშვს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, მაგრამ მას ასევე აქვს უფლება, მიიღოს განათლება. თუ მოსწავლე ბევრს საუბრობს გაკვეთილზე და სხვებს აწუხებს, ამით დანარჩენების უფლებებს ლახავს.

უფლებებსა და მოვალეობებს საზღვრები აქვს. ბავშვებმა და მშობლებმა უნდა იცოდნენ, სად არის ზღვარი. ყველა მამას, რომელსაც ოდესღაც სკოლაში უსწავლია, ჰგონია, რომ შეუძლია, მასწავლებელს ასწავლოს. მშობლები გამოცდილი ადამიანები არიან, მასწავლებელი კი პროფესიონალია. მან უნდა აუხსნას მშობელს, რომ შეიცვალა სკოლა, განათლების სისტემა და მისი შინაარსი.

განათლება ბალანსია მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს, ძველსა და ახალს შორის.

პაატა ჩორგოლაშვილი: არავინ დაობს იმაზე, რომ მასწავლებელმა კლასში სასწავლო გარემო უნდა შექმნას, მაგრამ ბატონი ვესტერმანის ნათქვამიდანაც კარგად ჩანს, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ჩვენთან მამები საერთოდ არ აკითხავენ ბავშვს სკოლაში.

გეთანხმებით, მოსწავლეები ხშირად აპელირებენ საკუთარი უფლებებით, მაგრამ მოვალეობებზე არ საუბრობენ... ვფიქრობ, არსებობს გამოსავალი: სკოლას თავისი კონსტიტუცია, შინაგანაწესი უნდა ჰქონდეს. მის შექმნაში მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები უნდა მონაწილეობდნენ.

– იქნებ მასწავლებელთა უფლებებზეც ვისაუბროთ. რამდენად არის ქვეყანაში დაცული მასწავლებლების უფლებები?

ნათია კორძაძე: ერთი საკითხი მინდა წამოვწიო: კოლეგებისგან მესმის, ვადიან ხელშეკრულებაზე მომაწერინეს ხელიო. მე, პირადად, კონტრაქტს ხელი არ მოვაწერე. ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელია.

ბელა კოპალიანი: არ ვეთანხმები უვადო ხელშეკრულებით მასწავლებლის მიღებას. ერთ-ერთ სკოლაში იმის გამო, რომ რომელიღაც ასო სწორად ვერ დაწერა, მესამეკლასელ მოსწავლეს მასწავლებელმა დაფაზე არტყმევინა თავი. ასეთ მასწავლებელს მისცემდით უვადო ხელშეკრულებას?

ნატალი ქორიძე: უვადო ხელშეკრულება არ ნიშნავს, რომ მისი გათავისუფლება საეთოდ არ შეიძლება. ბავშვის ცემა სისხლის სამართლის დანაშაულია. ამ შემთხვევაში, ადამიანის გათავისუფლება შეგვიძლია – ეს არ არის ხელშეკრულების ვადაზე დამოკიდებული.

მასწავლებლების უმეტესობა ძალიან დათრგუნულია. ყველაზე ხშირად სწორედ მათი უფლებები ირღვევა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც საკუთარი აზრის გამოთქმისთვის დირექტორმა მასწავლებელი სამსახურიდან გაათავისუფლა. ლუკამ აღნიშნა, მასწავლებელი გაწონასწორებული და მშვიდი უნდა იყოსო, მაგრამ ისიც ხომ ამ საზოგადოების წევრია და უამრავი პრობლემა აქვს.

მართალია, მოსწავლეთა მხრიდან უფლებების დარღვევის ფაქტებით მასწავლებლებს ჩვენთვის არ მოუმართვთ, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციასთან ხშირად აქვთ პრობლემები.

– ლუკა, რას აპირებ მომავალში? შენ ან შენს მეგობრებს თუ გინდათ მასწავლებლობა?

ლუკა გორდაძე: პროფესია ჯერ არ ამირჩევია. მასწავლებლობა კი ბევრს არ უნდა.

– ეს შეკითხვა შემთხვევით არ დამისვამს. ვერ ვიტყვით, რომ მასწავლებლობა ახალგაზრდები-

სთვის სასურველი პროფესიაა.

ნათია კორძაძე: დღეს მასწავლებელი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს დაბალი ანაზღაურების გამო. მას არა აქვს პროფესიული განვითარების საშუალება, არ შეუძლია ახალი ლიტერატურის შეძენა, საგნობრივი იქნება, თუ მეთოდური.

მე, პირადად, საკუთარი სურვილით ავირჩიე ეს პროფესია, მაგრამ გული მწყდება, რომ ჩემს არც ერთ მოსწავლეს არ უნდა მასწავლებლობა.

ნინო ხუციძე-კაშია: ჩემს კოლეგას ვერ დავეთანხმები: არაერთ ტრენინგში მიმიღია მონაწილეობა და არაერთი ტრენინგი ჩამიტარებია თავად. პედაგოგებს სხვადასხვა თემატური ლიტერატურა ხშირად უფასოდ ურიგდებათ.

პაატა ჩორგოლაშვილი: რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მატერიალურ მხარეზე, მაინც მგონია, რომ ჩვენ, ადამიანები, რომლებმაც მასწავლებლობა გადავწყვიტეთ, „დაავადებულები" ვართ, საკუთარი პროფესიისადმი სხვაგვარი მიდგომა გვაქვს...

მასწავლებელი არ არის განყენებული ადამიანი. არც სკოლაა სამყაროსგან მოწყვეტილი, თუმცა, როცა მასწავლებელი ხარ, როგორც არ უნდა გიჭირდეს, ყველა პრობლემა ზღურბლს იქით უნდა დატოვო და კლასში ისე შეხვიდე. იქ ექიმიც უნდა იყო, ფსიქოლოგიც, მსახიობიც...

ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ მასწავლებლის შრომას მეტად დავაფასებთ, სკოლაში მიმდინარე პროცესებზე კი გამოცდილი მასწავლებლების აზრს გავიზიარებთ.

– და ბოლოს, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული გახდეს?

ნათია კორძაძე: მინდა, ჩემი ანაზღაურება იმდენი იყოს, რომ გაკვეთილის დასრულებისთანავე მოსწავლეებთან სირბილი არ დამჭირდეს და ბოლომდე სკოლაში დავიხარჯო.

ნატალი ქორიძე: მასწავლებელს მყარი სოციალური გარანტიები უნდა ჰქონდეს. ხელფასის საკითხს ვერსად გავექცევით. მასწავლებლის პროფესია მაღალანაზღაურებადი რომ იყოს, მეტი ახალგაზრდა წავიდოდა სკოლაში.

ნატა ზაზაშვილი: მთავარია, მასწავლებლებმა დაინახონ, რომ სახელმწიფო მათზე ფიქრობს; ზრუნავს მომავალ მასწავლებლებზეც, იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. არც პენსიონერი პედაგოგები უნდა დაივიწყოს.

ეკონომიკური მოტივაცია ბევრს ნიშნავს, თუმცა ასეთი შემთხვევაც მახსენდება: რამდენიმე სკოლის დირექტორს ცალ-ცალკე ვკითხე, რა მოხდება, თქვენს პედაგოგებს ძალიან მაღალი ხელფასი რომ დაუნიშნოთ-მეთქი. ყველამ შეთანხმებულივით მიპასუხა: ვინც კარგია, უკეთესი გახდება, და ვინც არ ვარგა, მაინც არაფერი უშველისო.

პაატა ჩორგოლაშვილი: გამოსავალი ორმხრივი დიალოგი და ასეთი შეხვედრებია.

ბელა კოპალიანი: ვფიქრობ, ასეთი მრგვალი მაგიდებ უნდა მოეწყოს წყალტუბოში, ჭიათურაში, ოზურგეთში, ზუგდიდში... განსაკუთრებით, იმ რეგიონებში, სადაც ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან.

ნინო ხუციძე-კაშია: ყველაფრის მიუხედავად, არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც მასწავლებლობა მოწოდებაა. ჩემთვის ეს ცხოვრების წესია. ბავშვობაში, ჩემი მეგობრები ექიმობაზე ოცნებობდნენ, ჩემი თოჯინა კი ავად არ გამხდარა.

– და ბოლოს, ისევ ლუკას მინდა მივმართო. ლუკა, რა შემთხვევაში ნახვიდოდი სკოლაში სამუშაოდ?

ლუკა გორდაძე: მასწავლებლობაზე რომ ვიფიქრო, სკოლა ნაცრისფერი და მოსაწყენი არ უნდა იყოს. საქართველოს ყველა სკოლაში სუნიც კი ერთნაირია. სწავლების პროცესი უფრო საინტერესო უნდა გახდეს. ასე თუ იქნება, ბევრს გაუჩნდება მასწავლებლობის სურვილი.

■

სკოლის დირექტორობიდან სახალხო დამცველამდე

მანანა ვარდიაშვილი

პროფესიით ისტორიკოსია. იყო მედავითნე, სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი, მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, გაზეთ „კავკასიონისა“ და რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი. ახლა სახალხო დამცველია. ამბობს, რომ პროფესიული მეტამორფოზების მრავალფეროვანმა ციკლმა დიდი გამოცდილება და ცოდნა შესძინა. მასწავლებლებმა (კერძოდ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა) ის 2007 წლის ადამიანის უფლებების საუკეთესო დამცველად დაასახელეს. რატომ? როგორც თვითონ ამბობს, ჯობს, ეს მასწავლებლებს ვკითხოთ.

სოზარ სუბარის პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდს ემთხვევა. ამბობს, რომ მასწავლებლობაზე მანამდეც ბევრს ფიქრობდა. ქვემო ქართლის ერთი ჩვეულებრივი სოფლის არაფრით გამორჩეულ სკოლაშიც არაჩვეულებრივი სკოლის შექმნის იდეით ჩავიდა.

„მე ამ ქვისგან გავაკეთებ“

„უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ჯერ სახელმწიფო მუზეუმში, შემდეგ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ვმუშაობდი. ერთი წელიწადი დავით გარეჯის მონასტერში მედავითნე ვიყავი. მერე დმანისში სკოლის დირექტორად წავედი. პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ქვემო ქართლი იმიტომ ავირჩიე, რომ იმ დროს იქ ვითარება დაიძაბა. გარდა ამისა, დედაჩემიც იქ ცხოვრობდა. მოულოდნელად დმანისის რაიონის ახალმა ხელმძღვანელმა, ომარ ელოშვილმა სკოლის დირექტორობა შემომთავაზა. დმანისში მოსახლეობის დიდ ნაწილს აზერბაიჯანელები შეადგენდნენ და მაღალ თანამდებობებზეც, ძირითადად, ისინი მუშაობდნენ. სამუშაო ენა რუსული იყო. რაიონის ახალი ხელმძღვანელი კი იქ ქართული ენისა და ცნობიერების დამკვიდრებას ცდილობდა.

მასწავლებლობაზე მანამდეც ბევრს ვფიქრობდი და ვოცნებობდი. რამდენიმე მეგობართან ერთად, თბილისის სკოლებში დამატებით გაკვეთილებს ვატარებდი. გვინდოდა, მომავალ თაობაში პატრიოტული სულისკვეთება გაგვეღვივებინა, ქრისტიანობა და ქრისტიანული ზნეობრივი ღირებულებები დაგვემკვიდრებინა. ასე რომ, შემოთავაზებაზე ბევრი არ მიფიქრია. მალე დავთანხმდი. ასე გავხდი დმანისის რაიონის სოფელ ბოსლების სკოლის დირექტორი“, – იგონებს სოზარ სუბარი.

ეს იყო 1989 წელს.

საქმიანობას დიდი ენთუზიაზმით შეუდგა. სკოლა დმანისიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა და გზის დიდი ნაწილის გავლა ფეხით უხდებოდა. სკოლაში დაახლოებით 100-მდე ბავშვი სწავლობდა.

„2 წლის განმავლობაში დირექტორის კაბინეტი ალბათ 2-ჯერ თუ გავაღე. კაბინეტი დიდად არ მჭირდებოდა. სკოლაში ყოფნის დროს ან ბავშვებთან ვიყავი, ან მასწავლებლებთან. მოსწავლეებთან ვმეგობრობდი. ზოგჯერ მათთან ერთად ფრენბურთსაც ვთამაშობდი. თუმცა, ამავე დროს, სიმკაცრის გამოვლენაც მიწევდა. მაშინ ეს, შეიძლება, ძალიან არაბუნებრივად ჩანდა, რადგან ახალგაზრდა ვიყავი.

პრინციპების გამო, რაიონის განათლების განყოფილების გამგეს სერიოზულად დავუპირისპირდი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ირინა იაშვილი თბილისიდან წავიყვანე. როცა მოსწავლეებთან მუშაობისას გარკვეული პრობლემები შეიქმნა, შევთანხმდით,

რომ სკოლის პროგრამას ზედმიწევნით არ გაჰყვებოდა. პროგრამის გადარბენას, ჯობდა, რასაც ვასწავლიდით, კარგად გვესწავლებინა. ამის გამო რაიონის განათლების განყოფილების კომისიამ უარყოფითი დასკვნა დაგვიწერა და პრობლემის სასწრაფოდ გამოსწორება მოგვთხოვა. კატეგორიული უარი განვაცხადეთ. სკოლაში ბავშვებს ცოდნა უნდა მისცე და თუ პროგრამის გეგმური გავლა ცოდნის მიღების საშუალებას არ იძლევა, პროგრამისა და გეგმის შესრულება აუცილებელი არ არის. იმ დროს განათლების განყოფილების გამგესთან დაპირისპირება ადვილი არ იყო. მით უმეტეს, რომ იმ ქალბატონის ქმარი უშიშროების, მაშინდელი სუკ-ის რაიონული განყოფილების უფროსად მუშაობდა და ცოლ-ქმარი რაიონს აზანზარებდა. მიუხედავად ამისა, დაპირისპირებას მაინც გავუძელით.

ჩემი იდეალების განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა, 25 წლის ვიყავი, ბევრი რამ არ ვიცოდი. როგორც ერთი წმინდა მამა ამბობს, ჯერ თვითონ უნდა გაიზარდო და სხვისი დამოძღვრა შემდეგ დაიწყო. იმ პერიოდში ვფიქრობდი, რომ უკვე მქონდა ის ცოდნა, რომელიც სხვებისთვისაც უნდა გადამეცა და განმანათლებლობის ლამპარიც სასწრაფოდ შემეტანა. იდეები საქმის საკეთებლად საკმარისი არ არის. კარგი და ძლიერი სკოლის შექმნას, თავდადების გარდა, ფინანსური რესურსი და დრო სჭირდება. მაშინ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა. შემდეგ სამოქალაქო ომი დაიწყო. სკოლისთვის გამოყოფილი თანხები მცირდებოდა. როცა მივხვდი, რომ „მე ამ ქვისგან" ვერ ვაკეთებდი იმას, რისი გაკეთებაც მინდოდა, სკოლიდან წამოვედი და სასულიერო აკადემიაში ჩავაბარე.

სასულიერო აკადემიაში სწავლის ოთხი წლის განმავლობაში იმდენად ვიყავი იმ სამყაროში ჩაფლული, რომ იმას, რაც ეკლესიის გარეთ ხდებოდა, თითქმის ვერ აღვიქვამდი. ჩემსა და საზოგადოებას შორის თითქოს უხილავი კედელი იყო აღმართული. ჟურნალისტიკაში კი იმიტომ წავედი, რომ ეს კედელი გამერღვია".

ჟურნალისტი

ფიქრობდა, რომ ჟურნალისტიკაში ცოტა ხანს დარჩებოდა და შემდეგ ისევ ეკლესიურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა. მოულოდნელად, ჟურნალისტიკამ ჩაითრია. ცოტა ხანი ათ წელს გაგრძელდა. პირველი სტატია გაზეთ „კავკასიონის" პირველ ნომერში გამოაქვეყნა. 1993 წელი იყო. შემდეგ აფხაზეთის ომში წავიდა და გაზეთში გამოქვეყნებული პირველი სტატიაც იქ წაიკითხა. 1996 წლიდან პარალელურად რადიო „თავისუფლებაშიც" მუშაობდა.

„კავკასიონში" კრიმინალის განყოფილება ჩააბარეს. დაიწყო თუ არა მუშაობა, ძალიან მალე კრიმინალთან დაკავშირებული უწყებების ხელმძღვანელთა კარი მისთვის უპრობლემოდ გაიღო. შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, მათი მოადგილეები, გენერალური პროკურორი და მოსამართლეები — ყველა ძალიან მალე გაიცნო, მაგრამ მათთან ურთიერთობა სწრაფადვე გაუფუჭდა. როცა შენობებიდან გამოდიოდა, იმ ხალხს ხვდებოდა, რომლის უფლებებსაც ამ უწყებებში უხეშად არღვევდნენ. ნაცემი, ნაწამები და სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ადამიანები სამართალს ეძებდნენ.

„მე ვწერდი ამ ყველაფერზე და იმ ადამიანების დასჯას ვითხოვდი, რომლებმაც მათი უფლებები შელახეს. თანდათანობით ჩემთვის ყველა სამართალდამცავი სტრუქტურის კარი დაიხურა. თუმცა, ეს აღარ მაწუხებდა — ინფორმაციის ალტერნატიული წყარო უკვე თავად საზოგადოება იყო, ადამიანები, რომელთა უფლებებიც დაირღვა. ასე დავიწყე მუშაობა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში", – იგონებს განვლილ გზას ომბუდსმენი.

სახალხო დამცველი

2004 წლის სექტემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველია. მაშინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ამბიცია ჰქონდა სახალხო დამცველის ოფისის სახით ძლიერი, ქმედითი და ეფექტური უფლებადაცვითი ინსტიტუტი შეექმნა. მიაჩნია, რომ ეს ამოცანა შეასრულა: „ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ყველა რეკომენდაცია სრულდება, თუმცა შემიძლია ხმამაღლა ვთქვა: ჩვენ ყველგან ვართ, სადაც ადამიანის უფლებები ირღვევა".

სოზარ სუბარი სკოლის დირექტორობისას

ექსკურსია გელათში

გამოცდილების შედეგები

ამბობს, რომ ადამიანი ცხოვრების მანძილზე დიდ გამოცდილებას იძენს. მის ცხოვრებაშიც დავით გარეჯის მონასტერში ყოფნის, სკოლაში, მუზეუმში და არასამთავრობო სექტორში მუშაობისა და ჟურნალისტობის პერიოდები რომ არ ყოფილიყო, სახალხო დამცველი ვერ გახდებოდა, ანდა, სხვანაირი სახალხო დამცველი იქნებოდა. ყოფილი პედაგოგი მასწავლებელთა პრობლემებს ახლა სახალხო დამცველის თვალით უყურებს და განათლების რეფორმასაც გულდასმით აკვირდება.

მიაჩნია, რომ გასულ წლებში პედაგოგთა უფლებები მასშტაბურად ირღვეოდა. საჩივრები, ძირითადად, შრომის ანაზღაურებასა და სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტებს ეხებოდა. ზოგადად, მასწავლებელთა უფლებების დარღვევის კუთხით, ყველაზე დიდი პრობლემა უმძიმესი და საპასუხისმგებლო შრომის არაადეკვატური ანაზღაურება იყო. ამ პრობლემის აღმოფხვრის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

განათლების რეფორმა

„სკოლასთან ჩემი ურთიერთობა მხოლოდ ჩემი მასწავლებლობით არ შემოიფარგლება. პედაგოგის ოჯახში ვარ გაზრდილი. დედაჩემი მასწავლებელი იყო. ასე რომ, ამ სფეროში არსებულ პრობლემებს, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, კარგად ვიცნობ. განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესი და მისი შედეგები ნამდვილად მაღელვებს. ამ რეფორმაზე ჩვენი ქვეყნის მომავალია დამოკიდებული. კარგია, რომ სკოლებში სახელმძღვანელოების დიდი არჩევანია და მასწავლებელს სასურველი სახელმძღვანელოს არჩევა თვითონ შეუძლია. შერეული ტიპის სახელმძღვანელოების შემოღებასაც მივესალმები. პროფესიით ისტორიკოსი ვარ და კარგად ვიცი, რომ საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის განუყოფელი ნაწილია. როცა ბავშვი საქართველოში მონღოლების შემოსევას სწავლობს, ის იმდროინდელ მსოფლიოში არსებულ ვითარებასა და მონღოლეთის ისტორიასაც უნდა იცნობდეს. ახლა არის მცდელობა, რომ ყველაფერი ერთიან კონტექსტში მოიაზრებოდეს, რაც ძალიან კარგია. არ ვიცი, რა ცვლილებები ხდება სხვა საგნების პროგრამებში და არის თუ არა ეს საკმარისი განათლების სფეროს სრულფასოვანი რეფორმის განხორციელებისთვის. ამის თქმა მიჭირს.

ლამაზი სახელმძღვანელოები კარგია, მაგრამ ის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ზოგჯერ მშობელი ბავშვს სკოლაში ვერ უშვებს, რადგან წიგნი არა აქვს. მას სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. არ ვარ სოციალისტი, ლიბერალიზმის მომხრე ვარ, მაგრამ, ლიბერალიზმსაც თავისი საზღვარი აქვს. იქ, სადაც იწყება დარვინისტული მიდგომა, რომ ძლიერი გადარჩება და სუსტი მოკვდება, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. ჩვენ კონსტიტუციაში ასე გვიწერია: სოციალური სახელმწიფო ვართ. სოციალურ სახელმწიფოში კი ბავშვის სკოლაში წაყვანა ყველას უნდა შეეძლოს“, – ამბობს ყოფილი მასწავლებელი.

მისი აზრით, კარგია, რომ ყოველ სადარბაზოში უნივერსიტეტი აღარ არის გახსნილი და ყველა, ვისაც დიპლომი აქვს, პროფესორი არ ხდება. ის, რომ აკრედიტაციები გართულდა და გამკაცრდა, მისასალმებელია. არის სფეროები, სადაც დადებითი ძვრებია. განათლების რეფორმის ყველაზე წარმატებულ ნაწილად ერთიანი ეროვნული გამოცდები მიაჩნია. უმაღლეს სასწავლებელში ფულით მოწყობის სისტემა მოიშალა და ეს ძალიან დიდი წარმატებაა. თუმცა, როგორც ამბობს, რჩება შთაბეჭდილება, რომ რეფორმის ამ წარმატებულ ნაწილს სხვა მხრივ სათანადო მხარდაჭერა არა აქვს. უმაღლესში მისაღები გამოცდები შეიცვალა, მაგრამ ცოდნის მიცემის კრიტერიუმები და სწავლის

მიმართ სტუდენტების დამოკიდებულება, სამწუხაროდ, არ შეცვლილა. დარწმუნებული არ არის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და უმაღლეს სასაწავლებელში მიმდინარე ცვლილებებს სისტემური ხასიათი აქვს და ეს ყველაფერი გააზრებული სტრატეგიის ნაწილია. მისი აზრით, ისინი უფრო სპონტანური ხასიათისაა.

არასრულწლოვანთა დანაშაული

სკოლაზე საუბრისას ბუნებრივად გვახსენდება სახელმწიფოს პოლიტიკა არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, კერძოდ, ის შემთხვევა, როცა სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14-დან 12 წლამდე შემცირებულიყო. ამ სიახლის მოწინააღმდეგეთა შორის სოზარ სუბარიც იყო. მისი განმარტებით, გარდატეხის ასაკში ბავშვი ადვილად ექცევა არასასურველი გავლენის ქვეშ. თუ არასრულწლოვანმა შეცდომა დაუშვა და ციხეში მოხვდა, ის დაღუპულია, რადგან ციხიდან ჩამოყალიბებული კრიმინალური მენტალიტეტით გამოვა. „როდესაც სხვა ქვეყნების მაგალითებზე ვსაუბრობთ, სადაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ასევე 14 წელზე ნაკლებია, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმ ქვეყნებში მსუბუქი დანაშაულისთვის მოზარდებს 8 და 10 წელს არ უსჯიან. გარდა ამისა, იქაური ციხე სკოლას უფრო ჰგავს, ვიდრე ციხეს. სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ამ იდეას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, სატელევიზიო არხებზე ყოველდღიურად გადიოდა სიუჟეტები იმის თაობაზე, თუ როგორ კატასტროფულად იმატა საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულმა. ჟურნალისტთა ტექსტები კარგად მახსოვს: „არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილმა დანაშაულმა ეპიდემიის სახე მიიღო“, „რაღაც კატასტროფა ხდება“ და ა.შ. შსს-დან ოფიციალური სტატისტიკა გამოვითხოვე. აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული უმნიშვნელოდ იყო გაზრდილი. მიიღეს კანონი, ჩაიარა ამ ამბავმა და ამ თემაზე ახლა აღარ საუბრობენ. როგორ, არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაული აღარ ხდება? გამოდის, რომ სახელმწიფო ბავშვებით მანიპულირებდა. არ შეიძლება მოზარდები მანიპულირებისთვის გამოიყენო და ამას კამპანიის სახე ჰქონდეს“.

რეკომენდაცია განათლების რეფორმის მესვეურთათვის

რეფორმის ყოველი ეტაპი კარგად გააზრებული გეგმის ნაწილი უნდა იყოს. სოზარ სუბარს მიაჩნია, რომ მასში საზოგადოება უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული. როცა სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის რეფორმაზე ვსაუბრობთ, პედაგოგების, სტუდენტებისა და მოსწავლეების აზრი მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ. მასწავლებლის ღირსება დაცული უნდა იყოს. სამწუხაროდ, დღეს ეს უკანასკნელი საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული და უუფლებო წარმომადგენელია. სახალხო დამცველის აზრით, ასეთი დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

ის, რაზეც ფიქრობს ხოლმე

„საქართველოს დატოვება არასდროს მიფიქრია. ხანგრძლივი დროით სხვაგან ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. 2 შვილის მამა ვარ, მესამეს ველოდები. ბავშვები ჯერ პატარები არიან, 4-ისა და 2 წლის, თუმცა რაც უფრო იზრდებიან, კითხვა მიჩნდება: რამდენად სრულფასოვან განათლებას მიიღებენ ბავშვები სკოლაში, თუ არაფერი შეიცვლება?“.

სახალხო დამცველის ოფისს, დახმარების იმედით, მასწავლებლები და მასწავლებელთა პროფკავშირები ხშირად მიმართავენ. ყოფილი პედაგოგი მასწავლებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს თვალს განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს.

14 აპრილი – დედაენის დღე

„სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან, გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძაფი იფხანოს" (*ილია ჭავჭავაძე, ზოგიერთი რამ*)

14 აპრილი დედაენის დღეა. რატომ 14 აპრილი?

ყველაფერი ასე დაიწყო: „1978 წლის 23 მარტს, ხუთშაბათ დღეს, საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდის განყოფილების გამგემ თათბირი ჩაატარა. მიწვეული იყვნენ შემოქმედებითი კავშირების მდივნები, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორები და პარტკომები.

განიხილებოდა სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი, კერძოდ, 75-ე მუხლი, სადაც ეწერა შემდეგი: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველჰყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის..."

როცა ამ მუხლის კითხვა დამთავრდა, დარბაზში უკმაყოფილების ჩურჩული გაისმა. მე ვითხოვე სიტყვა და ვთქვი: „არ მომწონს და არ ვეთანხმები 75-ე მუხლს. მიმაჩნია, რომ ენის შესახებ კარგად არის ნათქვამი დღესდღეობით მოქმედ კონსტიტუციაში – საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული. მას შეცვლა არ სჭირდება. 75-ე მუხლი კი დამამცირებელი ქვეტექსტის მატარებელია... ყოველი ტექსტი, მათ შორის, კონსტიტუციისაც, ქვეტექსტის მატარებელია. ყველა შეგნებული მკითხველი მოვალეა წაიკითხოს ეს, ქვეტექსტი". სიტყვა რომ დავამთავრე და ტრიბუნიდან ჩამოვედი, დარბაზი გააქტიურდა...

გამოხმაურება არაერთგვაროვანი მოჰყვა ამ სიტყვებს. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა ესეც კი თქვა: „არც კი მოველოდი, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა, იმდენად ბრძნულად არის იგი შედგენილი... ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული..."

ორატორთა უმრავლესობა კონსტიტუციის პროექტს უწოდებდა ილია ჭავჭავაძის ოცნების განხორციელებას" **(აკაკი ბაქრაძე, თათბირები საქართველოს კპ ცკ-ში, თხზულებანი, მე-8 ტ.)**.

ცკ-ს შენობიდან ვნებათაღელვამ უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში, რედაქციებში გადაინაცვლა. დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა.

12 აპრილს საზოგადოება მწერალთა კავშირში შეიკრიბა. აკაკი ბაქრაძესთან ერთად ყველაზე მეტად ნოდარ წულეისკირი აქტიურობდა.

ნოდარ წულეისკირი: „ქართველებს საყუდარი არსად აქვთ. ან უნდა იბრძოლონ, ან საკუთარ მიწაში საფლავი გაითხარონ.

ერები და ენები კაცობრიობის სიმდიდრეა.

ერთი კაცის სიცრუე კიდევ დასაშვებია, ტოტალური — არა. მწერლობამ სიმართლე უნდა თქვას, გინდა ჯვარს აცვან.

რა მწერლები და რა ხალხი ვართ ჩვენ, კონსტიტუციის პროექტის ერთ სიტყვასაც ვერ ვუყავით ძვრა. იმიტომ, რომ არაა ის აქ დაწერილი. არაა ნახსენები კონსტიტუციაში ქართველი ერი. უნდა იყოს, უნდა ითქვას, ვისია ეს კონსტიტუცია".

ხალხი გარეთ გამოვიდა, ქუჩებში, სანაპიროზე, უნივერსიტეტის ეზოში...

14 აპრილს ხელისუფლებას გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

14 აპრილიც მოვიდა.

„ადამიანებით სავსე და გაჭედილი რუსთაველის პროსპექტი უკვე აპრილის მტკვარს ჰგავდა. ხალხის თავზე აღმართული იყო სისხლისფერი ასოებით დაწერილი ტრანსპარანტები – აი, იხ! ქართული ენა – სახელმწიფო ენა! ილიასა და აკაკის ენა – სახელმწიფო ენა! დედაენა!"

ჰაერი გაჟღენთილია მოლოდინით: რა მოხდება – განმეორდება 1956 წლის 9 მარტი თუ ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება?" **(აკაკი ბაქრაძე, თათბირები საქართველოს კპ ცკ-ში, თხზულებანი, მე-8 ტ.)**.

ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. იმ დღეს მანიფესტაცია მშვიდობიანად დამთავრდა. საქართველოში სახელმწიფო ენად ქართული დარჩა.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სახელმწიფო ენაა. მას აღარავინ გვართმევს, თუმცა ახლა სხვა პრობლემები გვაქვს.

მოამზადა ნინო წიკლაურმა

„ქართულის სწავლა მინდა, ნო...“...

ნინო წიკლაური

შაუმიანი.

დაბაში სიწყნარეა. დასახლება პატარა არ არის, მაგრამ ახლა აქ ცარიელი სახლები ჭარბობს. მარტის თბილი დღეა. ასაკოვანი მამაკაცები მაღაზიასთან მზეს ეფიცხებიან. ახალგაზრდებიც აქვე დგანან.

შაუმიანის პირველი საჯარო სკოლა, ქვისთაღიანი შესასვლელით. აქ აბრაა: „შაუმიანის №1 ლევან ევონიანის სახელობის საჯარო სკოლა“. ლევონ ევონიანს ეს სკოლა დაუმთავრებია. „ის ამერიკაში ცხოვრობს. ახლა ოთხმოცი წლის არის. შეძლებული ექიმია, კარგი კაცია და კეთილი ნებით გვეხმარება, ამიტომ დავარქვით სკოლას მისი სახელი“, – ამიხსნა მათემატიკის მასწავლებელმა ქნარიკ აკობჯანიანმა.

სკოლა ძველებურ აგურის შენობაშია განთავსებული. ეზო ტერასებად არის დაყოფილი. სამასწავლებლოს კედლებზე რუკები გაუკრავთ, დერეფნებში კი – სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის უფლებები და სხვადასხვა პლაკატი. ტექსტი, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზეა, თუმცა... სკოლაში „გამარჯობაზე“ „გაგიმარჯოთი“ კი გპასუხობენ, მაგრამ თუ ქართულ-სომხურ ოჯახში გაზრდილი, ან ქართველის უახლოესი მეზობელი არ შეგხვდა, საუბარს ქართულად ვეღარ გააგრძელებ.

სამასწავლებლო ნელ-ნელა ივსება მასწავლებლებით. ისინი ინტერესით გვიყურებენ და მერე საკუთარ პრობლემებზე საუბარსაც იწყებენ. დაბაში ყველაზე მეტად უტრანსპორტობასა და ქართული ენის უცოდინარობას განიცდიან.

გულნარა ივანიანი, მასწავლებელი: „Грузинов нет и общений нет тоже“, ქართველები არ არიან და შესაბამისად, არც ურთიერთობა გვაქვსო. მერე ისევ რუსულად აგრძელებს: „პრობლემა ის არის, რომ ეს ბავშვები (თავის მოსწავლეებს – არაქართულენოვან ბავშვებს გულისხმობს) იმავე პროგრამით და ტესტებით აბარებენ უმაღლეს სასწავლებელში, რითაც – ქართველები, ქართული სკოლის კურსდამთავრებულები. როგორ შეიძლება ეს? აქედან ბევრი ერევანში მიდის – იქ უპრობლემოდ აბარებენ გამოცდებს და სწავლობენ. არადა, ჩვენ აქ ვცხოვრობთ, აქაურები ვართ. რატომ უნდა გავრბოდეთ ერევანში? არა მარტო ბავშვებს, პედაგოგებსა და მშობლებსაც ძალიან გვინდა ქართულის სწავლა. მარნეულში რომ ვცხოვრობდეთ, ალბათ ასე არ გაგვიჭირდებოდა. იქ ადვილად ვერ ჩახვალ – გადაადგილება ძვირი ჯდება. ტაქსით მგზავრობა გვიწევს, შაუმიანში ავტობუსი დღემდე არ დადის“.

საკუთარ სატკივარზე სხვებიც საუბრობენ, საინტერესო სიახლეებიც აქვთ: გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლები კვირაში ერთხელ ტრენინგებზე დადიან შულავერში, ქართულს სწავლობენ, რათა ქართულ ენაზე გაკვეთილის ჩატარება შეძლონ, თუმცა ისტორიის ახალგაზრდა მასწავლებელს მარუსა არუცუნიანს, რომელიც ერევანშია დაბადებული, ქართულად საუბარი ჯერ კიდევ უჭირს.

რაც შეეხება მოსწავლეებს: „ქართულის სწავლა და საქართველოს უნივერსიტეტში ჩაბარება გვინდა, „ნო ნე მოჟემ“, – მითხრა მეთერთმეტეკლასელმა გოგონამ, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლება.

შაუმიანში სულ სამი სკოლაა: ორი სომხური და ერთი რუსული. მეორე საჯარო სკოლაში სწავლა რუსულად მიმდინარეობს. როცა აქ სამხედრო ნაწილი იდგა, მაშინ რუსული სკოლა საჭირო იყო. ახლა კი სხვა დროა, რუსებიც აღარ არიან, მაგრამ რუსულ სკოლაში სწავლის მსურველები დღესაც მოიძებნებიან. წარსულიდან შემორჩა განსაკუთრებული დისციპლინა და წესრიგი, რითაც ეს სასწავლებელი ყოველთვის გამოირჩეოდა.

ანაიდა კაზარიანი, მეორე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე: „ჩვენი სკოლა იმითაც გამოირჩევა, რომ აქ მაღალი დონის კულტურული ღონისძიებები ეწყობა”. ამ სკოლას ცნობილი აღზრდილებიც ჰყავს, კურსდამთავრებულებიდან ერთი კარატეში გამხდარა ჩემპიონი (ნორიკ ალავერდიანი), მეორე კი – კიკ-ბოქსში (არტურ რესტევანიანი).

როგორც გვითხრეს, მეორეკლასელი მოსწავლეები ყოველწლიურად ქართული ანბანის ზეიმს აწყობენ. აქტიურად ტარდება „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის” თამაშები, ინტელექტუალური შეჯიბრები კლასებს შორის...

სკოლების დაახლოებაზე რომ დავიწყეთ საუბარი, ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა: „ამაზე არასდროს დავფიქრებულვართ, თანამშრომლობის სურვილი არავის ჰქონია... თუმცა არც მთლად უმაგისობაა: შაუმიანის სკოლების აღსაზრდელებმა თბილისელი, ბოლნისელი და თიანეთელი მოსწავლეები გაიცნეს. სკოლები სასკოლო პარტნიორობის პროგრამაში ჩაერთნენ, მაგრამ დღეს მხოლოდ შაუმიანის პირველი სკოლისა და ბოლნისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები მეგობრობენ. რატომ? ორივესთვის

მშობლიური ენა სომხურია. რაც შეეხება დანარჩენ „მეგობარ“ სკოლებს, ბავშვებს მიმოწერაც არა აქვთ, მხოლოდ იმის გამო, რომ შაუმიანელებმა ქართული არ იციან, თბილისელებმა და თიანეთელებმა კი – სომხური. დღევანდელი მოზარდები, უფროსებისგან განსხვავებით, ვეღარც რუსულ ენაზე ახერხებენ ურთიერთობას“.

ელზა გრიგორიანი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

„ბევრი პრობლემაა დასაძლევი: მაგალითად, ზამთარში რამდენიმე მოსწავლე სკოლაში იმიტომ ვერ დადიოდა, რომ თბილი ფეხსაცმელი არ ჰქონდა. აბა, რომელ სწავლაზეა საუბარი?... რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას, მარტო ის არ არის საკმარისი, რომ ახალი სახელმძღვანელო გვაქვს – „თავთავი“, რომელიც ნამდვილად მოგვწონს... ქართული ჟურნალი ან გაზეთი რომ იყოს, კარგი იქნებოდა... ტელევიზორი ქართულ არხებს კი აჩვენებს, მაგრამ არავინ უყურებს – არაფერი ესმით და რისთვის უყურონ?“.

შაუმიანელებს უამრავი პრობლემა აწუხებთ. იმედი აქვთ, რომ მათ სატკივარზე სხვაც დაფიქრდება.

რეპორტაჟი იორმუღანლოდან

ნინო ჭაბაშვილი

იორმუღანლო საგარეჯოს რაიონში მდებარე აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელია. აქაურ მოსწავლეებს ქართულენოვან სკოლასთან დამეგობრება სურთ, რადგან იციან, რომ ქართველ მოსწავლეებთან ურთიერთობა მათ ქართული კულტურის, ენისა და ტრადიციების უკეთ შესწავლაში დაეხმარება. სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე ისინი ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩააბარებენ. სამი წელია, იორმუღანლოელი აბიტურიენტები სწავლის გასაგრძელებლად, ბაქოში მიდიან. ეს კი, საკმაოდ დიდ თანხას უკავშირდება.

ეთნიკური აზერბაიჯანელები საგარეჯოს რაიონის მოსახლეობის მესამედს შეადგენენ. ადრე რაიონში მხოლოდ ერთი აზერბაიჯანული სოფელი იყო, ახლა ექვს სოფელში ოცდაერთ ათასამდე ადამიანი ცხოვრობს.

საგარეჯოში სამი საშუალო და ერთი საბაზო აზერბაიჯანულენოვანი სკოლაა. მათგან ყველაზე დიდი იორმუღანლოს საჯარო სკოლა არის, სადაც რვაას ორმოცდაათი ბავშვი სწავლობს.

ცამეტი წლის ნარგისი საუკეთესო მოსწავლედ ითვლება. ქართულადაც ყველაზე გამართულად ის საუბრობს. გოგონა ფიქრობს, რომ ქართულის მასწავლებელმა ბავშვების მშობლიური ენა ძალიან კარგად თუ არა, სასაუბრო დონეზე მაინც უნდა იცოდეს. მათი მასწავლებელი აზერბაიჯანული ენის შესწავლას ცდილობს და ამის გამო ბავშვები მასთან თავისუფლად გრძნობენ თავს. ბოლო დროს დაუმეგობრდნენ კიდეც. ნარგისი საოჯახო ალბომში, პირველ გვერდზე, ქართულის მასწავლებელთან გადაღებულ ფოტოს ინახავს.

მან იცის, რომ სკოლაში დიდხანს ვერ ისწავლის, მშობლები აღარ გაუშვებენ. სოფელში ასეთი ტრადიციაა: გოგონას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალიან კარგად სწავლობს, თოთხმეტი - თხუთმეტი წლის ასაკში უკვე დანიშნულად აცხადებენ და საქმრომ უნდა გადაწყვიტოს, ის სკოლაში ისწავლის თუ არა. ადგილობრივი წესით, უცხო მამაკაცს ქალმა თვალი არ უნდა გაუსწოროს, არც გამოლაპარაკება შეიძლება. ქალი სიმშვიდითა და მორჩილებით ფასდება,

განათლებული ქალი კი, მათი აზრით, დაუმორჩილებელი ხდება.

ნარგისის მეგობრები სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობენ. სწავლა მასაც უნდა: ჟურნალისტობაზე ოცნებობს. როდესაც ტელევიზორში ქართველ და აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს უყურებს, ოცნების ახდენა შესაძლებლად ეჩვენება, მაგრამ მხოლოდ დროებით... კარგად იცის მშობლების ცხოვრების წესი, წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ ადათებს რომ ეფუძნება. ასე, ტრადიციით გადაეცემა თაობიდან თაობას, რომ ქალი ოჯახს უნდა ემსახურებოდეს. მან იმდენი უნდა იცოდეს, რომ ნაწერის წაკითხვა შეძლოს. თუ აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე დაწერს, განათლებული ქალის სახელი ექნება. მთავარია, სადილის მომზადება, ქარგვა, კაბების არშიებით გაწყობა, ფარდაგებისა და ხალიჩების ქსოვა იცოდეს. ხელსაქმეში ნარგისიც გაწაფულია – დედამ და ბებიამ ასწავლეს.

გოგონას წიგნებისა და გაზეთების კითხვა უყვარს, ახალ ამბებსაც ყურადღებით უსმენს. იორმუღანლო მისი სამყაროა: უზაგრამადან გაზლარამდე. ერთ დღეს მამამ ბაქოში წაიყვანა. ორჯერ თბილისშიც იყო. მას ორივე ქალაქი ძალიან მოსწონს, თავს ორივეგან კარგად გრძნობს. საქმრო კი იორმუღანლოში შეურჩიეს. მხოლოდ ერთხელ დაინახა შორიდან.

თვითონ მაინც კმაყოფილია. მისი რამდენიმე მეზობელი გოგონა სკოლაში საერთოდ არ დადის. ისინი ფერმაში ცხოვრობენ, უფროსებს მეურნეობაში ეხმარებიან: ძროხებს წველიან, არაჟანსა და ყველს ამზადებენ, სადილზე ზრუნავენ, საღამოხანს კი გულს წინდების ქსოვას აყოლებენ და უცნობ საქმროზე ოცნებობენ.

* * *

23 წელია, ისლამ გაიბოვი სკოლის დირექტორია. ისლამი ამბობს, რომ იორმუღანლოს სკოლა საუკეთესოდ ითვლება, რადგან კარგი აკადემიური მოსწრება აქვთ. ბევრი გოგონა შესანიშნავად სწავლობს, მაგრამ ტრადიცია ისევ დიდ როლს თამაშობს და ისინი ადრე გაჰყავთ სკოლიდან. „როცა გოგონა კარგად სწავლობს, ვცდილობ, დავარწმუნო მშობლებიც და საქმროს ოჯახიც, რომ სკოლა არ დაატოვებინონ. ხან მიჯერებენ, ხან – არა. ახლა რამდენიმე ისეთი მოსწავლე გვყავს, დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო გამოცდებსაც წარმატებით ჩააბარებენ", – ამბობს დირექტორი. თვითონ რუსული ენის მასწავლებელია და სრულყოფილად ფლობს ხუთ ენას: აზერბაიჯანულს, ქართულს, რუსულს, ინგლისურსა და თურქულს.

„ჩემი მოსწავლეების მთავარი პრობლემა ქართული ენის არასრულყოფილად ფლობაა. ბოლო წლებში ყველა საუკეთესო მოსწავლე ბაქოში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ვინც საქართველოში აპირებს უმაღლესი განათლების მიღებას, ახლომდებარე სოფელში ქართულში ემზადება. ამას წინათ, ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად წარმოდგენა გავმართეთ. ჩვენი ბავშვები ქართულ ლექსებს ამბობდნენ, ქართველი ბავშვები კი – აზერბაიჯანულს. დღემდე მეგობრობენ ერთმანეთთან. ქართული მეც ქართველი მეგობრებისგან ვისწავლე. ჩემი აზრით, სახელმწიფოს ქართული ენის შესასწავლად კარგი პროგრამები აქვს, არც პედაგოგებით ვარ უკმაყოფილო: მონდომებულები არიან, ბავშვებსაც ძალიან უყვართ, მაგრამ ქართული ენის პედაგოგი აზერბაიჯანულ ენასაც უნდა ფლობდეს. ამისათვის კი კარგი იქნებოდა, ადგილობრივი კადრები გადაგვემზადებინა".

იორმუღანლოს სკოლა სამას ბავშვზეა გათვლილი. შენობა 1946 წელს აშენდა. ბავშვები ორ ცვლად სწავლობენ, მაგრამ სკოლა სრულ დატვირთვას მაინც ვერ უძლებს: თორმეტი საკლასო ოთახის მიშენებაა აუცილებელი, რათა ყველა დაეტიოს. სკოლას არც სპორტული დარბაზი აქვს. ბავშვებს დასალევი წყალიც შინიდან მიაქვთ.

ისლამ გაიბოვი სკოლა-ინტერნატის გახსნაზე ოცნებობს, სადაც ქართულ ენას გაძლიერებულად ასწავლიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვებს საქართველოში დამკვიდრება და ინტეგრაცია გაუჭირდებათ. გულდასაწყვეტია, რომ მათ ინტელექტს სხვა ქვეყანა იყენებს. ბევრი აქაური კურსდამთავრებული აზერბაიჯანში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს – ბიზნესშიც და პოლიტიკაშიც.

„ჩვენი ხალხი მომთაბარე ცხოვრებას არის მიჩვეული, სეზონურად იალაღებზე მიდიან და ოჯახიც იქ მიჰყავთ. ბავშვი სკოლას თვეობით რომ მოსწყდება, როგორღა დაეწევა კლასელებს? ათეულობით ბავშვი რჩება გაუნათლებელი. სახელმწიფო ამაზეც უნდა ზრუნავდეს. სკოლა-ინტერნატის გახსნა აუცილებელია".

სკოლაში ახლა ინფორმატიკის კაბინეტი გაიხსნა. იორმუღანლოელ მოზარდებს კომპიუტერთან მუშაობის შესწავლა სურთ და ინტერნეტით ქართველ თანატოლებთან დამეგობრებასაც აპირებენ.

ყველაზე ბედნიერი ბავშვები ევროპაში

ევროპის 21 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგად, ჰოლანდიელები ევროპაში ყველაზე ბედნიერ ბავშვებად დასახელდნენ. სიის ბოლოში ბრიტანელები მოხვდნენ. რასაკვირველია, ამ შედეგს ობიექტური და სუბიექტური საფუძველი აქვს. ობიექტურია ის, რომ ჰოლანდია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, საკმაოდ კარგი სოციალური და ეკონომიკური პირობებით. რაც შეეხება სუბიექტურ საფუძველს, ბავშვებს თავად აქვთ განცდა, რომ ბედნიერები არიან.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ჰოლანდიაში ბავშვთა აღზრდას მუდამ დიდი ყურადღება ეთმობოდა. ჰოლანდიელ მშობლებს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ შვილებთან. მათ სკოლაშიც თავისუფალ გარემოს უქმნიან. განვითარების ფსიქოლოგიის პროფესორმა პაულ ვაგნერტმა აღნიშნა: „ჰოლანდიაში გაჩნდა ტენდენცია, რომ მშობლებმა შვილები თავად გაზარდონ და ამისათვის სამსახურს დიდი ხნით თავს ანებებენ". მისივე თქმით, ჰოლანდიელი ბავშვები დაცულ გარემოში იზრდებიან.

BBC

რატომ არიან ფინელი მოსწავლეები ყველაზე ჭკვიანები?

სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს 57 ქვეყნის 15 წლის ბავშვებს შორის ტარდება საერთაშორისო ტესტირება – *PISA*, რომელიც მოსწავლეთა ცოდნას ამოწმებს მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და კითხვაში. ტესტირების შედეგების მიხედვით, ფინელმა მოსწავლეებმა ყველაზე მაღალი ქულები დააგროვეს.

სპეციალისტები ფინელი მოსწავლეების წარმატების საიდუმლოთი დაინტერესდნენ. მიზეზი საკმაოდ უბრალო, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო აღმოჩნდა:

ფინელებს კარგად მომზადებული მასწავლებლები და პასუხისმგებლობის მქონე მოსწავლეები ჰყავთ. ფინეთში მასწავლებლობა კონკურენტუნარიანი პროფესიაა: ერთ ვაკანსიაზე, საშუალოდ, 40 მასწავლებელი აკეთებს განაცხადს.

საინტერესოა, რომ ფინელები სწავლის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიებს არც ისე აქტიურად იყენებენ. ფინელების წარმატების ერთ-ერთი მიზეზი წიგნის კითხვის სიყვარულია. ბიბლიობუსი, ანუ ავტობუსი-ბიბლიოთეკა ფინეთის ყველაზე შორეულ რეგიონებშიც დადის. ახალშობილთა მშობლები კი მთავრობისაგან საჩუქრად ილუსტრირებული წიგნების პაკეტს იღებენ.

The Wall Street Journal

სკოლა 2 მოსწავლით

შოტლანდიაში, მორეიში მდებარე კაბრაჩის დაწყებით სკოლაში მხოლოდ ორი მოსწავლე სწავლობს.

მორეის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი სკოლის დახურვას გეგმავდა, მაგრამ შოტლანდიის მთავრობა ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. ყველა ერთობლივად ეცდება, დახმარება გაუწიოს კაბრაჩის თემსა და სკოლას.

BBC

როგორია კარგი მასწავლებელი?

კემბრიჯის შეფასების სააგენტოს ინიციატივით, ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა, რათა „კარგი მასწავლებლის" ცნება განესაზღვრა. ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ საუკეთესო კვალიფიკაციის პროფესიონალი არ ნიშნავს „საუკეთესო მასწავლებელს". მათი თქმით, სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხი მაშინ მიიღწევა, როცა მასწავლებელსაც და მოსწავლესაც თავისუფლების მაღალი ხარისხი აქვთ.

იმისთვის, რომ იყო კარგი მასწვლებელი, საგნის ცოდნა და ინტელექტუალური შესაძლებლობები საკმარისი არ არის. ახალი სასწავლო გეგმა მისგან მეტ ინოვაციასა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენას მოითხოვს. ყველაფერს, რასაც სახელმწიფო მასწავლებელს სთავაზობს, ის შემოქმედებითად უნდა მიუდგეს.

მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ სასწავლო გარემო ორმხრივი პატივისცემით იყოს გაჟღენთილი. ძალიან კარგია, აგრეთვე, იუმორი, რომელიც ბავშვებს ახალისებს და სასწავლო პროცესსაც საინტერესოს ხდის.

და ბოლოს, მთავარია მასწავლებელს ბავშვები უყვარდეს.

BBC

საინტერესო ამბებს ყოველკვირეული დაიჯესტის სახით შეგიძლიათ გაეცნოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე: www.tpdc.ge

მასწავლებლის/გაკვეთილის შეფასების ფორმა მოსწავლეებისთვის

თუ გსურთ, შეიტყოთ, რას ფიქრობენ მოსწავლეები თქვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული შეფასების ფორმა. კითხვარის პასუხები გაკვეთილის უკეთ დაგეგმვაში დაგეხმარებათ. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგიძლიათ გარკვეული ცვლილებებიც შეიტანოთ მასში. კითხვარის გამოყენება სასურველია ტრიმესტრის ბოლოს ან კონკრეტული მასალის დამთავრების შემდეგ.

მოსწავლეებს აუხსენით, რომ შეფასება ანონიმურია და მათ ნიშნებზე გავლენას არ მოახდენს.

ყურადღებით გაეცანით თითოეულ შეკითხვას და შემოხაზეთ შესაბამისი პასუხი.

თუ კითხვას პასუხს ვერ სცემთ, ან არ გსურთ პასუხის გაცემა, მიუთითეთ: **თავს ვიკავებ**

1. გაკვეთილი კარგად იყო ორგანიზებული	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
2. გამოყენებული მასალა (სახელმძღვანელოები, ქსეროასლები, დამატებითი საკითხავი) საინტერესო იყო	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
3. ეს გაკვეთილი დამეხმარა უკეთ აღმექვა საგანი	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
4. მასწავლებლის შეფასება იყო სამართლიანი	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
5. ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოს მასწავლებელი გულისხმიერად აფასებდა და მეხმარებოდა შეცდომების გაანალიზებაში	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
6. ამ გაკვეთილზე ბევრი საინტერესო ინფორმაცია მივიღე	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
7. გაკვეთილი რთული იყო	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
8. საშინაო დავალების მოცულობა იყო ძალიან დიდი	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
9. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს პატივისცემით ეპყრობოდა	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
10. მოსწავლეები პატივს სცემდნენ მასწავლებელს	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
11. მასწავლებელი ზედმეტად მკაცრი იყო	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
12. გაკვეთილი სახალისო იყო	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**
13. გაკვეთილს მაღალ შეფასებას ვაძლევ	**კი / არა / ისე რა / თავს ვიკავებ**

რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ამ გაკვეთილზე?

_____

_____

_____

_____

რა არ მოგეწონათ გაკვეთილზე?

_____

_____

_____

_____

თქვენ რომ მასწავლებელი იყოთ, როგორ გააუმჯობესებდით ამ გაკვეთილს?

_____

_____

_____

_____

შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი აზრი ამ გაკვეთილთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

_____

_____

_____

_____

თქვენი მოსწავლეებისთვის გთავაზობთ სახალისო დავალებას, რომლის შესრულებისას ისინი ფანტაზიასა და წერის უნარს გამოავლენენ. შესთავაზეთ ბავშვებს, ქვემოთ მოყვანილი ნახატის მიხედვით, მშობლიური ან უცხო ენის გაკვეთილზე თხზულება დაწერონ.

შეარჩიეთ თხზულებებს შორის საუკეთესო და წაუკითხეთ კლასს.



ნახატი ვ. გამეზარდაშვილისა

გონების სავარჯიშო

დაყავი სივრცე ხუთ თანაბარ ნაწილად



სიტუაციური ამოცანა დაწყებითი კლასებისთვის

ხუთი მეგობარი ტყეში წავიდა. მათ საგზალი არ წაიღეს და ცოტა ხნის შემდეგ ძალიან მოშივდათ. უცებ მწიფე ვაშლებით დახუნძლული ვაშლის ხე დაინახეს. ხეზე აბრა იყო მიკრული, რომელზეც ეწერა:

„თუ შენთვის გინდა, უფლება გაქვს, მოწყვიტო მხოლოდ ერთი ვაშლი. თუ მეგობრისთვის გინდა, უფლება გაქვს, მოწყვიტო ყოველი მეგობრისთვის თითო ვაშლი, მაგრამ შენთვის – არც ერთი. ამ წესის დარღვევისათვის მკაცრად დაისჯები".

მეგობრებს ბევრი არ უფიქრიათ: თითოეულმა თითო ვაშლი მოწყვიტა თავისთვის და მიირთვა, მაგრამ მათ თითო ვაშლი ეცოტავათ, მეტის მოწყვეტის უფლება კი აღარ ჰქონდათ. როგორ უნდა მოქცეულიყვნენ?

გამოიყენეთ მათემატიკის გაკვეთილზე დაწყებით კლასებში. იპოვეთ შემდეგი რიცხვი:



მოგვაწოდა 51-ე საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ირინა სიხარულიძემ

მასწავლებლების საყურადღებოდ!

მოგვაწოდეთ მსგავსი სავარჯიშოები, რომლებსაც გაკვეთილზე იყენებთ და გსურთ, სხვებსაც გააცნოთ.

შეკითხვების გლანკი

„დაანახეთ, რა იქნება უკეთესი მისთვის...“

ნათია ნაცვლიშვილი

ის, რაც თითქმის ყველა სკოლასა და მასწავლებელს აერთიანებს, ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებით გამოწვეული პრობლემებია. სკოლის ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია. მასწავლებლებმა იციან, რომ მოსწავლეთა გარკვეულ ქმედებები (ზოგჯერ მიუღებელი, ან არაადეკვატური) ხშირად მათი ასაკითაა გამოწვეული. იციან, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ცოდნა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სიტუაციის შესაბამისი, მაქსიმალურად სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ. მასწავლებლის არასწორმა გადაწყვეტილებამ კი შეიძლება მოსწავლის, როგორც პიროვნების განვითარება სხვა მიმართულებით წაიყვანოს. ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოა პედაგოგიური ფსიქოლოგიის ექსპერტის რეკომენდაციები და პრაქტიკული რჩევები. ეს დაგვეხმარება, რომ, ჩვენდაუნებურად, მოზარდის ფსიქიკა არ დავაზიანოთ და მის განვითარებას ხელი არ შევუშალოთ.

ამ პრობლემაზე სასაუბროდ „მასწავლებელი“ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორ ნათელა იმედაძეს დაუკავშირდა.

– მოსწავლეთა ქცევის მართვის თვალსაზრისით, სკოლაში ე.წ. „ცხელ წერტილად“ VII-IX კლასები ითვლება. ძალიან ზოგადი კითხვაა, მაგრამ მაინც: რატომ?

– VII - IX კლასელი ბავშვების აღზრდისა თუ სწავლის პროცესში, მართლაც, მნიშვნელოვანი პედაგოგიური სიძნელეები ჩნდება. მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზით ამ სიძნელეებს ვერ ავხსნით. ყველასთვის ნათელია, რომ ეს ასაკი ე.წ. გარდამავალ, ანუ გარდატეხის ასაკს ემთხვევა, მაგრამ ცნობილი ფორმულირება არაფერს მოგვცემს, თუ იმ ფაქტორებს არ გავაანალიზებთ, რომლებიც ამ ასაკის თავისებურებას განსაზღვრავენ. ჩვეულებრივ, ფიზიოლოგიურ ცვლილებებს ვეყრდნობით, რომლებიც, პირველ რიგში, სქესობრივი მომწიფების პროცესში გამოიხატება. ამ პროცესს იმ ფიზიკური უნარების დროებითი შეფერხება ახლავს, რაც 9-10 წლისთვის არის მიღწეული, – ამ პერიოდში მოზარდებს მოძრაობათა კოორდინაციის ერთგვარი დარღვევა აღენიშნებათ. ამის გარდა, აღსანიშნავია სწრაფი ზრდა. მოზარდი ერთი წლის განმავლობაში შეიძლება 10 სმ-ით გაიზარდოს. ეს ზრდა სხეულის ყველა ნაწილის მიმართ პროპორციული არ არის. ხელებისა და ფეხების სწრაფ ზრდას თან არ ახლავს მთავარი შინაგანი ორგანოს შესაფერისი ზრდა. გულს ვგულისხმობ, რომელიც ადამიანის ორგანიზმს ჟანგბადით ამარაგებს. 14 წლის მოზარდი უფრო ღონიერია, ვიდრე 10 წლის ბავშვი, მაგრამ მას გამძლეობის უნარი ნაკლები აქვს და ადვილად იღლება.

– ფიზიკურის გარდა, სხვა რა ფაქტორები განსაზღვრავენ მოზარდის ფსიქიკაში მიმდინარე ცვლილებებს?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ერთგვარი ეგოცენტრიზმი, რომელიც მოზარდში ამ დროს ვლინდება. ეგოცენტრიზმი საკუთარი მე-ს ცენტრში დაყენებაა. ბავშვი შეიძლება მშობლების მიმართ უკიდურეს ეგოიზმს, ხოლო მეგობრების მიმართ არაჩვეულებრივ თავგანწირვას იჩენდეს. ეს ამ ასაკისთვის კანონზომიერია. ეგოცენტრიზმი, რასაკვირველია, სწორ აღმზრდელობით ზემოქმედებას ექვემდებარება, მაგრამ ზოგჯერ საკმარისი არ არის უბრალოდ იმის ახსნა, რომ ბავშვმა, საკუთარი ინტერესების გარდა, სხვა ადამიანის ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს. მე მგონია, აქ მხატვრულ ლიტერატურას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ გზით უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ ზოგჯერ ადამიანი საკუთარ „მეს“ თმობს და თავს უფრო მაღალი ღირებულებებისთვის წირავს. ეს, ფაქტობრივად, ღირებულებათა სწორი სისტემის ორგანულად შემუშავებას უკავშირდება.

აღნიშნული ასაკისთვის დამახასიათებელია გუნება-განწყობილების საოცარი ცვლა – დეპრესიიდან აღგზნებამდე და აღგზნებიდან ისევ ცუდ გუნებამდე. თუმცა ეს, ასე ვთქვათ, აღწერითი მომენტია. მხოლოდ ფიზიკური ფაქტორი რომ განსაზღვრავდეს აღნიშნული ასაკისთვის დამახასიათებელ პრობლემებს, ლოგიკის მიხედვით, ყველა რასის წარმომადგენელს გარდამავალ ასაკში მსგავსი პრობლემები უნდა ახასიათებდეს. ეს კი ასე არ არის. ამას მოწმობს ძალიან საინტერესო ეთნოგრაფიული გამოკვლევების შედეგები: წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ცენტრალურ აფრიკასა და ავსტრალიაში მცხოვრებ, რიტუალებზე დაფუძნებული კულტურის მქონე ტომების კვლევამ აჩვენა, რომ ჩვენთვის საინტერესო ასაკის თანამდევი სირთულე იქ არ არსებობს. გადასვლა ბავშვობიდან მოზრდილობამდე გარკვეული რიტუალით არის განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდი შეიძლება ფიზიკურად ძალიან მაღ-

ალი და ღონიერი იყოს, სანამ რიტუალით გათვალისწინებულ გამოცდებს გამძლეობაში, ამტანობასა და უშიშრობაში არ ჩააბარებს, ის მაინც ბავშვად ითვლება. მაგალითად, ცნობილი ეთნოგრაფი მარგარეტ მიდი წლების განმავლობაში სწავლობდა გარდამავალ ასაკს სამოას კუნძულებზე და დაასკვნა, რომ იქ არავითარი გარდამავალი ასაკი არ არსებობს. არიან ბავშვები და არიან მოზრდილები. თუმცა ფიზიკური ცვლილებები, ცხადია, იგივეა, რაც ჩვენთან. იქ არ არსებობს მეორე ფაქტორი, რაც პიროვნების ჩამოყალიბებას განსაზღვრავს – ესაა ღირებულებათა სისტემის შეცვლა, რომელიც ჩვენს თანამედროვე მოზარდებს ახასიათებთ. უპირველეს ყოვლისა, იცვლებიან ავტორიტეტები. ავტორიტეტი იყო მასწავლებელი და მშობელი. ახლა ავტორიტეტი თავისივე თაობის ან საზოგადოების რომელიმე სფეროს გამოჩენილი წარმომადგენელი ხდება, კარგი მომღერალი ან კარგი სპორტსმენი. ზოგჯერ კი, სამწუხაროდ, ე.წ. მიუღებელი საზოგადოების, ანუ ქუჩის წარმომადგენელი.

– რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს მასწავლებლებმა, მშობლებმა, რომ ბავშვს ეს მისთვის ძვირფასი, მისაბაძი, ხატებად თუ კერპებად ქცეული ავტორიტეტები არ დავუნგრიოთ და ამით ფსიქიკა არ დავუმახინჯოთ?

– მე, მაგალითად, მგონია, რომ იმ ხატებსა და ავტორიტეტებში შეიძლება ისეთი ღირებულებები მოინახოს, რომლებიც კაცობრიობის ძირითად ღირებულებებს არ არღვევს. ჩვენს დროში, ჩვენს საზოგადოებაში ძალიან ხშირად იცვლება ღირებულებათა სისტემა, მაგრამ ბირთვი მაინც უცვლელი რჩება. ეს ღირებულებათა ბირთვი ჩვენთვის 10 მცნებაშია დაცული. იგი ნებისმიერი დროისა და თაობის ინტერესებისთვის არის მიმზიდველი.

კატეგორიული ჩარევის ნაცვლად, ბავშვს ისეთი პიროვნება უნდა გავუხადოთ მისაბაძად, რომელსაც ის თვისებები ახასიათებს, რაც მოზარდსაც მოსწონს და რომელსაც, ამავდროულად, თავისი პიროვნული სიმაღლე აქვს. შეიძლება ისეთი პესონაჟი მოვნახოთ, კაცობრიობას რომ ემსახურება და თავისი საინტერესო ქცევით, საინტერესო აღმოჩენებით, საინტერესო საქმიანობით მოზარდისთვისაც მიმზიდველი იქნება.

– აღნიშნული ცვლილებების ფონზე მათთან მუშაობა რთულდება. პედაგოგებმა „გეზი" ხომ არ უნდა შეიცვალონ? მასწავლებლის მხრიდან რა უნდა იყოს სასწავლო პროცესის განმსაზღვრელი მთავარი პირობა?

– ამოსავალი ის არის, რაც ამ დროს მოზარდის ცნობიერებაში ხდება. მისი ქცევის განმსაზღვრელი თვითდამკვიდრების მოთხოვნილებაა. მას უნდა, დამოუკიდებელ პიროვნებად აღიარონ, ამიტომ ავტორიტარულ იმპერატივებზე აგებული პედაგოგიკა ამ ასაკში აბსოლუტურად მიუღებელია. ფსიქოლოგიურად, პიროვნების წონასწორობისთვის წარმატების განცდა აუცილებელია. თუ, ვთქვათ, ბავშვი მათემატიკას ვერ სწავლობს კარგად, ამას ხაზი კი არ უნდა გავუსვათ, არამედ ყოველთვის უნდა მოვნახოთ სფერო, სადაც იგი წარმატებას მოიპოვებს, სადაც საკუთარი თავის რეალიზებასა და თვითდამკვიდრებას მოახერხებს. ეს აუცილებელი მომენტია, მაგრამ თუ მოზარდმა ეს ვერ მოახერხა, ძალიან ადვილად შეიძლება გაუჩნდეს აგრესია. ე.ი. ფსიქოლოგიური პირობაა, მოინახოს ისეთი საქმიანობა, სადაც ბავშვი წარმატებას მიაღწევს, ეს მას თავდაჯერებულობას შემატებს და დადებით ემოციებსაც აღუძრავს. არ შეიძლება ყოველთვის ხაზგასმული იყოს: „შენ ვერ ახერხებ რაღაცას", ამით მას თავმოყვარეობას ვულახავთ.

– ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ ასაკში სამყაროს მიმართ ინტერესი იზრდება, ბავშვი გაცილებით ინტერესიანი, მაგრამ სწავლის თვალსაზრისით ნაკლებად აქტიური ხდება.

– მოდი, ამ საკითხს ფსიქოლოგიური კუთხით მივუდგეთ. 14 წლისთვის ლოგიკური აზროვნება მთლიანად ჩამოყალიბებულია. ესე იგი, არის ინტელექტუალური ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, ანუ პიაჟეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმალური ოპერაციების შესაძლებლობა. პედაგოგს ევალება, აამოქმედოს ეს ჩამოუყალიბებელი შესაძლებლობა. თუ მან ისევ გააგრძელა თვალსაჩინო და კონკრეტული მასალის საფუძველზე სწავლება, როგორც ეს დაწყებით

კლასებში ხდებოდა, მაშინ ბავშვის განვითარებას შეაფერხებს. ამ დროს მოზარდს ისეთი მასალა უნდა მივაწოდოთ, სადაც თვითონ დასჭირდება ზემოთ აღნიშნული ლოგიკური ოპერაციების ჩატარება. მას აზროვნება, განსხვავებულ ვარიანტებზე მსჯელობა სჭირდება. ესაა კრეატიულობა, შემოქმედებითობა, რაც სწორედ ამ ასაკში ჩნდება და რასაც, სამწუხაროდ, სკოლაში ძალიან ხშირად უარყოფენ.

– მასწავლებლისთვის თუ არსებობს მზა რეცეპტი, რომელიც შეიძლება თქვენ, როგორც ფსიქოლოგმა მიაწოდოთ: როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ არც ბავშვის ფსიქიკა დაზიანდეს და სწავლების მიზანსაც მივაღწიოთ.

– თქვენ იცით, რომ თანამედროვე პედაგოგიკა რეცეპტების წინააღმდეგია. რა თქმა უნდა, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ და ბავშვის მიმართ აუცილებლად ობიექტური უნდა ვიყოთ. ძალიან მომწონს ერთი საინტერესო ნაშრომი, რომელიც წინა საუკუნის ბოლოს შეიქმნა ამერიკაში: „პიგმალიონი კლასში". ამ ნაშრომის მიხედვით, მასწავლებელი მოზარდზე გარკვეულ სტერეოტიპულ წარმოდგენას იქმნის, მაგრამ მოზარდი დინამიკურია და იცვლება, მასწავლებელი კი საკუთარი წარმოდგენის მიხედვით მოქმედებს. იმის თქმა მინდა, რომ მოზარდის პიროვნული თვისებებიდან, სიტუაციიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ და ბავშვების რადიკალურ „დახარისხებას" მოვერიდოთ, არ ვთქვათ, რომ ვიღაც ბეჯითია, ვიღაც ზარმაცი, უწესრიგო და ა.შ.

– თქვენ ბრძანეთ, რომ ამ ასაკს თან სდევს მოზარდების მხრიდან აგრესიის გამოვლენა. სამწუხაროდ, ჩვენი რეალობისთვის ეს ძალიან მტკივნეულ საკითხად იქცა.

– არსებობს აგრესიის ძალიან ცნობილი თეორია, რომლის მიხედვითაც, აგრესია ადამიანს იმ შემთხვევაში უჩნდება, როცა მისი ძირითადი მოთხოვნილებები ბლოკირებულია, ანუ დაუკმაყოფილებელია. მოზარდის ძირითადი მოთხოვნილება დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნილებაა. თუ ის ყველაფერში შევზღუდეთ და თავისი ძალების გამოვლენის შესაძლებლობა არ მივეცით, ის ფუსტრირებული იქნება და აგრესია ბუნებრივად გაუჩნდება. მხოლოდ მშრალი ახსნა-განმარტებით არაფერი გამოდის. რაღაც ენერგეტიკული არხი უნდა ვაჩვენოთ, რომ მასში დაგროვილი დიდი მუხტი ისეთი გზით წავიდეს, რომელიც არც მისთვის და არც სხვისთვის ზიანის მომტანი არ იქნება. თუ ბავშვს საინტერესო საქმიანობაში ჩავრთავთ, ენერგიის სწორად გახარჯვის საშუალებას მივცემთ, ის აგრესიული მუხტისგან გათავისუფლდება.

– მშობლებიც და მასწავლებლებიც ფიქრობენ, რომ გარდამავალ ასაკში ბავშვს უფრო მეტი კონტროლი სჭირდება და, ბავშვის ენით რომ ვთქვათ, „სულ უკან დასდევენ". ბუნებრივია, ეს მოზარდში უარყოფით რეაქციას იწვევს. რას გვირჩევდით, როგორი უნდა იყოს ბავშვის ქცევის კონტროლის მექანიზმი?

– ქართველ მოზარდებზე ჩატარებული კვლევის შედეგები შვეიცარიასა და ნორვეგიაში ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგებს რომ შეადარეს, ჩვენს რეალობაში გადამეტებული კონტროლის მომენტი აღმოჩნდა – განსაკუთრებით ბიჭების შემთხვევაში. მოდი, „კონტროლის" ნაცვლად „მზრუნველობა" ვიხმაროთ. ჩვენთან გოგონები უფრო ადრე იწყებენ პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას. პრობლემებში, პირველ რიგში, სტრესის გამომწვევი შემთხვევები უნდა ვიგულისხმოთ. სტრესის დაძლევის სხვადასხვა სტრატეგია არსებობს: პირველი სტრატეგია უშუალოდ პრობლემასთან ბრძოლაა, მეორე – გაქცევა, სტრესისთვის თავის არიდება. აღმოჩნდა, რომ გოგონები პრობლემის დაძლევის გზების ძიებას ადრევე იწყებენ, იმავე ასაკის ბიჭები კი პრობლემას გაურბიან. ეს ჩვენი აღმზრდელობითი ზემოქმედების, გადამეტებული მზრუნველობის შედეგია. მშობლები ხშირად თავად ცდილობენ ბიჭების პრობლემების გადაჭრას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონტროლი საჭირო არ არის. გარედან კონტროლი თანდათანობით თვითკონტროლის მექანიზმმა უნდა ჩაანაცვლოს. გოგონები უფრო ადრე იწყებენ საკუთარი ქცევის კონტროლს, ბიჭებს შედარებით გვიან უჩნდებათ პრობლემასთან ბრძოლის უნარი. ამრიგად, დასკვნა არც ისე სასიამოვნოა: გადამეტებული ზრუნვით შეიძლება ხელი შევუშალოთ ბავშვის პიროვნულ განვითარებას.

– ჩვენი საუბრის ბოლოს მინდა გავიხსენო თქვენი ნათქვამი ნაკლებად ცივილიზებულ ტომებზე... როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებას რაღაც აქვს სასწავლი მათგან. რით შეიძლება ჩავანაცვლოთ ის რიტუალები?

–ჩემი აზრით, ასეთი ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბება პრობლემურ ასაკში გადასვლამდე უნდა ხდებოდეს. სიკეთის, სამართლიანობისა თუ კეთილშობილური ღირებულებების სისტემა თანდათანობით უნდა იქმნებოდეს და ამაზე საუბარი მხოლოდ მე-8 კლასიდან არ უნდა დავიწყოთ. ჩვენი პედაგოგიკა სწორედ ამას გულისხმობს. ამ ასაკის თავისებურება დამოუკიდებლობის სურვილია. თუ მოზარდს მუდმივად ისე უყურებენ, როგორც ბავშვს, ეს მასში დიდ პროტესტს იწვევს. მშობელმა სტრატეგია უნდა შეცვალოს. მოზარდს აზრობრივად ყველაფრის გაგება შეუძლია. არ უბრძანოთ რაღაცის გაკეთება, უბრალოდ, დაანახეთ, რა იქნება უკეთესი მისთვის თუ სხვისთვის.

■

იქ, სადაც ვერტმფრენს და გაზაფხულს იმედით ელიან

სკოლა-პანსიონი მთაში დარჩენილი პატარა ხევსურებისთვის

თინათინ მოსიაშვილი

„მთაში დარჩენილ ხევსურებს არდავიწყება უნდა“, – ლადო ჭინჭარაულის ეს სტრიქონი ინტერნეტში, სკაიპის ერთ-ერთ გვერდზეა გამოტანილი. თუ „ხევსური1“ გამწვანებულია, შატილის სკოლა-პანსიონში რომელიღაც მოსწავლე ან მასწავლებელი ინტერნეტში მუშაობს.

დეკემბრის ბოლოს მეგობრებმა სკოლას კომპიუტერები გადასცეს საჩუქრად და უკაბელო ინტერნეტიც მაშინ დაამონტაჟეს. ახალი ხილი მალე დააგემოვნა დიდმა თუ პატარამ.

გასაკვირი რა არის? განა მთელი მსოფლიო ინტერნეტით არ სარგებლობს? - შეიძლება იკითხოს ვინმემ. ასეცაა, მაგრამ... ინტერნეტი, ფაქტობრივად, ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც ხევსურები დანარჩენ საქართველოსა და სამყაროსთან დაკავშირებას ახერხებენ.

ოქტომბრიდან ივნისამდე პირიქითა ხევსურეთში სამანქანო გზა იკეტება და იქაურები ვერტმფრენის იმედად რჩებიან. ვერტმფრენი თვეში ერთხელ თუ ჩაფრინდა, მიღწევად ითვლება. ეს დღე მთაში დარჩენილთათვის დღესასწაულია და როგორც ნამდვილ დღესასწაულს შეეფერება, სკოლაში მეცადინეობაც იშლება ხოლმე.

მობილური ტელეფონი დათვიჯვრის უღელტეხილს იქით კი არა, აქეთაც არ იჭერს. კომუტატორიანი რადიო-ტელეფონით დარეკვაც ყოველთვის არ ხერხდება და ასე, მტერ-მოყვარეს დანატრებული, ერთმანეთისა და ღვთის იმედად რჩებიან ხევსურები; ელიან, სანამ „თოვლ არ აიღების და დათისჯვარ არ გატყდების“.

კავკასიონს მიღმა

პირიქითა ხევსურეთი ხევსურეთის იმ ნაწილს ჰქვია, კავკასიონის მთაგრეხილს მიღმა

შატილი გაზაფხულის მოლოდინში

რომ მდებარეობს.

პირიქითა ხევსურეთის ცენტრი – შატილი – არღუნისა და შატილისწყლის შესართავთან, კლდეზეა გაშენებული. უკანასკნელი კოშკი შატილში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აშენდა, პირველი – ჯერ კიდევ თამარის ხანაში. უმეტესობა გვიანი შუა საუკუნეებისაა. დღეს კოშკების დიდი ნაწილი საკმაოდ დაზიანებულია. რესტავრატორების თქმით, ზოგის აღდგენა ვეღარც მოხერხდება, თუმცა ეს სხვა თემაა...

შატილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარია, იქით – ჩეჩნეთი. ახლა აქ ნაკლებად მოდის „მაცნე“, ქისტებმა მოგვცეს ზიანიო... საზღვართანაც უმეტესად ხევსური მესაზღვრეები დგანან.

„მტერი-მოყვარე მთავარია, ჩვენთან არც ერთნი არ არიან, ყველასთვის გავმხდარვართ უცხო“, – ჩივიან ხევსურები. არცთუ დიდი ხნის წინ შატილი საკმაოდ ხალხმრავალი დასახლება იყო. ბოლო წლებში კი პირიქითა ხევსურეთში 20-25 კომლი იზამთრებს. წელს ხახაბოში 3 ოჯახი დარჩა, მუცოში – 3, არდოტში – 4, ხონისჭალაში – 4, ანდაქსა და გიორწმინდაში – 1-1, შატილში – 10-მდე. ამ შემთხვევაში, ოჯახი პირობითი ცნებაა და ხშირად ერთ მამაკაცს ან ერთ ქალს ნიშნავს.

მძიმე ზამთარი და რთული ყოფა სავსებით საკმარისია იმის ასახსნელად, რატომ ტოვებს მთას სულ უფრო მეტი ადამიანი. ბევრ სოფელში ზაფხულშიც აღარავინ არის.

მთის მასობრივად მიტოვება კომუნისტების დროს დაიწყო. თავიდან ამას იძულებითი სახე ჰქონდა. თითქმის ერთიანად აყარეს და ბარის გზას გამოუყენეს მთელი შატილი.

პირველად ერთი მოხუცი ქალი დაუბრუნდა კოშკებს. ის კარგა ხანს მარტო ცხოვრობდა. შემდეგ რამდენიმე ოჯახმაც მოისურვა დაბ-

შატილის სკოლა-პანსიონი

რუნება. ხელისუფლებაც დაფიქრდა იმაზე, რომ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და ტრადიციების მოშლა გაუმართლებელი იყო: მთას დაუბრუნდა მთიელიო, წერდნენ და ახალი შატილის აშენებაც დაიწყეს (ახალი შატილი ძველი ციხე-კოშკების გვერდით გაშენებული დასახლებაა).

სახელმწიფოს პოლიტიკის მიუხედავად, არსებობენ ადამიანები, თავად რომ აკეთებენ არჩევანს: „ხევსურობა ტვირთია და ეს ტვირთი კაცურად უნდა ატარო. დაუშვებელია, აქედან ყველა რომ წავიდეს“ – გვითხრა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ შატილში სტუმრობისას დათო ჭინჭარაულმა, რომელიც ახლა შატილის სკოლა-პანსიონში ფიზკულტურას ასწავლის. ის ბარში გაიზარდა, მაგრამ სამხედრო სამსახურის შატილში გავლა მოითხოვა და იქვე დარჩა.

ბარიდან დაბრუნდა მთაში სკოლა-პანსიონის ახლანდელი დირექტორი გელა დაიაურიც. გელა მუცოელია, ბარისახოს სკოლა-ინტერნატი დაამთავრა, მერე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ბოლო დროს მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. მუცოსა და შატილში ბევრი რამის გაკეთებას აპირებს.

ვირტუალური რეპორტაჟი

„ნეტავ აქ იყო, მარტის თვეში ნახავდი მუცოს“ – გელა დაიაურის ეს ლექსიც რომ არ ყოფილიყო, ზამთრის შატილისა და მუცოს მონახულება ისედაც ძალიან მინდოდა. ამას კიდევ

თინიკო მიხა მასწავლებლის გაკვეთილზე შეიპარა

ერთი სურვილი დაემატა: ჟურნალის ამ ნომრისთვის უშუალოდ შატილიდან ჩამომეტანა რეპორტაჟი. თუმცა, მცდელობის მიუხედავად, სურვილი ვერ შევისრულე: ერთადერთ ვერტმფრენს, მარტის ბოლოს რომ გაფრინდა შატილისკენ, ვერ გავყევი (ყველა მსურველს ვერ დაიტევდა). დანაკლისი „სკაიპური“ საუბრებით, შემდეგ თბილისში ვერტმფრენს ჩამოყოლილი გელა დაიაურისა და ირაკლი ჭინჭარაულის ნაამბობით შევავსე.

შატილში დაწყებითი სკოლა 1947 წელს დაარსდა, სკოლა-ინტერნატი – 1991 წელს. 2001 წელს შენობა ხანძარმა გაანადგურა და სკოლამ ერთ-ერთ სახლს შეაფარა თავი. მაშინ იქ 40-მდე ბავშვი სწავლობდა, მერე მოსწავლეთა რაოდენობა თანდათან შემცირდა. 2005 წელს გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციის "MENSHEN IN NOT" („ადამიანები გასაჭირში“) ფინანსური დახმარებით, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ინტერნატი აღდგა და დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში: მშვენიერი სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსით, ნათელი და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახებით. თუმცა პრობლემა მაინც ბევრი აქვთ.

ოქტომბერში შატილის სკოლა-პანსიონის ერთ-ერთ კლასში გაკრული იყო მორიგეობის განრიგი, რომელიც ასე გამოიყურებოდა:

ორშაბათი – სოფიო ჭინჭარაული
სამშაბათი – სოფო ჭინჭარაული
ოთხშაბათი – სოფიკო ჭინჭრაული
ხუთშაბათი – სოფა ჭინჭარაული
პარასკევი – სოფი ჭინჭარაული

როგორც მიხვდით, სოფიო-სოფო-სოფიკო-სოფა-სოფი ერთი მოსწავლე, მეექვსეკლასელი სოფო ჭინჭარაულია. როგორც ჩანს, მოწყენილი ასე იხალისებს თავს. სოფოს მამა მასწავლებელია, ძმებიც შატილში სწავლობენ.

სოფოს გარდა, სკოლაში კიდევ ერთი გოგონაა — თინიკო ჭინჭარაული. რამდენიმე წლის წინ, თინიკოს კლასელი – ლევანი ოჯახთან ერთად ბარში ჩასახლდა. ახლა თინიკოც მარტოა კლასში, უნდა თუ არა, ყველა გაკვეთილს სწავლობს.

მერვე კლასშიც ერთი მოსწავლეა – ისიც ჭინჭარაული, დათო.

პირველი კლასი არ არის. მესამეში ორნი არიან: გაგა დაიაური და მინდია ჭინჭარაული. ყველაზე მრავალრიცხოვანი მეთერთმეტე კლასია, სადაც 4 ბიჭია (ირაკლი და გიგი ჭინჭარაულები, გიორგი არაბული და ზვიად გოგოჭური). ეს არის და ეს...

სკოლა-პანსიონში 8 პედაგოგი და აღმზრდე-

შატილიონნი

ლია: გელა დაიაური (დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), შოთა ჭინჭარაული (ისტორია) ამირან სანაშვილი (ფიზიკა-მათემატიკა), თინა არაბული (რუსული და გერმანული ენები), მიხა ჭინჭარაული (გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია), დათო ჭინჭარაული (ფიზიკური კულტურა), ელენე წიკლაური (შრომა, ხატვა), მაყვალა დაიაური (დაწყებითი კლასები).

9 მოსწავლე და 8 მასწავლებელი...

რამდენიმე წლის წინ ვერაფრით მიხვდნენ უცხოელი ექსპერტები, რატომ უნდა შეენახა სახელმწიფოს სკოლა, სადაც მოსწავლე-მასწავლებლის ასეთი თანაფარდობა იყო (თუმცა მაშინ შატილში უფრო მეტი მოსწავლე ჰყავდათ). მათი რეკომენდაციებით, ხელისუფლებას ინტერნატი უნდა დაეხურა. საბედნიეროდ, განათლების მაშინდელმა მესვეურებმა ასეთი გამოსავალი მონახეს: ექსპერტები ზამთარში შატილში ჩააფრინეს და... სკოლა-ინტერნატი გადარჩა.

სკოლა-პანსიონში ქვემო სოფლების მკვიდრნი ან მიღმახეველებიც დადიან. მიღმახევი ხეობაა, სადაც არის სოფლები: მუცო, არდოტი, ხახაბო, ხონისჭალა, ანდაქი, არჭილო. იქიდან შატილამდე 20-30 კილომეტრია. ამ გზას, ცხადია, ყოველდღე ვერ გაივლიან (ტრანსპორტი ზამთარში კი არა, ზაფხულშიც არ დადის) და მიღმახეველი მოსწავლეები პანსიონში რჩებიან. თუმცა მთელი ხეობიდან ახლა მხოლოდ მესამეკლასელი გაგა დაიაური დადის სკოლაში. ორშაბათ დილას ის მუცოდან ფეხით გაუყვება შატილისკენ მიმავალ გზას და შუადღემდე ჩადის სკოლაში. მასწავლებლები ამას ითვალისწინებენ და დაღლილ ბიჭუნას იმ დღეს გაკვეთილს არ ეკითხებიან.

ისევ გელა დაიაურს თუ დავესესხებით:

„ასე ურღევი და ურყეველი, / მტრისათვის ხარკის უძლეველი,

გაუტეხელი და უძლეველი / ჟამისგან ძლეულა მუცო“.

აქ ახლა აღარც „მოცვზე ცილობაა“, აღარც „ცეკვა და სიცილობა“, ჟამისა და უბავშვობისგან ძლეულა, „ბეჭები დაბზარვია“ მუცოს.

თუ რამდენიმე წლის წინ ხონისჭალაში მაინც იყო დაწყებითი სკოლა, ახლა ბავშვი იქაც არ დარჩა.

მომავალ წელს ალბათ შატილის სკოლა-პანსიონში გადავლენ გიორგი და თაია არდოტელები.

პირიქითა ხევსურეთში ჯერჯერობით კიდევ ერთი სკოლაა, ფინანსურად შატილის სკოლა-პანსიონს დაქვემდებარებული – არდოტის დაწყებითი სკოლა. იქ ნიკო არდოტელს ორი მოსწავლე ჰყავს: საკუთარი შვილები – გიორგი და თაია. ნიკო არდოტელი ის ადამიანია, მარტო რომ ცდილობს თავისი სოფლის შენარჩუნებას: ხეობის გამგებელიცაა, მესაზღვრეც, მასწავლებელიც....

„ჯერ ვახერხებთ სოფლად დარჩენას, მაგრამ ბავშვები იზრდებიან. რა თქმა უნდა, გვინდა, ჩვენი შვილები განათლებული ადამიანები იყვნენ. დაწყებითი განათლების მიღება შინაც შეიძლება, მაგრამ მერე რას ვიზამთ, არ ვიცით...“ – გვითხრა ერთხელ ნიკოს მეუღლემ, მარინე დაიაურმა. სოფლიდან ბევრი ოჯახის აყრა სწორედ სკოლისა და მასწავლებლების არარსებობამ გამოიწვია.

თუშეთში სკოლა უკვე აღარ არსებობს, ერთბავშვიანი სკოლა-ინტერნატი ომალოში ორი წლის წინ დახურეს.

რა აწუხებს დირექტორს

„ჩვენს სკოლას განახლებული და საკმაოდ კეთილმოწყობილი შენობა აქვს. ამ მხრივ, ნამდვილად არაფერი გვაქვს საწუწუნო, არც ინვენტარის პრობლემაა. შარშან, www.karavi.ge-ს მიერ ორგანიზებული „ხევსურული საღამოს“ შემდეგ, სპორტული და სასწავლო ინვენტარი გვიყიდეს. რამდენიმე გამომცემლობამ („ინტელექტი“, „არტანუჯი“, „დიოგენე“) სახელმძღვანელოებიც გამოგვიგზავნა“, მადლიერია სკოლის დირექტორი.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა ზამთრისთვის სკოლის შეშითა და პროდუქტით მომარაგებაა. თუ ანგარიშზე აგვისტო-სექტემბერში ერთიანად არ ჩაირიცხა თანხა, მერე დიდი მანქანით უღელტეხილზე შეშის გადატანა შეუძლებელია.

გელა დაიაური მეუღლესთან, თეონა ქუმსიაშვილთან ერთად

„ვერ გავარკვიეთ, ვინ უნდა გადაუხადოს ხელფასი ტექნიკურ პერსონალს. ფინანსთა სამინისტრო გამგეობას აფრთხილებს, სკოლების საქმეში არ ჩაერიოთ, ეს განათლების სამინისტროს პრეროგატივაა. რესურსცენტრი გამგეობისკენ მიგვითითებს და ჯადოსნური სამკუთხედი იკვრება", – ჩივის გელა დაიაური.

სკოლას (მასწავლებლების ხელფასის ჩათვლით) ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს, პანსიონსა და აღმზრდელებს – ადგილობრივი. ეს კი, მართვის თვალსაზრისით, პრობლემას ქმნის: დირექტორს სხვადასხვა უწყებაში უწევს სირბილი. არადა, სად ირბენ, როცა გზა ჩაკეტილია.

შატილში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი ხშირად არ ჰყავთ. შარშან მათემატიკის მასწავლებლის ვაკანსია ჰქონდათ და ამირან სანაშვილი დუშეთიდან წავიდა იქ სამუშაოდ, თუმცა ხელფასზე დანამატი დღემდე არ აუღია.

გელა დაიაურის თქმით, „ოლიმპიური ვარსკვლავისა" და მისი პრეზიდენტის, ზაზა რაზიკაშვილის კეთილი ნება რომ არ ყოფილიყო, შეიძლება შატილის სკოლა-პანსიონი დახურულიყო კიდეც. შარშან მათ გაიღეს თანხა კვებისა და ტექ-პერსონალის ხელფასების დასაფარად. ბოლო დროს დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობაც გააქტიურდა. წელს დაფინანსებასაც დაჰპირდნენ.

„ოლიმპიური ვარსკვლავისა" და ფშავ-ხევსურეთის აღორძინების ფონდის ინიციატივით დაამონტაჟეს შატილში უკაბელო ინტერნეტიც. დეკემბერში მათ რამდენიმე თვის თანხა წინასწარ გადაიხადეს.

„აბა, ხევსურებო, როგორ ხართ? რა ხდება შატილს?"

„რა გვიშავს, ვართ მაგრად. რა ხდება? თოვს".

ასეთი „სკაიპური" დიალოგები ამ ზამთარს ხშირი იყო. გაჭირვებისას ბიჭები თბილისში პაატა ვარდანაშვილსა და სანდრო შანიძეს ეხმიანებოდნენ, თუმცა ინტერნეტს ისე აუღეს ალღო, ქალაქში ახალ-ახალი ფოტოების გამოგზავნაც არ ავიწყდებოდათ (ფოტოაპარატიც მეგობრებმა დაუტოვეს).

„ალბათ, საქართველოს არც ერთი სკოლა არ არის ჩვენნაირ პირობებში. მითუმეტეს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ვცხოვრობთ. ერთადერთი, რაც ხალხს მთაში აკავებს, სასწავლებელია. სკოლა აქ სასიცოცხლო არტერიაა და მისი დახურვა სოფლის დაცლას ნიშნავს. განა რა დაუჯდება სახელმწიფოს, სკოლა-პანსიონი სრულად ცენტრალური ბიუჯეტიდან რომ დაფინანსდეს?

მინდა, განვაცხადო: თუ განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციეთ შატილს და სკოლას, ჩვენს თვალწინ მოკვდება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი და ამასთანავე, სტრატეგიული კუთხე, უნიკალური თავისი თვითმყოფადი არქიტექტურით, წეს-ადათებით. იქნებ ყველა ერთად დავფიქრდეთ, სანამ გვიან არ არის", – წუხს გელა დაიაური.

დასასრულის მაგიერ

„დაცლილა ბრგე ხევსურეთი, ნაღვლიანი ვარ ამადა", – ამბობს ერთ ლექსში ირაკლი ჭინჭარაული. ის სკოლა-პანსიონში სწავლობს და ყველა ხევსურის მსგავსად, ლექსებს წერს. სხვანაირად როგორ უნდა გაუძლონ ზამთრის გრძელ ღამეებს, ვერტფრენის, გაზაფხულისა და უღელტეხილის გატეხვის მოლოდინს?

ირაკლი მომავალ წელს ამთავრებს სკოლას.

„გოგონები ხშირად წუწუნებენ, შატილში ხალხი არ არისო. ბიჭების საქმეს რა დალევს: ზამთარში შეშა აქვთ დასაჩეხი, თოვლი გადასახვეტი. მოხუცების პატრონობაც ხომ ჩვენი საქმეა", – ამბობს ირაკლი. მომავალში რას აპირებს? „ძალიან მიყვარს პოეზია და ლიტერატურა, მაგრამ ალბათ ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარებ. მიმაჩნია, რომ ეკონომიკური განათლებით მეტს მივაღწევ. ხევსურეთში თუ დავბრუნდები? აუცილებლად, ოღონდ არ მინდა, დავბრუნდე, როგორც გლეხი. გლეხობასა და მესაქონლეობაში სათაკილო არაფერია, მაგრამ მე და ჩემს მეგობრებს გვინდა, ისეთი რამ გავაკეთოთ, რაც შატილსა და ხევსურეთს უფრო გამოადგება".

ცხრა მოსწავლიდან ოთხი მომავალ წელს ამთავრებს სკოლას. წელს პირველ კლასში, სავარაუდოდ, ორი მოსწავლე ეყოლებათ, რამდენიმე ხევსური შვილის ბარიდან შატილში სასწავლებლად გადაყვანას აპირებს.

„მგონი გვეშველება რაღაც, ცოტაც გაუძელი... მუცო!" – ესაც გელა დაიაურია.

თუ სკოლა იქნება და კარგი მასწავლებლები იმუშავებენ, სირთულეების მიუხედავად, პირიქითა ხევსურეთში არ დაილევიან პატარა შატილელები, მუცოელები, არდოტელები...

„ბეჭედდაბზარული" მუცო

„ჩემო განათლების მინისტრო, მარინა კუხალაშვილს ყველაფერი ესმის“...

თეა ზიბზიბაძე

ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლას იმის გამო მივაკითხეთ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლებმა კვლევისთვის დარიგებულ კითხვარებში ერთ-ერთ მასწავლებელზე წარმოუდგენელი შეფასებები ამოიკითხეს.

„ჩემო განათლების მინისტრო, მარინა კუხალაშვილს ყველაფერი ესმის: მათემატიკა, სამართალი, ისტორია...– ყველაფერში ის იყოს რა ჩვენი მასწავლებელი,“ – წერდა ერთი მოსწავლე კითხვარში.

კვლევის კითხვარში, რომელიც მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში პრობლემური საკითხების გამოვლენას ეხებოდა, ბავშვებმა შეფასების 10-ქულიანი კრიტერიუმი საკმარისად არ მიიჩნიეს და მარინა კუხალაშვილს 100, 1000, 1000 000 000 000-იც დაუწერეს.

„მასწავლებლებს ვურჩევ, მიბაძონ მარინა კუხალაშვილს. იგი უმაგრესი მასწავლებელია მთელ საქართველოში“, “Marina is the best” , “Marina forever”.

ასე აღმოვჩნდით მარინა მასწავლებლის გაკვეთილზე, მე-9 კლასში.

ზარი დაირეკა...

ისტორიის გაკვეთილი იწყება: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე უნდა ისაუბრონ. პედაგოგი გაკვეთილის ჩატარების ტრადიციულ სქემაზე დროებით უარს ამბობს და მოსწავლეებთან დიალოგს ირჩევს. მარინა მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებს ის მიზეზები გაახსენოს, რამაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაძაბა. იგი მოსწავლეებს მიმართავს: „მითხარით, რა ასოციაციას იწვევს თქვენში 9 აპრილი?“

იწყება დისკუსია, რომელშიც მთელი კლასი მონაწილეობს. მერე კამათში მარინა მასწავლებელიც ერთვება. აღმოჩნდა, რომ 9 აპრილი საქართველოსთვის ტრაგიკული დღე მხოლოდ 1989 წელს არ ყოფილა. რუსეთის ჯარი საქართველოში პირველად 1802 წლის 9 აპრილს შემოვიდა... ორივე შემთხვევაში მკვეთრად გამოხატული ძალადობა იყო...

დიალოგი, სიახლე, საინტერესო ინფორმაცია – ასეთია ყოველი გაკვეთილი, რომელსაც

პედაგოგი მარინა კუხალაშვილი ატარებს.

„ჩემი შეხედულება მარინა კუხალაშვილზე შემიძლია ერთ სიტყვაში ჩავტიო: ის პიროვნებაა, – ამბობს სკოლის დირექტორი თამაზ ჭაბუკიანი, – თითოეულ გაკვეთილზე დიდი ემოცია შეაქვს, დახარჯულ ენერგიას ისევ ბავშვების სითბოთი და სიყვარულით ივსებს“.

„ძალიან კარგი ადამიანია. რასაც გვასწავლის, იმას ითხოვს კიდეც. წიგნის მასალასთან ერთად, დამატებითი მასალაც მოაქვს. მას მუდამ ყურადღებით უსმენ – ამბობს მოსწავლე მაია მამასახლისი.

მარინა კუხალაშვილმა პირველი გაკვეთილი 22 წლის წინ ჩაატარა. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ავტოქარხანასთან არსებულ ტექნიკურ სასწავლებელში ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, თუმცა თავიდან ქართულის მასწავლებლობა სურდა. შემდეგ იყო 33-ე სკოლა, 1994 წლიდან კი მე-3 სკოლაში მუშაობს. განვლილი წლები მისთვის დაგროვილ გამოცდილება და სასიამოვნო მოგონებებია, ყველაზე მტიკვნეული აფხაზეთი და მშობლიური სკოლაა.

მარინა ოჩამჩირეში, არადუში დაიბადა, იქვე, არადუს საშუალო სკოლა დაამთავრა. „დილით კავკასიონიდან, ღამით კი — ზღვიდან მონაბერ ჰაერს ვსუნთქავდით. ცხოვრებაც ძალიან ხალისიანი იყო. უამრავი ტურისტი ჩამოდიოდა,“ – იხსენებს იგი.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისში ცხოვრობს, სოხუმის დაცემა საკუთარი თვალით ნახა.

„ჩემმა ოჯახმა სოხუმის დაცემის შემდეგ ოჩამჩირე დატოვა. მერე თქვეს, ომი შეწყდაო.

დედა და ჩემი ძმისშვილები დაბრუნდნენ. მათ სანახავად სოხუმში რძალთან ერთად ჩავედი. მახსოვს, მძღოლს ქალები არ მივყავდით. ბავშვები და დედა ქუთაისში გამოვამგზავრეთ, ჩვენ კი ჩემი ძმის სანახავად დავრჩით. სახლთან ახლოს საბრძოლო შტაბი იყო. დღესაც მახსოვს ის შავი კვამლი, იქ რომ ტრიალებდა. სამი დღე მოგვიწია სახლში დარჩენა. ბოლოს, თუკი რამე გვქონდა, შევკარით და საწოლის ქვეშ შევინახეთ. იმედი გვქონდა, რომ მალე დავბრუნდებოდით – იხსნებს მარინა კუხალაშვილი.

სკოლაში გამორჩეული მოსწავლე იყო. მისმა დამრიგებელმა ქართული არ იცოდა და ყველაფერს თვითონ აგვარებდა. „დამრიგებლის თანაშემწედ ვითვლებოდი. ქართულის მასწავლებელი ამბობდა ხოლმე, რაც არ უნდა დაღლილი იყო, ამ ბავშვის თვალებს რომ შეხედავ, ენერგია გემატებაო“.

პედაგოგისათვის საჭირო მეთოდებს თავისი მასწავლებლებისგან ითვისებდა.. ყველას და ყველაფერს აკვირდებოდა. მათგან ისწავლა სიმკაცრეცა და ლმობიერებაც.

„გამორჩეული ბუნებისა და ხასიათის პედაგოგია. მუდამ სიახლის ძიებაშია. კიდევ ერთი: შეიძლება ბავშვი ავად იყოს და მეცადინეობის სურვილი არ ჰქოდეს, მაგრამ თუ მარინა კუხალაშვილის გაკვეთილი აქვს, სკოლაში აუცილებლად მოვა“, – ამბობს სკოლის დირექტორი.

მარინა კუხალაშვილის გაკვეთილზე ყოველთვის სრული დასწრებაა. მოსწავლეები მისგან წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ინტერესით ელიან.

„მიმაჩნია, რომ მოსწავლეებს ჩემი ხათრი და რიდი აქვთ. შიშით დღეს ვერავის შეაშინებ“, – ამბობს პედაგოგი, რომელმაც ბავშვის ფსიქოლოგია ძალიან კარგად იცის. თითოეულ ბავშვთან მისასვლელ გზას ეძებს. მისი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურია...

„თითოეულს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. არ არსებობს ბავშვი, რომელსაც ის კუთხე არ ჰქონდეს, საიდანაც შეგიძლია მიუდგე. ყველაზე ძნელად აღსაზრდელებსაც კი აქვთ მისასვლელი გზა, ოღონდ უნდა იპოვო იგი. თუ ამას მოახერხებ, ბავშვი ყველაზე ადრე იგრძნობს ამას,“ – ამბობს მარინა კუხალაშვილი.

ნოვატორი პედაგოგი სწავლების ძველ მეთოდებსაც იყენებს. ხელაღებით არაფერს სპობს. სინთეზი კი ორიგინალური, საინტერესო და ყველასთვის სასურველი გამოდის.

„გაკვეთილზე ძალიან თავისუფლად ვართ. ის საუკეთესო პედაგოგია. თითქოს განსაკუთრებულს არაფერს გვასწავლის, მაგრამ ყველაფერს გვაძლევს. შემიძლია ვთქვა, რომ ის საუკეთესო მასწავლებელია, ნამდვილი ეტალონი,“ – ამბობს მოსწავლე თამარ ტორელი.

მასწავლებელი დიდ პატივს სცემს ყველა მოსწავლის აზრს. ბავშვებთან მუდამ თავაზიანი, გაწონასწორებული და მშვიდია:

„არასოდეს ვაგრძნობინებ ბავშვს, რომ სწორად ვერ მიპასუხა. მაინც კმაყოფილი ვარ, რომ რაღაც თქვა, ე.ი. მომისმინა. აზრი ხომ გაუჩნდა, თუნდაც მცდარი! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს ნათქვამზე იფიქრა“, – ამბობს პედაგოგი.

მოსწავლის ყურადღება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებლის უმთავრესი მიზანი ბავშვისთვის განათლების მიცემაა. ამავე დროს, ის მხოლოდ პედაგოგი როდია, პირველ რიგში, მათი მეგობარია. მოსწავლეები მას პირად პრობლემებზეც ესაუბრებიან. პირისპირ გამართულ დიალოგებს კი ხშირად ტელეფონი ენაცვლება, მათი მეგობრული ურთიერთობა მოკლე ტექსტური შეტყობინებებითაც გრძელდება.

„ახლობლები ყოველთვის ხუმრობენ, როდესაც შეტყობინება მოდის ჩემს ტელეფონზე. ვინ იქნება, მოსწავლის გარდა!“ – ამბობს მარინა კუხალაშვილი. მისთვის მთავარი ბავშვია და მთელ დროს მოსწავლეებთან ატარებს. მათ მუდამ პატივისცემასა და სიყვარულს ასწავლის: „ამას არ სჭირდება არც კანონი და არც ჩხუბი. ბავშვს რასაც მიაჩვევ, იმას მიეჩვევა – აღნიშნავს პედაგოგი, რომელსაც არასოდეს ავიწყდება, რომ მოსწავლეებს კარგი საქციელისთვის მადლობა გადაუხადოს.

მარინა კუხალაშვილის დამრიგებლობისთვის მისმა სადამრიგებლო კლასმა ბოლომდე იბრძოლა და შედეგად, სასურველი პედაგოგი „მოიპოვა“.

„აქამდე ორჯერ მყავდა სადამრიგებლო კლასი. როდესაც საქმეს აკეთებ, ბოლომდე უნდა დაიხარჯო და ეს ძალიან დამღლელია. აღარ ვაპირებდი დამრიგებლობას, მაგრამ მოსწავლეებმა და მშობლებმა არ მომასვენეს. ამ ჯგუფმა განცხადება დაწერა და ჩემი დამრიგებლობა ითხოვა, მეორე კლასი კი ზეპირი მოლაპარაკებებით აგვარებდა საქმეს. ჩემმა ჯგუფმა დოკუმენტაციით მოიგო. ასე გავხდი მათი ხელმძღვანელი – ღიმილით იხსენებს მარინა კუხალაშვილი.

მარინა მასწავლებელი ასეთი დაფასების გამო ძალიან ბედნიერია, თუმცა საოცნებო მაინც აქვს: უნდა, აფხაზეთში, თავის მშობლიურ სკოლაში ჩაატაროს გაკვეთილი.

„მასწავლებლობა მაგალითს ნიშნავს“

ნუცა კობახიძე

თბილისის 51-ე სკოლის 207-ე ოთახში ღია გაკვეთილი იწყება, მეოთხე კლასის მოსწავლეები მერხებთან განაბულან. ირინა მასწავლებელი ბუნების დაცვასა და მის მნიშვნელობაზე გადამდები სიმშვიდით საუბრობს. ოთახში გაზაფხულის სურნელი ტრიალებს.

ბუნებას რომ გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, ეს ყველა მეოთხეკლასელმა იცის. ისიც ადამიანივით განიცდის ყველაფერს და მეგობრობასა და სიყვარულს ითხოვს. ირინა მასწავლებელი კითხვის დასმას ვერც კი ასწრებს, ბავშვები მერცხლებივით წამოფრინდნენ მერხებიდან, ყველას უნდა, მასწავლებელს უპასუხოს: „იცით, მე სოფელში ყვავილი დავრგე“... „მე ერთხელ ულამაზესი ბალახი დავინახე“... ბავშვების ფანტაზია და რეალობა ერთმანეთში ირევა.

„მასწავლებლობა ბავშვობიდანვე მიყვარდა. როცა გაკვეთილები უნდა მესწავლა, სკამებზე თოჯინებს დავსვამდი ხოლმე, ვითომ მოსწავლეები იყვნენ, მე კი – მასწავლებელი. თოჯინებს გაკვეთილს ვუხსნიდი და ისინიც, ჩვეულებრივ, იმ მასალას ,,იმეორებდნენ“, რასაც ვასწავლიდი“, – ამბობს ირინა სიხარულიძე. მან დაწყებითი განათლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. ბედნიერია, რომ პროფესია სწორად აირჩია. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე თბილისის 125-ე სკოლაში გაანაწილეს. სწორედ აქედან იწყება მისი მოღვაწეობა, რომელიც უკვე 29 წელს ითვლის.

წლების მანძილზე მიღებულმა გამოცდილებამ სურვილი გაუჩინა, ინოვაციური მეთოდები შეექმნა. მუშაობის პროცესში ყოველდღიურად ახალი ინიციატივების შეტანას ცდილობდა.

ირინა სიხარულიძე მასწავლებელთა იმ ნაწილს ეკუთვნის, საკუთარ პროფესიაზე შთაგონებით რომ საუბრობენ და საქმე ცხოვრების აზრად გაუხდიათ. უფასდება კიდეც – წლის მასწავლებლად ორჯერ დაასახელეს.

„მასწავლებლობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ის, რაც ეპატიება სხვა ადამიანს, არ ეპატიება მასწავლებელს... მასწავლებელი, პირველ რიგში, მაგალითს ნიშნავს.“

ინდივიდუალური მიდგომა

ირინა მასწავლებელი თითოეულ ბავშვს, როგორც პიროვნებას, ისე უყურებს, ცდილობს,

მის ღირსებაზე გაამახვილოს ყურადღება, ინდივიდუალურად მიუდგეს, მისი მდგომარეობა გაითვალისწინოს. ხშირად ბავშვის განწყობილებას ისიც განაპირობებს, რა ნახა ტელევიზორში, რა განიცადა, ან რამ გაახარა წინა დღეს. ამ ყველაფრის გათვალისწინების გარეშე, წარმატებაზე საუბარი ზედმეტია. **„მასწავლებლის მხრიდან შექებას, ჯილდოს, წახალისებას, დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ სწავლის დონე და მოტივაცია ამაღლდეს, თუმცა გადაჭარბებულ შექებას საპირისპირო შედეგი მოაქვს – ბავშვი ეჩვევა და მოტივაციაც უქვეითდება. აქაც ზომიერება და ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო“**, – ამბობს ირინა მასწავლებელი.

შეფასება

დამეთანხმებით, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება ყველაზე რთულია. ირინა მასწავლებელს ამ საკითხის მიმართაც საკუთარი დამოკიდებულება აქვს:

„ყოფილა შემთხვევა, ბავშვს ძალიან მოუნდომებია და ისე მოუმზადებია დავალება, 500 ქულაც, მილიონიც დამიწერია. თან დამირთავს კომენტარები: „აღფრთოვანებული ვარ შენი ნაშრომით“, „რა კარგად მიგიგნია“, „ყოველთვის ველი შენს ნამუშევარს, რადგან ვიცი, რომ იქ სი-

ურპრიზი დამხვდება“, „თუმცა კარგი იქნება, თუ მართლწერას, სამუშაოს შესრულების ხარისხს მიაქცევ ყურადღებას“ და ა.შ. თუ ბავშვის ნამუშევრით უკმაყოფილოა, უარყოფით კომენტარს მაინც ერიდება, ცდილობს, საკუთარი აზრი სხვანაირად გამოხატოს, მაგალითად: „უმჯობესი იქნებოდა...“, ან „უფრო გამიხარდებოდა...“.

რთული ბავშვები

ბავშვი ცელქობის გარეშე წარმოუდგენელია, თუმცა როცა ბავშვი განსაკუთრებულად მოძრავი, ანუ ჰიპერაქტიურია, ქალბატონი ირინა ცდილობს მოზარდი გარკვეულ ჩარჩოებში ისე მოაქციოს, რომ მას კომპლექსი არ გაუჩნდეს. ამ ყველაფერს ირინა მასწავლებელი ისევ და ისევ შექებით აღწევს: „მაგალითად, ბავშვს ვეტყვი, რომ ის კლასის ორგანიზატორია. განსაკუთრებით მოქმედებს მოზარდზე ისეთი სიტყვებით შექება, რომლებიც მას საკუთარ დადებით თვისებებს დაანახებს“. რთულ ბავშვებს დიდი ყურადღება სჭირდებათ, თუმცა ირინა მასწავლებელი იმასაც ითვალისწინებს, რომ გადაჭარბებული ყურადღება და რჩევა-დარიგებები მოსწავლეებს მალე ბეზრდებათ. სიტყვიერი წახალისება, მისი პიროვნული თვისებების ხაზგასმა, მისი გატოლება ისეთ ბავშვთან, რომელიც სხვებისთვის სამაგალითოა, უკვე საკმარისია. დროთა განმავლობაში კი ეს ჩვევად ექცევა.

მასწავლებლის როლი

ირინა მასწავლებელს ბევრი ვესაუბრე ბავშვებში მომატებულ აგრესიაზე, სტატისტიკაც მოვიშველიე, მაგრამ ის მაინც ბავშვების მხარეს იყო, მასწავლებლის როლსა და პასუხისმგებლობაზე გამორჩეულად მიუთითებდა: **„კლასში სწავლისთვის სასურველ გარემოს მასწავლებელი ქმნის. თუ მას აგრესიული განწყობა აქვს, ეს კლასის განწყობაზეც შესაბამისად აისახება.** მე მომწონს ურთიერთობა, რომელიც ჩემს კლასშია: ბავშვი არასოდეს არ მეტყვის, რომ ვიღაცამ მას რაღაც დაუშავა, რადგან ნათქვამი მაქვს: მე ეს არ დამინახავს და ვერ გეტყვით, რომელია მართალი. ყველაფერი თავად უნდა მოაგვაროთ“.

ახალი მიდგომა და განათლების რეფორმა

სწავლების ახალი მიდგომა და ტექნოლოგიები ზოგიერთ მასწავლებელს აღიზიანებს, რადგან თავსმოხვეულად მიიჩნევს. ნებისმიერ სფეროში, სიახლე დამატებით შესაძლებლობად უნდა აღვიქვათ და საკუთარი შეხედულების მიხედვით გამოვიყენოთ.

ირინა სიხარულიძის აზრით, წარმატებისათვის სიახლე აუცილებელია, მაგრამ სიახლესაც გამოცდა სჭირდება. მაგალითისთვის, ჯგუფური მუშაობა ავიღოთ. მას თავისი ფუნქცია აქვს, თუმცა ეს ფორმა ყოველთვის ვერ იქნება ეფექტური.

„ახალი მეთოდები მომწონს, თუმცა, რაც არ მომწონს, იმას არც გამოვიყენებ. ამის გამო პრობლემას არ შევქმნი. თუ ჩემს კლასში კარგი შედეგი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი განათლების სისტემა სწორი გზით მიდის. ამისთვის საჭირო არ არის, სერიოზულ ბერკეტს ვფლობდე. მე მასწავლებელი ვარ და ეს საკმარისია. **წარმატება მაშინ მოდის, როდესაც საქმეს სიყვარულით და პატივისცემით აკეთებ. მჯერა, რომ ჩემი კოლეგებიც ასე ფიქრობენ. მათ გამძლეობას და შემართებას ვუსურვებ!**“.

როდესაც ირინა მასწავლებელს უსმენ, გავიწყდება, რომ განათლების სისტემაში ჯერ ბევრი რამ არის დასახვეწი, გავიწყდება იმიტომაც, რომ გჯერა: რეფორმა საკლასო ოთახიდან, თითოეული გაკვეთილიდან იწყება, თითოეული გაკვეთილის წარმატება განათლების სისტემის წარმატებაცაა და პირიქით. საქმისადმი სწორი მიდგომა და მოქალაქეობრივი შეგნება სწორედ ეს არის.

ირინა მასწავლებელზე სტატიას მისი მოსწავლის, მეოთხეკლასელი ნიკა გაბაშვილის სიტყვებით დავასრულებთ:

გადატვირთული გზები და ალბათობის თეორია

ინგა წერეთელი

„ერთი გაკვეთილის“ პირველი სტუმარი ამერიკული აკადემიის მათემატიკის მასწავლებელი ლაშა კოკილაშვილია. სასწავლებელში ორასამდე ბავშვი სწავლობს. თითოეულ ჯგუფში დაახლოებით თხუთმეტი მოსწავლეა. სწავლება, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ასევე, რუსული ენისა და ლიტერატურის საგნებს თუ არ ჩავთვლით, ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. ლაშა კოკილაშვილი ოთხ ჯგუფს ასწავლის.

ამერიკულ აკადემიაში ლაშა კოკილაშვილის ერთ გაკვეთილს დავესწარით. მეთორმეტეკლასელებთან საკლასო ოთახში შესვლისთანავე, ყურადღებას იქცევს არასტანდარტული სასკოლო გარემო. ოთახის შუაგულში ოვალური ფორმის მაგიდა დგას, რომლის გარშემოც მოსწავლეები და მასწავლებელი სხედან. მასწავლებლის ადგილი არაფრით გამოირჩევა. მასალის საილუსტრაციოდ ის პორტატულ კომპიუტერსა და პროექტორს იყენებს. გაკვეთილს, რომელიც, ამჯერად ქართულ ენაზე მიმდინარეობს, თორმეტი მოსწავლე ესწრება. ახალგაზრდები თავს თავისუფლად გრძნობენ, მასწავლებელთან უშუალო დამოკიდებულება აქვთ, თუმცა პატივისცემაც იგრძნობა.

გაკვეთილი ტრადიციული მისალმებით იწყება. ლაშა კოკილაშვილი თავიდანვე აზუსტებს, რომ ეს იქნება არა საჩვენებელი, არამედ, ჩვეულებრივი გაკვეთილი. ოპტიმიზაციის ამოცანები და მაგალითები, მათ შორის ისეთი, რომლებისთვისაც ალბათობის თეორიის ზოგიერთი მეთოდის გამოყენება არის საჭირო – ასეთია, გაკვეთილის თემა.

სანამ მათემატიკური მაგალითების განხილვას შეუდგებოდნენ, პედაგოგი მოსწავლეთა ყურადღებას რეალურად არსებულ პრობლემას მიაპყრობს: ქალაქის ქუჩები ტრანსპორტით გადატვირთულია. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზეც, სადაც რამდენიმე დაწესებულება და საელჩოა თავმოყრილი, მოძრაობა მუდმივად შეფერხებულია. „როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? – კითხულობს მასწავლებელი და ახალგაზრდებს მოსაფიქრებლად დროს აძლევს. მოსწავლეები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. მასწავლებელი მათ გულისყურით უსმენს და პრობლემის გადაჭრის დასახელებულ ვარიანტებს დაფაზე წერს. საბოლოოდ, თანხმდებიან, რომ ავტოსადგომისთვის გარკვეული

ტერიტორიის დათმობა პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა.

ერთი შეხედვით, განყენებული მსჯელობიდან კონკრეტულ მათემატიკურ მაგალითებზე შეუმჩნევლად გადადიან. რაკი ავტოსადგომის მოწყობის აუცილებლობაზე შეთანხმდნენ, მასწავლებელი მათ სთხოვს, მოიფიქრონ, მოცემული პერიმეტრის მქონე მართკუთხა ფორმის ავტოსადგომებიდან რომელს ექნება მაქსიმალური ფართობი.

ერთ-ერთი მოსწავლე, სოფო, დაფასთან კვადრატული ფუნქციის თვისებებზე დაყრდნობით, ალგებრულ ამოცანას ხსნის. ყველა მოსწავლე თანხმდება, რომ ამოხსნა სწორია. მასწავლებელი ითხოვს, იგივე ამოცანა ახლა სხვა გზით ამოხსნან. მათემატიკური ანალიზიდან ცნობილი გაწარმოების წესების გამოყენებით, მოსწავლეები იმავე პასუხს იღებენ. ამჯერად მასწავლებელი გამოყენებული ცნების (წარმოებული) და ალგებრული ფორმულების აზრის ახსნას ითხოვს. ამ დავალებას სოფო კლასელების დახმარებით ართმევს თავს.

ჩნდება ახალი პრობლემა: რა ფორმის უნდა იყოს ავტოსადგომი, რომ მეტი მანქანა დაეტიოს? რომელი გეომეტრიული ფიგურა იქნება ოპტიმალური? ერთი და იმავე პერიმეტრის მქონე ფიგურებიდან რომელს ექნება ყველაზე მეტი ფართობი: სამკუთხედს, ოთხკუთხედს, ხუთკუთხედს, თუ სხვა რომელიმე მრავალკუთხედს? მასწავლებელი აზუსტებს, რომ ამ ამოცანაში მოსწავლეებმა მხოლოდ წესიერი ფიგურები უნდა განიხილონ.

დისკუსიის ბოლოს თანხმდებიან: ყველაზე დიდი ფართობი წრეს ექნება. ამ დასკვნამდე ინდუქციის მეთოდის მოშველიებით მიდიან. მასწავლებელი პასუხის დასაბუთებას ითხოვს. ერ-

თი-ერთი მოსწავლის, დიმიტრის შენიშვნა კლასს ეხმარება, რომ ეს მოსაზრება დედუქციურად, ზღვრისა და კრებადობის ცნებების გამოყენებით დაამტკიცონ.

განხილვის პროცესში ყველა მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს. როგორც კი რომელიმე მათგანი ყურადღებას მოადუნებს, მასწავლებელი სწორედ მას უსვამს შეკითხვას, მისი პოზიციით ინტერესდება. პედაგოგი არც ადასტურებს და არც უარყოფს პასუხს, ელოდება, სანამ მოსწავლეები სიმართლეს თავად გაარკვევენ, სწორ ვარიანტზე შეთანხმდებიან. სწორი კი ის არის, რაზეც ყველა თანხმდება, რაც ლოგიკურია, რაციონალური.

გადადიან შემდეგ საფეხურზე. ამჯერად ახალი ამოცანის პასუხი უნდა იპოვონ: ღია კარის დღეს, სკოლაში, სტუმრების 100 ავტომანქანას ელიან, სკოლას კი ორი ავტოსადგომი აქვს. რამდენი ადგილი უნდა ჰქონდეს თითოეულ ავტოსადგომს, რომ ძალიან დიდი ალბათობით (მაგ: 99.99%) დააკმაყოფილონ ყველა მსურველი. დისკუსიის დასაწყისში კლასი აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა და შეიძლება დავუშვათ, რომ ორი გზის პირობებში, ორივე სადგომზე ავტომანქანის გაჩერება თანაბარალბათურია. შემდეგ ამბობენ, რომ თითოეულისთვის 100 ადგილი ზედმეტი იქნებოდა და ყველაზე დიდი ალბათობაა, რომ თითოეულზე 50 ავტომობილი გაჩერდეს. მსჯელობენ, მაგრამ საბოლოო ვარიანტზე ვერ თანხმებიან. მასწავლებელი პროექტორს იყენებს და ეკრანზე დიაგრამა ჩნდება: ზარის ფორმის მქონე ბინომიალური განაწილება, სხვადასხვა ხდომილების შესაბამისი ალბათობებით. დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ ერთ ავტოსადგომზე 65 ავტომობილზე მეტის შემოსვლის ალბათობა უმნიშვნელოა.

გაკვეთილი დასასრულს უახლოვდება. დრო შეუმჩნევლად გადის. ბოლოს მასწავლებელი დაფაზე საშინაო დავალებას წერს, მოსწავლეებს ემშვიდობება და გაკვეთილიც სრულდება.

საკლასო ოთახს დადებითი ემოციებით დატვირთული ვტოვებ. ერთი მხრივ, მოსწავლეთა ინტერესი, აქტიურობა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მომზადების მაღალი დონე ნამდვილად იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

* * *

ლაშა კოკილაშვილმა ყოფილი კომაროვის (ახლა თსუ ფიზიკა-მათემატიკის) სკოლა დაამთავრა, შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. ასპირანტურა რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გაიარა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. 2002-2003 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონში, სიმონსის კოლეჯში სწავლობდა და განათლების სფეროს მაგისტრის წოდება მიიღო. ოთხი წელია, რაც ამერიკულ კოლეჯში მუშაობს, მანამდე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს.

ინტერაქტიური მეთოდი, რომელსაც პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებს, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას შეითვისა. ამას თავის პედაგოგს, პროფესორ იოთამ (ბიბი) ქარცივაძეს უმადლის, რომელიც ასკაციან აუდიტორიას მოდუნების საშუალებას არ აძლევდა.

საინტერესოა ლაშა კოკილაშვილის შეხედულება მასწავლებლის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ: „იმ შემთხვევაშიც კი, თუ პედაგოგი მაღალი დონის სპეციალისტია, მას ინტელექტუალური თვითკმაყოფილებით ტკბობის უფლება არ აქვს. ის პროფესიონალი უნდა იყოს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ახერხებს მოსწავლეებისთვის ცოდნის გადაცემას. მთავარია, მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ საგანთან დაკავშირებული იდეები და ცნებები, თავისუფლად გამოიყენონ ისინი რეალობიდან გამომდინარე პრობლემების გადასაჭრელად. სწავლის პროცესი, ძირითადად, ადრე შეძენილ ცოდნას ემყარება, მაგრამ სრულფასოვანი განათლება მხოლოდ ყოველდღიური ინტელექტუალური ძიებით მიიღწევა“.

ლაშა კოკილაშვილის აზრით, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს, თუ რისთვის სჭირდება მის მოსწავლეს კონკრეტული ცოდნა. მხოლოდ იმის მტკიცება, რომ სწავლა აუცილებელია, არ არის საკმარისი არგუმენტი. მასწავლებელს მასალის მიწოდება მოსწავლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა შეეძლოს. თუ გაკვეთილის მსვლელობისას ის ხშირად სვამს შეკითხვებს: „განა სწორი ჯერ არის?“ „ხომ მარტივი ჭეშმარიტებაა?“ „ხომ ყველამ გაიგო?“ – ეს ნიშნავს, რომ მან პროფესიის შეცვალაზე უნდა იფიქროს. პედაგოგი მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში აუცილებლად გულწრფელი უნდა იყოს.

გენიოსი – გენები თუ დაუღალავი შრომა

ტომას ედისონმა „გენიოსობის რეცეპტი“ ასე ჩამოაყალიბა: 1% შთაგონება და 99% ოფლი. ამ საკითხით დაინტერესებული თანამედროვე მეცნიერები კი ისევ კამათობენ, რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გენიოსობისთვის: გენეტიკას, ფიზიოლოგიას თუ დროს, რომელსაც სწავლას ვუთმობთ. ბევრს სჯერა, რომ გენიოსებს განსაკუთრებული გენები აქვთ. თითქმის არავინ იზიარებს იმ აზრს, რომ ადამიანს შეუძლია, ნებისმიერ სფეროში გახდეს გენიოსი, თუ მოინდომებს.

ფსიქოლოგიის დოქტორი ანდრეს ერიქსონი, ამ თვალსაზრისით, უმცირესობას წარმოადგენს. მისი აზრით, 10-წლიანი მიზანმიმართული მუშაობის შედეგად, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მისთვის სასურველ სფეროში გენიოსი გახდეს.

ამ იდეას ძირეულად ეწინააღმდეგება „მოცარტის არგუმენტი“, რომელიც ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ნევროლოგს, ბრაიან ბატერუორსს ეკუთვნის – მეცნიერს, რომელიც არითმეტიკის ფსიქოლოგიურ ასპექტებს მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა. მისი არგუმენტი მარტივია: რაც არ უნდა ბევრი იშრომოს, ყველა მუსიკოსი მოცარტი ვერ გახდება.

რატომაც არა? – პოზიციებს არ თმობს დოქტორი ერიქსონი. ბოლოს და ბოლოს, მოცარტი ხომ მხოლოდ დაუღალავი შრომის შემდეგ გახდა მოცარტი.

ეს არგუმენტი იოლად შეიძლება გავაბათილოთ ისეთ გენიოსებთან დაკავშირებული გადმოცემებით, როგორებიც არიან: მოცარტი, პაგანინი, და გაუსი. ისინი ბავშობაშივე საოცარ უნარს ავლენდნენ – იქამდე, ვიდრე სწავლასა და მეცადინეობას შეუდგებოდნენ. პრაქტიკა მათ მხოლოდ სრულყოფილების მიღწევაში დაეხმარა.

დოქტორი ერიქსონი უარყოფს, რომ ამ ადამიანების განსაკუთრებული უნარები მათი თანდაყოლილი ნიჭის შედეგია. მისი აზრით, გენიოსებს მეტად განვითარებული მეხსიერება აქვთ, რომელსაც კონკრეტულ თემებზე არსებული ინფორმაციის შესანახად იყენებენ.

ფსიქოლოგები მოკლევადიან და გრძელვადიან მეხსიერებას განასხვავებენ. დოქტორ ერიქსონს მიაჩნია, რომ გენიოსები არაჩვეულებრივი სამუშაო მეხსიერებით გამოირჩევიან, რადგან ისინი ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს გრძელვადიან მეხსიერებაში ისე ინახავენ, რომ იგი იოლად ხელმისაწვდომია სამუშაო მეხსიერების პროცესებისთვის. მისი აზრით, „გრძელვადიანი სამუშაო მეხსიერება“ აუცილებელი კომპონენტია წარმატების მისაღწევად ნებისმიერ სფეროში, ჭადრაკი იქნება თუ ბეჭდვა. სურვილისა და ნებისყოფის შემთხვევაში კი, გრძელვადიანი სამუშაო მეხსიერების განვითარება სავსებით შესაძლებელია.

ზოგიერთმა ნევროლოგმა გრძელვადიანი სამუშაო მეხსიერების მუშაობაზე დაკვირვება გადაწყვიტა. საფრანგეთში, კანის უნივერსიტეტის დოქტორი ნატალი ცურიო-მაზოიერი და მისი კოლეგები გე-

მასწავლებლების მოსაზრება

მარინე ნინუა, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი:

„ვინ არიან გენიოსები? რა განსაზღვრავს მათ განსაცვიფრებელ მიღწევებს – გენები თუ წვრთნა, ნებისყოფა თუ დაუღალავი შრომა? ფილოსოფიურ ლექსიკონში „გენიოსი“ განმარტებულია, როგორც შემოქმედებითი ნიჭიერების უმაღლესი ხარისხი: ადამიანი, რომელიც ასეთი ნიჭით არის დაჯილდოებული.

ალბათ ყველას გვახსოვს სახარებისეული იგავი ტალანტებზე. ჩემი აზრით, გენიოსი ის ბედნიერი ადამიანია, რომელმაც ღვთით ბოძებული ტალანტი ამრავლა და მონაგებით დაუბრუნა შემოქმედს... უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ყოველ ბავშვში მთვლემარე გენიოსია, რომელიც უნდა გამოვაღვიძოთ“. მე მგონია, რომ გამღვიძებელში სწორედ აღმზრდელს, პედაგოგს გულისხმობს ჩვენი სულიერი მამა.

ისტორიამ გენიოსი მასწავლებლისა და გენი-

ნიოსი მათემატიკოსის ტვინის მუშაობას იმ დროს აკვირდებოდნენ, როცა ის ურთულეს მათემატიკურ გამოთვლებს ასრულებდა. მათი პაციენტი ბატონი რიდიგერ გამი იყო, რომელსაც შეეძლო, წამებში ამოეღო 10-ნიშნიანი რიცხვიდან მე-5 ხარისხის ფესვი. როცა სთხოვდნენ, რომ ერთი მთელი რიცხვი მეორეზე გაეყო, ის დაუყოვნებლივ უპასუხებდა, თანაც 60 ათობითი თანრიგის სიზუსტით.

დოქტორ მაზოიერის კვლევა, რომელიც ჟურნალ *„ბუნება-ნევრომეცნიერებაში“* გამოქვეყნდა, პირველი მცდელობა იყო, გაერკვიათ, რა ხდება ადამიანის ტვინში ასეთი მასშტაბური გამოთვლების დროს. აღმოჩნდა, რომ რიდიგერ გამი გრძელვადიან მეხსიერებას იმ სამუშაო შედეგების „შესანახად“ იყენებდა, რომლებიც გამოთვლების შესასრულებლად სჭირდებოდა, მაგალითად, ყველა გასაყოფისა და ნაშთის დასამახსოვრებლად. დამატებითი მეხსიერების გამოყენება სწორედ იმას ნიშნავდა, რომ მას ზეპირი არითმეტიკის მუდმივი დაბრკოლების გადალახვა შეეძლო: გამოთვლისას უკვე შესრულებული ოპერაციის შედეგებს იმახსოვრებდა. სხვა მხრივ, 26 წლის ბატონ რიდიგერ გამის ტვინი არაფრით გამოირჩეოდა. რიდიგერმა საკმაოდ გვიან, 20 წლის ასაკიდან, დაიწყო ამ უნარის განვითარება და ყოველდღე 4 საათის განმავლობაში ავარჯიშებდა მეხსიერებას.

მისტერ გამის შემთხვევა ნევროლოგიური სახის მტკიცებულებას გვაძლევს დოქტორ ერიქსონის მოსაზრების სასარგებლოდ: თითქოს გრძელვადიანი სამუშაო მეხსიერების ფუნქცია გენიოსის შესაძლებლობების საფუძველს წარმოადგენდეს.

ყველაფერი თითქმის დამაჯერებლად ჟღერს.

უნგრელმა **ლაზლო პოლგარმაც** დოქტორ ერიქსონის გზა აირჩია. მან მიზნად დაისახა, რომ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს არ ამჟღავნებდნენ, ჩემპიონებად ექცია. ექსპერიმენტისთვის მან საკუთარი ქალიშვილები გამოიყენა, ჭადრაკში მათ წვრთნასა და ვარჯიშს შეუდგა. ეს ის პერიოდი იყო, როცა, გავრცელებული მოსაზრებით, ქალებს სერიოზულ საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობა არ შეეძლოთ.

მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად, დოქტორმა პოლგარმა და მისმა მეუღლემ მსოფლიო კლასის სამი მოჭადრაკე გაზარდეს. 1992 წლისთვის მათი სამივე ქალიშვილი მსოფლიოს 10 საუკეთესო მოჭადრაკე ქალთა სიაში მოხვდა. მესამე ქალიშვილი, როგორც ჩანს, დანარჩენებზე უკეთესად ავარჯიშეს. ის ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი გახდა და იმ დროს მსოფლიო ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებდნენ (ჟუჟა პოლგარი დღეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია და მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პირველ ქალს, რომელმაც ჭადრაკში გენდერული ბარიერი გადალახა).

დოქტორმა პოლგარმა საკუთარი ექსპერიმენტი დეტალურად აღწერა წიგნში: „გაზარდეთ გენიოსი“, თუმცა ჩნდება კითხვა: გახდებოდა კი ასეთი მშობლის აღზრდილი ნებისმიერი ბავშვი გენიოსი?

დოქტორ ერიქსონის აზრით, შესაძლოა, სწორედ გენეტიკა განასხვავებს იმ ორ ბავშვს, რომელთაგან ერთს სურს და უძლებს კიდეც დღის დატვირთულ განრიგს, მეორე კი, ვიდეოთამაშებით იქცევს თავს.

ოსი მოსწავლის თანხვედრის უამრავი მაგალითი იცის: დავით აღმაშენებელს გიორგი ჭყონდიდელის, პლატონს სოკრატეს, ალექსანდრე მაკედონელს არისტოტელეს გარეშე ძნელად თუ ვინმე მოიაზრებს. „ისინი ხომ განსაკუთრებულები იყვნენ“, – იტყვის მავანი... ჩემს მეხსიერებაში ძველი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს სიტყვები ხმიანობს: „ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ აცალეთ, რომ ანათოს“. ამ მზის ანთება ყოველ ჩვენგანს შეუძლია, მაგრამ ამას უზარმაზარი სიყვარული და ძალისხმევა სჭირდება“.

თემურ გაჩეჩილაძე, თბილისის ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი:

„მე მყოლია მოსწავლეები, რომლებიც სწავლითა და ცოდნით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ საგნის უჩვეულო, არატიპური ხედვა ჰქონდათ, სწორ დასკვნებამდე თავისებური, ორიგინალური ალღოს წყალობით მიდიოდნენ. ვფიქრობ, რომ ეს უნარი გენიოსობის ერთ-ერთი კომპონენტია. მას, ვისაც ღვთით ბოძებული უნარი და საკუთარი ხედვა აქვს, შეუძლია გენიოსი გახდეს, თუ შესაფერის წრესა და გარემოში აღმოჩნდება“.

ოლეგ კვეტენაძე, თბილისის ილია ვეკუას სახლეობის 42-ე ფიზიკა-მატემატიკური საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი:

„პირველ ყოვლისა, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გენიოსი და უბრალოდ, ნიჭიერი ადამიანი. გენიოსები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. არსებობენ ძალიან ნიჭიერი ადამიანები, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც, მაგალითად, კასრიდან არ გამოდიან... და გენიოსები არიან. ეს უკვე მოვლენაა, სულ სხვა ფენომენი“.

გულნარა ივანიანი, დაბა შაუმიანის ლევონ ევონიანის სახელობის პირველი საჯარო სკოლის ინფორმატიკის მასწავლებელი:

„რა თქმა უნდა, დღესაც არსებობენ გენიოსი ბავშვები... ასეთებს კი ყურადღება სჭირდებათ, როგორც მშობლებისა და მასწავლებლების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან. მოსწავლეს იმაზე მეტი გასაქანი და ასპარეზი

დები პოლგარები

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სავარაუდოდ, ბავშვები იმთავითვე მათემატიკოსებად ან მუსიკოსებად კი არ იბადებიან, არამედ ბეჯით და შრომისმოყვარე ბავშვებად. ხოლო სფერო, რომელშიც ეს ადამიანები საკუთარ კვალს ტოვებენ, შეიძლება ბოლომდე განსაზღვროს იმ გარემომ, რომელშიც ისინი იზრდებიან და ჩვეებმა, რომლებიც მათ თავიდანვე განუვითარეს. შემდეგ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სერიოზულად იშრომებენ ისინი რომ ეს უნარი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. თუმცა, ფსიქოლოგებს შორის, გენიოსობის ასეთი განმარტება არც ისე პოპულარულია.

11 იანვარი 2001, ეკონომისტი

კამათი ამ თემაზე ისევ გრძელდება.

უნდა ჰქონდეს, ვიდრე ჩვენს ბავშვებს აქვთ".

თამუნა ზარიძე, რუსთავის მე-4 სამუსიკო სკოლის კლასიკური გიტარის მასწავლებელი:

„შრომით მხოლოდ გარკვეული წარმატების მიღწევა შეიძლება. გენიოსობას სჭირდება გენი: ღვთით ბოძებული განსაკუთრებული ნიჭი. გენიოსად იბადებიან. მას ვერ შექმნი. ნიჭიერება კი გზა, ერთ-ერთი საფეხურია გენიოსობამდე".

ნანი ქარდავა, აფხაზეთის მე-13, სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლის ბიოლოგია-გეოგრაფიის მასწავლებელი:

„გენიოსობას დიდი შრომა, დრო და გამოცდილება სჭირდება, თუმცა ანალიზის უნარიც მნიშვნელოვანია. როცა ადამიანს გამოცდილება და ცოდნა უგროვდება, გადაფასებისა და გაანალიზების ჟამი დგება. თუ ადამიანი ამას მოახერხებს და სწორ დასკვნას გააკეთებს, შეგვიძლია, გენიოსად ჩავთვალოთ".

მარიამ ქვლივიძე, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი:

„ამბობენ, რომ გენიოსი შეიძლება გახდე მეცნიერებაში, ხელოვნებაში კი გენიოსად უნდა დაიბადო. ჩემი აზრით, აუცილებელია თანდაყოლილი ნიჭი გქონდეს, რომელიც შრომით უნდა სრულყო. შრომის გარეშე, რაც არ უნდა დიდი ნიჭის პატრონი იყო, გენიოსი ვერ გახდები. შრომით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება".

მიხეილ ჩიკვილაძე, თბილისის საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" დირექტორი:

„ერთი კაცი ვიცი, რომელმაც მუსიკის შესწავლა 20 წლის ასაკში დაიწყო – ბიბი კინგი. ის ბლუზის მეფე, ფანტასტიკური მუსიკოსი იყო, მაგრამ გენიოსი მაინც ვერ გახდა... გენიოსობა სხვა რამეა.

შრომის წყალობით, შეიძლება გამოჩენილი ადამიანი გახდე, მაგრამ გენიოსობა სულ სხვა რამეა. გენიოსი თავისთავად გამოვლინდება. თუ ადამიანმა საკუთარი თავი ვერ გამოავლინა, ის გენიოსი აღარ არის. მოცარტის შემთხვევაში, ვერავინ იტყვის, მამამისი რომ არა, მოცარტი თავს ვერ გამოავლენდაო. შოთა რუსთაველი, რა თქმა უნდა, ნასწავლი იყო, მაგრამ ის აზროვნებით წარმოადგენდა გენიოსს და არა განსწავლულობით. ეს კი აბსოლუტურად სხვადასხვა რამ არის. ყველაზე საჭირო განსწავლული ადამიანია და ყველაზე საინტერესო – გენიოსი".

ირმა კინწურაშვილი, თბილისის 53-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი:

„გენების როლს ვერავინ უარყოფს, მაგრამ შრომისმოყვარეობაც თანაბრად მნიშვნელოვანია. თუ ადამიანი გენეტიკური მემკვიდრეობის განავითარებას მოახერხებს, მართლაც მაქსიმალურ შედეგს მიაღწევს. ლეონარდო და ვინჩი ამბობდა, გენიოსების 5% გენების, ანუ ნიჭის და 95% შრომისმოყვარეობის დამსახურებაო. გენებს მე უფრო მაღალ პროცენტს მივანიჭებდი. მოცარტი უდავოდ მუსიკოსი იქნებოდა, მაგრამ მამას რომ არ შეეწყო ხელი, ასეთ დიდი წარმატებას ნამდვილად ვერ მიაღწევდა. ჩემი აზრით, გენებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მშობლის მოვალეობა კი ის არის, რომ შეამჩნიოს, რა აინტერესებს ბავშვს, რისი ნიჭი აქვს და ამ ნიჭის განვითარებას შეუწყოს ხელი".

მოამზადეს
ხათუნა მუჯირმა და ნინო წიკლაურმა

■

სინგაპური – წარმატების საიდუმლო

ქვეყანა, რომელიც ბიუჯეტის მეხუთედს განათლებაზე ხარჯავს

არჩილ ჩხარტიშვილი

სინგაპური, ფაქტობრივად, ქალაქი-სახელმწიფოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მოიცავს კუნძულ სინგაპურსა და მის გარშემო მდებარე რამდენიმე პატარა კუნძულს. ფართობი: 659 კვ. კმ. მოსახლეობა (ძირითადად, ჩინელები, მალაიზიელები და ინდოელები): 4,2 მილიონი კაცი. საერთო ეროვნული პროდუქტი: 27 842 დოლარი ერთ სულ მოსახლეზე (2005 წლის მონაცემებით).

სინგაპური მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი და საზღვაო პორტია, სადაც, ყოველდღიურად, 150 გემი შედის. ამ ქვეყანაში მსოფლიოს წამყვან კომპანიებს საკუთარი ფილიალები აქვთ გახსნილი. ყოველ წელს აქ 6-დან 8 მილიონამდე ტურისტი ჩამოდის, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ აზიის ამ მინიატურული სახელმწიფოსთვის, ტურიზმის განვითარებასა და ფინანსურ სტაბილურობასთან ერთად, განათლების სფეროსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის ცდილობს, გლობალური საგანმანათლებლო ცენტრი გახდეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მძლავრი საგანმანათლებლო ქსელის შესაქმნელად, ამ ქვეყნის მთავრობამ მილიონობით დოლარი დახარჯა. ხელისუფლების ვარაუდით, 2012 წლისთვის, სინგაპურში 150 000-მდე უცხოელი სტუდენტი ისწავლის.

15 წლის ზემოთ, სინგაპურელთა 93% წერა-კითხვის მცოდნეა. ეროვნული განათლების პროგრამა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ მიიღეს, ერის გაერთიანებასა და მომავლის რწმენის გაღვივებას ისახავს მიზნად. სინგაპურის განათლების სისტემა საკმაოდ მოქნილია: ის განსხვავებული შესაძლებლობების, ინტერესებისა და ფინანსური მდგომარეობის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებებს ითვალისწინებს და ამასთანავე, მოზარდებში მორალური ღირებულებების განვითარებასაც უწყობს ხელს. ადგილობრივი სასწავლო პროგრამა საგანთა ფართო სპექტრს მოიცავს: ინგლისური ენა, მშობლიური ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული მეცნიერებები და ზნეობრივი აღზრდა. მშობლიური ენის (მალაი, თამილი) შესწავლა აუცილებელია, რათა ბავშვები საკუთარი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას გაეცნონ. თუმცა სწავლება, უმთავრესად, ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.

სინგაპურში რამდენიმე ტიპის სკოლაა: სახელმწიფო სკოლები, რომლებსაც მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს; დამოუკიდებელი სკოლები, საკუთარი მმართველობით, რომლებიც სწავლის საფასურს და ადმინისტრირების კრიტერიუმებს ადგენენ, მასწავლებლებსა და სასწავლო პროგრამებსაც თავად ირჩევენ (აღსანიშნავია, რომ ამ სკოლების სასწავლო პროგრამები სახელმწიფო მოთხოვნებს შეესაბამება); ავტონომიური სკოლები, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის და კიდევ ისინი, რომლებიც სახელმწიფოსგან დოტაციას იღებენ, თუმცა სახელმწიფო სკოლებზე უფრო დიდი ავტონომიურობით სარგებლობენ და დამოუკიდებელი სკოლების მსგავს რეჟიმში მუშაობენ. ამ უკანასკნელთა შექმნის მთავარი მიზანი იყო, მათთვის იმ ინოვაციების დანერგვის საშუალება მიეცათ, რომელთაც, წარმატების შემთხვევაში, ყველა სხვა სკოლაში გამოიყენებდნენ. ექსპერტების აზრით, ამ ინიციატივამ უდავოდ გაამართლა.

სინგაპურის დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლა საკმაოდ იაფია. ამ მხრივ, გამონაკლისი მხოლოდ კერძო სკოლებია, რადგან ისინი სწავლის საფასურს თავადვე განსაზღვრავენ. სხვათა შორის, აქ მხოლოდ განათლების კარგად ორგანიზებული სისტემა კი არ იქცევს ყურადღებას, არამედ განათლებისადმი განსა-

მუშაობა ჯგუფებში



ბავშვები გიდის პროფესიას ეუფლებიან

კუთრებული დამოკიდებულებაც, რომელიც ამ სისტემის საფუძველია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორმა სოფიო გორგოძემ, სინგაპურში ვიზიტის დროს, სწორედ ამას მიაქცია ყურადღება: „სახელმწიფო, ფაქტობრივად, ადამიანურ, ინტელექტუალურ რესურსებს ეყრდნობა. ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, განათლების სისტემა ყველაზე პრიორიტეტულია. სინგაპურს არანაირი ბუნებრივი რესურსი არ გააჩნია, მიწაც კი არ აქვს. 4 მილიონზე მეტი ადამიანი საქართველოს ტერიტორიის თითქმის მეასედზე ცხოვრობს. წყალსაც კი მეზობელი მალაიზიისგან ყიდულობენ. მიუხედავად ამისა, საკუთარი მოსახლეობის განათლებაში ინვესტირებით, ამ ქვეყანამ უძლიერესი ეკონომიკა შექმნა“.

მასწავლებლის პროფესია მეტად სასურველად და მიმზიდველად ითვლება სინგაპურში. შრომის ანაზღაურებაც გაცილებით მაღალია, ვიდრე მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, თუმცა მასწავლებლებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ და სერიოზული დატვირთვაც აქვთ. მათი სამუშაო დღე დილის 7 საათზე იწყება და საღამოს 6 საათზე ადრე იშვიათად მთავრდება. კლასში, საშუალოდ, 40 ან მეტი ბავშვია. ზოგიერთი გაკვეთილი დიდ დარბაზში ტარდება და მას 100-მდე მოსწავლე ესწრება. შრომის შეფასებისა და სამსახურეობრივი წინსვლის თვალსაზრისით, ასევე, სავალდებულოა მასწავლებელთა ყოველწლიური შემოწმება, ოღონდ ეს მხოლოდ ტესტირებას ან შეფასების სხვა რომელიმე ფორმას არ გულისხმობს. მასწავლებლის მუშაობა კომპლექსურად ფასდება — კოლეგებისადმი მისი დამოკიდებულებით დაწყებული, წაკითხული პროფესიული ლიტერატურითა თუ მოსწავლეების მიერ მიღებული ნიშნებით დამთავრებული. სინგაპურში მასწავლებლებს ეროვნული განათლების ინსტიტუტში ამზადებენ. თუ სტუდენტი ამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა, ითვლება, რომ ის კვალიფიციური მასწავლებელია. ამის შემდეგ, განათლების სამინისტრო მასწავლებლებს უკვე ცენტრალიზებულად ანაწილებს სკოლებში.

„ყველა სკოლას განსაკუთრებული მისია აკისრია. მაგალითად: „თავდაჯერებული, შემოქმედებითი და კულტურული თაობის აღზრდა, რომელსაც ცოდნის მიღების დიდი სურვილი აქვს“. გარდა ამისა, თითოეული სკოლა კონკრეტული პროფილითაც გამოირჩევა. ჩვენ ერთ-ერთი სკოლის დაწყებით კლასებს ვესტუმრეთ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კომპიუტერის საშუალებით მუსიკის წერას. მიუხედავად იმისა, მოსწავლეს სმენა ჰქონდა თუ არა, უკლებლივ ყველა ბავშვი ათ წუთში შეგითხზავდათ ნებისმიერი ტიპის მუსიკას მობილური ტელეფონისთვის. მეორე სკოლა ენების თვალსაზრისით იყო განსაკუთრებული. ამ სკოლაში ბავშვებმა ყველაზე მეტი უცხო ენა იცოდნენ“, – ამბობს სოფიო გორგოძე.

მისი განმარტებით, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვაში. მათ ნაწილს განსხვავებული სამკერდე ნიშნები აქვს, რაც ნიშნავს, რომ ისინი დისციპლინის საკითხებზე ზრუნავენ და სკოლის მართვაში ეხმარებიან დირექციას. გარდა ამისა, ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა წლიური ექვსსაათიანი პრაქტიკის გავლა სოციალურ სფეროში. ერთ-ერთი დირექტორის თქმით, ამ მოთხოვნის გამო, მათ პრობლებებიც კი ექმნებათ: ამდენი უმწეოთა სახლი თუ სხვა სოციალური დახმარების ობიექტი ფიზიკურად არ არსებობს, რის გამოც რიგში დგომა უწევთ. ასევე საინტერესოა, რომ მოსწავლეებს გიდებადაც ამზადებენ. მათ უცხოელ ტურისტებთან მუშაობა და სტუ-

მასწავლებლის სამუშაო ადგილი სამასწავლებლოში

მრებისთვის საკუთარი ქვეყნის ისტორიის გაცნობა უნდა შეეძლოთ.

სინგაპურში სპეციალური დადგენილება არსებობს, რომელიც სწავლის საფასურის გადახდისგან ხელმოკლე მოსწავლეების გათავისუფლებასა და მათთვის სტიპენდიის დანიშვნას ითვალისწინებს. მთავრობა განსაკუთრებულ მაღალ სტიპენდიებს ტექნიკური და უმაღლესი განათლების მისაღებად აწესებს. ამჟამად სახელმწიფო უმაღლესი განათლების ღირებულების დაახლოებით 90%-სა და ტექნიკური განათლების საფასურის ასევე 90%-ს ანაზღაურებს. ჩანაფიქრის თანახმად, ამ ქვეყნის განათლების სისტემა მაქსიმალურად ცოცხალი და ქმედითი უნდა გამხდარიყო და მხოლოდ ინტელექტუალურ — თეორიულ ასპექტებზე კი არ ყოფილიყო ორიენტირებული, არამედ, უმთავრესად, ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამდენად, ტექნიკურ სპეციალობებს, პოლიტოლოგიასა და ფილოსოფიასთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭეს.

დღეს განათლებაზე ქვეყნის ბიუჯეტის ერთი მეხუთედია გამოყოფილი. შედეგად, სინგაპურის სკოლების მოსწავლეების სახით, ქვეყანამ დინამიკურად მზარდი, მრავალრიცხოვანი და კომპეტენტური სამუშაო ძალა მიიღო. მათ წარმატებებზე მსჯელობა საერთაშორისო შეფასებების მიხედვითაც შეგვიძლია: ოლიმპიადებზე სინგაპურელი მოსწავლეები საკმაოდ მაღალ შედეგებს აღწევენ.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემა წარმატებულად ითვლება, მთავრობა მაინც გამუდმებით ზრუნავს მის დახვეწაზე. „სწავლების გაუმჯობესების მიზნით, სინგაპურის განათლების სამინისტრო ახალი ინიციატივით გამოვიდა: „ვასწავლით ცოტას, ვსწავლობთ მეტს". ამ ინიციატივის მიხედვით, მთავარი ხარისხია და არა მიწოდებული მასალის რაოდენობა. მოსწავლეები მხოლოდ ტესტებისა თუ გამოცდებისთვის კი არა, რეალური ცხოვრებისათვის უნდა მოემზადონ. მასწავლებელმა უნდა დააინტერესოს მოსწავლე, რომ მან თავად აღმოაჩინოს უფრო მეტი, უფროსის პირდაპირი ჩარევის გარეშე" – გვიყვება სოფიო გორგოძე. მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურის განათლების სისტემა საკმაოდ წარმატებულია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის აზრით, საქართველოში მისი უცვლელად გადმოტანა მაინც შეუძლებელი იქნებოდა.

„ერთი მხრივ, ეს შესაშური ქვეყანაა: სტაბილური, ნარკოტიკებისგან და კრიმინალისგან თავისუფალი. ქვეყანა, რომელსაც ჯანმრთელი

სკოლაში წიწილის წვნიანის მომზადებასაც სწავლობენ

და წარმატებული მომავალი თაობა ჰყავს და ცხოვრების მაღალი დონე აქვს. მეორე მხრივ, ეს ყველაფერი მკაცრ დისციპლინას ეყრდნობა. ხალხი მორჩილია. თვითკრიტიკის ელემენტები თითქმის არ არსებობს, განსხვავებულ აზრსაც ძნელად თუ მოისმენ. გარდა ამისა, პატარა ქვეყანაა და კონტროლიც ბევრად უფრო ადვილია. მათი განათლების სისტემა ცენტრალიზებულია – ამდენად, საუკეთესოდ მორგებული ამ ქვეყნის წყობას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი რამ შეიძლება გადმოვიღოთ, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ეს სისტემა მაინც ნაკლებად გაამართლებდა. ყველა ქვეყანამ თავისი მიზნებისა და ღირებულებების გათვალისწინებით უნდა დაგეგმოს განათლების სფერო და საკუთარი წარმატების საიდუმლო იპოვოს. სინგაპურმა, როგორც ჩანს, ეს უკვე მოახერხა. ახლა ჯერი ჩვენზეა", – ამბობს სოფიო გორგოძე.

მოსწავლეების მიერ გაშენებული ბაღი

„მასწავლებლის“ პირველი ნომრისთვის რამდენიმე ცნობილ ადამიანს საკუთარი მასწავლებლების გახსენება ვთხოვეთ.

თინათინ ყაუხჩიშვილი, აკადემიკოსი:

„სწავლა №1, მაშინ მიხეილ ზანდუკელის სკოლად წოდებულ, გიმნაზიაში მომიწია. როდესაც ზანდუკელთან მისულ მამას ჩემზე უთქვამს, 7 წლის არის და სკოლაში მინდა შევიყვანოო, მას უპასუხია, ბავშვი მაჩვენეო. მამასაც წავუყვანივარ, მაგრამ ჩემი და ზანდუკელის დიალოგი აღარ მახსოვს. როგორც ჩანს, მოვეწონე, რადგან პირდაპირ მეორე კლასში დამსვეს. დედაჩემმა, არაჩვეულებრივი განათლებისა და ენერგიის ქალმა, ეს არ მოისურვა და სანამ მეორე კლასში ვსწავლობდი, ზანდუკელს „ებრძოდა“: უმტკიცებდა, რომ ბავშვისთვის ყველა კლასის გავლა იყო აუცილებელი... ბოლოს დედამ აჯობა და პირველ კლასში დამაბრუნეს.

ჩემი პირველი მასწავლებელი გუგული (ნინო) მესხი ძალიან სიმპათიური ქალი იყო, რომელიც ბავშვებს კარგად გვექცეოდა. პირველ კლასში ნახევარ დროს სწავლას ვუთმობდი, ნახევარს – თამაშს.

ყველა მასწავლებელი მახსოვს. საერთოდ, კარგად ვსწავლობდი და ამიტომ მასწავლებლებიც კარგად მექცეოდნენ. სასაყვედურო არაფერი მაქვს. განსაკუთრებით მინდა, ვარლამ თოფურია გავიხსენო, რომელიც მეექვსე კლასში ქართულს გვასწავლიდა. ეს ის წლებია, როდესაც უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილი გამოისტუმრეს, გრიგოლ წერეთელი დააპატიმრეს....როგორც ჩანს, ბატონი ვარლამი უნივერსიტეტში კი დატოვეს, მაგრამ მორალურად და მატერიალურად მხოლოდ უნივერსიტეტში მუშაობა არ ჰყოფნიდა და სკოლაშიც მოვიდა. განათლებითა და სპეციალობით ლინგვისტი იყო, ამიტომ ლიტერატურაზე მეტად აქცენტი ენაზე ჰქონდა გადატანილი. მახსოვს, ერთხელ მოწაფეებს გვთხოვა, რომ სიტყვა „ხერხის“ გამოყენებით მოთხრობა დაგვეწერა. მეც ასეთი მოთხრობა დავწერე: „მხერხავი ლექსო“, სადაც „ხერხი“ უამრავი მნიშვნელობით გამოვიყენე... როდესაც ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი გავხდი, ბატონი ვარლამის თანამშრომლებს გაახსენდათ, მან ეს მოთხრობა წაგვიკითხა, რა კარგად არის ეს სიტყვა გამოყენებულიო...

ბატონ ვარლამთან გავდიოდით ძველი და ახალი ქართული ენის კურსს. მახსოვს ოთხთავს გვაკითხებდა და კომენტარსაც უკეთებდა. სტუდენტობის დროს აკაკი შანიძე გვიკითხავდა მორფოლოგიას და ის – სინტაქსს. ვარლამ თოფურია ყოველმხრივ არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ, ის იყო არა მხოლოდ პროფესორი და ლექტორი, არამედ მოწოდებით პედაგოგი.

...საინტერესოა, რომ ჩემს ოჯახში რუსულად არ საუბრობდნენ, მიუღებელად ითვლებოდა. შემდგომში ჩემი ოჯახი ორჯერ იყო რეპრესირებული... ამიტომ სკოლაში რუსულის სწავლა ნულიდან მომიწია და სიტყვების დამახსოვრებას მახვილების წყალობით ვცდილობდი, რუსულს ბოლო კლასებამდე კარგი პედაგოგი – თამარა გეორგევნა მასწავლიდა, რუსულის ჩინებულად მცოდნე. დღეს თუ რუსული ვიცი, მისი დამსახურებაა.

მახსოვს კიდევ, პირველ კლასში დიდედაჩემმა ბეჭედი მაჩუქა. დედამ მითხრა, არ გაიკეთოო, მაგრამ არ დავუჯერე და როცა კლასში ზანდუკელი შემოვიდა (რაღაც საქმე ჰქონდა მასწავლებელთან), თავი მოვიწონე და ბეჭდიანი ხელი როიალზე გამოსაჩენად დავდე. მაშინ ზანდუკელი ძალიან წითელი ლოყებისა და შავი თმის გამო „ყაყაჩოს“ მეძახდა და მითხრა: „ყაყაჩო,

სახლში რომ მიხვალ, დედას უთხარი, ეს ბეჭედი შეგინახოს". მოვკვდი სირცხვილით და მგონი, ბეჭედი საერთოდ აღარ გამიკეთებია...

მიხელ ზანდუკელს სიმკაცრე არ სჭირდებოდა. კორიდორში რომ გამოჩნდებოდა, ხალხი კედლებს ეკვროდა. მის შემდეგ სკოლის დირექტორად მარო მაჩაიძე დანიშნეს, ალბათ იმის გამო, რომ მისი ძმა, ბაგრატ მაჩაიძე მთავრობის წევრი იყო... ის სიხარულიძემ შეცვალა. დირექტორს ძალიან კარგი მოადგილე აბუცალო მიქაძე ჰყავდა. არსებითად, სკოლას ის განაგებდა. ფიზიკოსი იყო, მკაცრიც და მომთხოვნიც.

მაშინდელ სკოლაში არეულ-დარეული სასწავლო პროგრამა იყო. მაგალითად, ისტორიის ნაცვლად, „საზმეცს" – საზოგადოებრივ მეცნიერებას გვასწავლიდნენ, ანუ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციასა და ინგლისის ჩარტიზმს. თითქმის არ გვისწავლია ფიზიკა. თუმცა კარგად ისწავლებოდა მათემატიკა, რუსული და ქართული ენა. ქართულს საბავშვო მწერალი – ილია სიხარულიძე გვასწავლიდა.

ნიშნებიც მერე გაჩნდა, მანამდე კი იყო: „დამაკმაყოფილებელი" და „სუსტი".

ზანდუკელის დროიდან სკოლაში რამდენიმე კარგი მასწავლებელი იყო შემორჩენილი. თუმცა, სამწუხაროდ, ისეთი, ვისაც ბავშვები ანგარიშს უწევდნენ, თითო-ოროლა გვყავდა და მხოლოდ მათ იმედად ვერ იქნებოდი.

სკოლაში 1936 წლამდე ვსწავლობდი და ბოლო კლასში გამიმართლა, ფრიადოსნები უნივერსიტეტში უგამოცდოდ მიგვიღეს, დანარჩენებს კი თექვსმეტი გამოცდის ჩაბარება მოუწიათ".

გიორგი ლობჟანიძე, პოეტი, მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე („ყურანის" თარგმნისთვის, წელს ირანის სახელმწიფო პრემია „წლის წიგნი" მიენიჭა):

„ჩემი თაობის ადამიანები ხშირად უკმაყოფილებით საუბრობენ სკოლაზე. მათგან განსხვავებით, მე ბედნიერი ვარ, რადგან ხაშურის №1 საშუალო სკოლაში მომიწია სწავლა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ისინი კი 12 წლის რომ ვიყავი, მაშინ დაიღუპნენ, სოფლიდან ხაშურში გადამიყვანეს. იქაური სკოლა სამოთხედ მექცა. კლასელებსა და მასწავლებლებში ნამდვილად გამიმართლა. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ჩემი ცხოვრებისეული ტრავმის შემსუბუქებას ცდილობდნენ, მეფერებოდნენ და მანებივრებდნენ კიდეც...

მაშინ სკოლის დირექტორი ქალბატონი ლია ებანოიძე იყო. გერმანულს გვასწავლიდა. ენაც უფრო მისი ხათრით ვისწავლე. საოცრად უშურველი ადამიანი იყო: გაკვეთილების გარდა, სკოლაში უამრავი საქმე ჰქონდა, მაგრამ თუ შეგვამჩნევდა, რომ სათანადოდ არ ვიყავით მომზადებულები, მეც და სხვა ბავშვებსაც უსასყიდლოდ, რამდენიმე საათს გვამეცადინებდა სახლში.

განსაკუთრებით კარგად მახსენდება ბიოლოგიის მასწავლებელი მერი ხარაბაძე, რომლის კაბინეტიც ჩემთვის მთელი სამყარო იყო. მერი მასწავლებელი თითოეულ ფოთოლს ეფერებოდა, ყვავილებს ელაპარაკებოდა და ამბობდა, მცენარეებთან კომუნიკაცია აუცილებელია მათი ზრდისთვისო. გვასწავლიდა, რომ ჩვენ გარშემო ყველაფერი ცოცხალია: წყალიც, რომელსაც ვსვამთ და ხეც, რომელსაც ვრგავთ. ბუნების სილამაზე ამ ქალბატონმა მაგრძნობინა. მან გვასწავლა, რომ ადამიანი ბუნებას უნდა იცავდეს.

სრულიად გამორჩეული ადამიანი გახლდათ ქართულის მასწავლებელი ფატი კურტანიძე. ჩვენი ნაცნობობა ადრევე შედგა – ლექსებს ვაქვეყნებდი. ხაშურში ლიტერატურა მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ ადამიანს, მათ შორის, ფატისაც აინტერესებდა. ეს არ იყო მოსწავლისა და მასწავლებლის ჩვეულებრივი ურთიერთობა. მან ადამიანად გამზარდა და დღემდე ვმეგობ-

ფოტო სასკოლო ალბომიდან

რობთ. საოცრად მოკრძალებული ადამიანია. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. თავის დროზე უნივერსიტეტდამთავრებული, ძალიან კარგი ფილოლოგი, რომელსაც თბილისში დარჩენის ყველა პირობა ჰქონდა, ხაშურში დაბრუნდა... მისი სახლი მოსწავლეების სახლიც იყო. მაშინ ისეთ ასაკში ვიყავით, როცა უამრავი პრობლემა მძაფრად გვაწუხებდა და ფატი მასწავლებლისთვის მათი გაზიარება ბიჭებსაც კი თავისუფლად შეგვეძლო. ფატი მასწავლებელი ბევრს კითხულობდა და რა თქმა უნდა, საპროგრამო მასალასაც გვთხოვდა, მაგრამ ყველაზე საინტერესოს გაკვეთილის ბოლო 15 წუთისთვის მოიტოვებდა ხოლმე და ლიტერატურაზე გვესაუბრებოდა, აზროვნებას გვაჩვევდა. მას კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა: ყურადღებით და მოთმინებით მოისმენდა ყველას აზრს (წარმოიდგინეთ, მაშინ რა აზრებს ვაფრქვევდით!) და თუ მიუღებელი იქნებოდა რაიმე, ძალიან ფრთხილად მიგვითითებდა ამაზე.

მეათე კლასში რომ ვიყავი, ფატი მასწავლებელმა ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი" მათხოვა და შემაგულიანა, წაიკითხე ძალიან კარგი მწერალიაო. თავიდან შეიძლება გაგიჭირდეს, მაგრამ თუ გაუგე, ვეღარასოდეს მოშორდები. აბა, ნახე და მერე ვილაპარაკოთო!

„ბორიაყთან" ურთიერთობა მართლაც განსაკუთრებულად გამიძნელდა. დავიწყებდი, ორსამ ფურცელს წავიკითხავდი და თავს ვანებებდი. დავაპირე, წიგნი მასწავლებლისთვის დამებრუნებინა, მაგრამ ფატიმ მითხრა: რამდენ ხანსაც დაგჭირდება, გქონდეს, როცა წაიკითხავ, მაშინ დამიბრუნე. სამაგიეროდ, მივხვდები, ამასობაში იზრდები თუ არაო...

მოკლედ, თითქმის ნახევარი წელი ვიწვალე და უცებ, ერთ საღამოს, როცა მეგონა, „ბორიაყის" მორიგი, უშედეგო კითხვა დავიწყე, ნაწარმოებმა გამიტაცა. თავი მხოლოდ გამთენიისას ავწიე, სრულიად გაოგნებული ვიყავი იმ შთაბეჭდილებით, წიგნის წაკითხვამ რომ მომანიჭა. ეს იყო არა იმდენად ნამდვილი მწერლის აღმოჩენის სიხარული, რამდენადაც სიხარული იმისა, რომ ამ მწერალმა თავის სულიერ სივრცეში შემიშვა, ამის ღირსად მცნო და უამრავ საიდუმლოს მაზიარა. ეს დიდი მეგობრის პოვნის შვება იყო, მეგობრის, რომელთანაც მასწავლებელმა შემახვედრა.

ერთი შემთხვევაც მახსენდება: სკოლაში გვყავდა სასწავლო ნაწილის გამგე თამაზ ლომიძე, რომელსაც ბავშვები, სიმკაცრის გამო, „ვასმოი პოლკს" ვეძახდით. კუკარაჩასავით დაგვდევდა კუდში. სამწუხაროდ, სიგარეტის მოწევა ადრე დავიწყე. ერთხელ ბიჭები სკოლის საპირფარეშოში ვეწეოდით, „ვასმოი პოლკმა" რომ მოგვაგნო და ყურებით გამოგვიყვანა. რაც მთავარია, მშობელთა კრებაზე, სადაც, ვიცოდი, სიგარეტის გამო ძალიან მომხვდებოდა, შეშინებულმა ჩემზე ერთი წლით უფროსი დისშვილი მივიყვანე.

სკოლის გარდა, გამიმართლა უნივერსიტეტშიც. იქ ბევრი ისეთი ადამიანი შემხვდა, რომლებიც ჩემი მასწავლებლები იყვნენ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მათ შორის, მაია ანდრონიკაშვილი და ნინო კახიანი უნდა დავასახელო.

შემდეგაც ბევრი კარგი პედაგოგი მყავდა, მაგრამ მინდა, განსაკუთრებით ორი მათგანი გავიხსენო. დაუვიწყარია ჩემთვის ქალბატონ თინა მარგველაშვილის ლექციები. უმკაცრესი ლექტორი იყო, თუმცა გარეგნული სიმკაცრის მიღმა, შინაგანად, ძალიან პატიოსანი და გულჩვილი ადამიანი. მისი წაქეზებითა და შეგულიანებით ვაკეთებდი, თუ რამ გავაკეთე აქამდე. მათ შორის, ჩემი თარგმანები: „ქილილა და დამანა" და „ყურანი". „ყურანი" სწორედ ქალბატონი თინას დაჟინებული თხოვნით ვთარგმნე.

ასევე, განუმეორებელი იყო ქალბატონი ნანა ფურცელაძის ლექციები. ის არაბულ ლიტერატურას მიკითხავდა და ეს ლექციები იმის ნიმუში იყო, როგორ უნდა იცოდეს ადამიანმა თავისი საქმე, როგორ უნდა ერკვეოდეს ყოველ ნიუანსში. დიდხანს სიცოცხლე მინდა ვუსურვო ქალბატონ ნანას, რათა კიდევ ბევრი თაობის აღზრდა შეძლოს".

გიორგი ლობჟანიძე „ყურანით" ხელში

რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძე,
კომპოზიტორი:

„ადამიანის ცხოვრება დიდად არის დამოკიდებული მასწავლებელზე. კარგმა მასწავლებელმა შეიძლება, აგარჩევინოს საქმე, შეგაყვაროს საგანი, რომელსიც შენს ოჯახში ტრადიციული არ არის.

სხვათა შორის, მასწავლებლის პროფესიას ადამიანი, ხშირად, თავისი მასწავლებლის სიყვარულით ირჩევს.

მე, პირადად, ჩემი ყველა მასწავლებელი მახსოვს. დედაც პედაგოგი მყავდა, ისტორიკოსი. პედაგოგის ოჯახში გავიზარდე და ყოველთვის ძალიან კარგად მესმოდა მათი.

დაწყებითი განათლება ზესტაფონში მივიღე. მახსენდება ძალიან მოკრძალებული, არცთუ ხნიერი, მაგრამ ჭაღარათმიანი ქალი – თამარ აბაშიძე. მისგან ხმამაღალი სიტყვა არასოდეს გამიგონია. მშვიდად, წყნარად ხსნიდა გაკვეთილს. ყველაფერს აკეთებდა, რათა მოსწავლეს მეტი ესწავლა. თავის საქმესა და მოსწავლეებზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი იყო.

ასევე, დაწყებით კლასებში მასწავლიდა ელენე თუთბერიძე, სკოლის დირექტორი და სოლფეჯიოს მასწავლებელი. თუ ვინმეს მუსიკის სწავლის სურვილს შეამჩნევდა, ყოველმხრივ ხელს უწყობდა.

ზესტაფონში სწავლისას თბილისიდან, სამინისტროდან ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე. ერთხელ ერთი სტუმარი გაკვეთილზე შემოიყვანა დირექტორმა. ამ ქალბატონს მოვეწონე და მირჩია, ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში (ნიჭიერთა ათწლედში) გამეგრძელებინა სწავლა, რაც ჩემთვის ძალიან დიდი სტიმული იყო. ეს ქალბატონი აღმოჩნდა ნათელა კენჭიაშვილი, ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი. ჩამოვედი თბილისში და მე-7 კლასიდან სწავლა ნიჭიერთა ათწლედში განვაგრძე. ნათელა კენჭიაშვილის მოსწავლე ვიყავი. გამიმართლა, რადგან ქალბატონი ნათელა არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მე მას მეორე დედას ვეძახდი. გასტროლებზეც ერთად დავდიოდით.

ძნელადაღსაზრდელი და მოუსვენარი ბავშვები, ცხადია, ჩემს დროსაც იყვნენ და ყოველთვის იქნებიან. არც ერთი ჭკვიანი და გამოცდილი მასწავლებელი არ იტყვის, მე როგორიც ვარ, აი, ასეთი დაბრძენებული უნდა იჯდეს ბავშვი გაკვეთილზეო. ეს შეუძლებელია! ბავშვმა კიდეც უნდა იცელქოს, კიდეც უნდა იცუღლუტოს... მუსიკა ისეთი დარგია, სისტემატური შრომაა საჭირო. ზოგჯერ ხუთ საათს ვმეცადინეობდი, მაგრამ მერე მაინც მეგობრებთან ერთად მივდიოდი გასართობად.

მასწავლებელმა საკუთარი ბავშვობაც უნდა წარმოიდგინოს, თავისი ახალგაზრდობა. განა თავად ბრძენი დაიბადა?

მე კომპოზიტორი ვარ, მაგრამ კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, მუსიკალურ სკოლაში პედაგოგად დავიწყე მუშაობა. და პირველი გაკვეთილი ჩავატარე ზუსტად ისე, როგორც მე ჩამიტარა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა. დღესაც, ამდენი ხნის მერეც ყოველ ახალ მოსწავლესთან ის ჩემი პირველი გაკვეთილი მახსენდება.

პედაგოგიური მოღვაწეობისას ხშირად შემხვედრია ბავშვი, რომელსაც კარგი მონაცემები ჰქონია, მაგრამ მოსულა ისეთიც, რომელიც ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ამიმღერებია, მერე სცენაზეც გამოსულა. ნიჭს ხომ გამოღვიძება უნდა.

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, სიმკაცრეზე მეტად პატივისცემის გრძნობა უნდა იყოს. ვისაც ბავშვები არ უყვარს, ნუ აირჩევს მასწავლებლის პროფესიას. მთავარია, საქმე, რომელსაც ირჩევ, სიყვარულით აკეთო“.

■

მოამზადეს ირმა კახურაშვილმა და ირაკლი კოპალეიშვილმა

რუსუდან კაიშაური

„არ მაქვს ბიოგრაფია, რადგან ასეთი ვიყავი მუდამ – ჩუმი... თუ ცხოვრება იყო დაყრუებული“, – წერს პირველი წიგნის შესავალში რუსუდან კაიშაური. ის მართლაც ასეთია, საქმეს ჩუმად და უხმაუროდ აკეთებს, არასოდეს გამძიმებს, პირიქით, უსაზღვრო ოპტიმიზმით შენშიც იმედის გაღვივებას ცდილობს.

დაიბადა თბილისში, 1957 წლის 20 აპრილს. დაამთავრა თბილისის 62-ე საშუალო სკოლა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა სკოლაში, განათლების სამინისტროში, ახლა „კავკასიურ სახლში“ მოღვაწეობს.

მხოლოდ ხუთი კარგი შვილის დედობაც საკმარისი იქნებოდა, რუსუდან კაიშაურზე რომ გვესაუბრა. მისი შვილები, მართლაც, გამორჩეულები არიან. გაგიკვირდება კიდეც, როგორ გაზარდა დღეს თბილისში მარტოხელა ქალმა ასეთი შვილები. ბავშვები ხომ სულ პატარები იყვნენ, მამა რომ გარდაეცვალათ.

ახლა დიტო სტუდენტია, ცაცა – აბიტურიენტი, ელისო, თემური და ეკა – სკოლის მოსწავლეები.

რუსუდან კაიშაურს კი სითბო და სიყვარული სხვებისთვისაც ჰყოფნის. ის „კავკასიურ სახლთან“ არსებული შაბათ-კვირის სკოლის ხელმძღვანელი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მანამდე პროექტ „კავკასიოლოგიური უნივერსიტეტის“ მსმენელებსაც უკითხავდა ლექციებს.

„იცი, როგორ მომაკლდა რუსიკოს ლექციები“, – თქვა ამას წინათ ერთ-ერთმა ყოფილმა სტუდენტმა. რუსიკო პოეტია. პოეტია ყოველდღიურ ყოფასა თუ აუდიტორიაში. მის გაკვეთილებზე ყოველთვის რაღაც ახალს და საინტერესოს გაიგებ. ერთხელ თუ მოუსმენ, აუცილებლად მოგენატრება.

ასეთია მისი პოეზიაც.

„რუსიკოს ლექსები ყველა თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსებისგან იმდენად გამოირჩევა, რომ ერთი სტრიქონიც არ გამახსენებს სხვას... ძალიან კარგი დედა, ძალიან კარგი პოეტი, ძალიან კარგი მასწავლებელი... ერთი სიტყვით, რუსუდან კაიშაური ნამდვილი საოცრებაა“ – წერს მწერალი ნაირა გელაშვილი.

„მასწავლებლების შემოქმედებაში“ სწორედ რუსუდან კაიშაური გვინდა გაგაცნოთ. მას ორი პოეტური კრებული აქვს გამოცემული („ლექსები“ 2002 წ. და „ცოცხების გადაფრენა“ 2004 წ.), მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ესტონურ, აზერბაიჯანულ და ფრანგულ ენებზე.

რუსუდან კაიშაური მოსწავლეებთან და შვილთან ერთად

გასეირნება ჩემში

სრული ბიოგრაფია

არ მაქვს ბიოგრაფია, რადგან ასეთი ვიყავი მუდამ – ჩუმი... თუ ცხოვრება იყო დაყრუებული? ჩემი მოძრაობები ჰგავდა: ევას საქციელს, აბელის წესიერებას, ძე შეცდომილის სინანულს, იობის ტანჯვას, მოგვის თაყვანისცემას, მაგდალინელის მოქცევას, ეკლესიასტეს ოპტიმიზმს, აღდგომის აღტაცებას; კიდევ – ფიროსმანის მრავალშვილიანი დედის მზერას. ახლა ის სისხლი, რომელიც სხეულში მაქვს, მელანია.

პოეზია – ჩემი სისხლის დაავადებაა და გარეგნულად დამემჩნა.

მთვარის სონატა

თვით სიყვარულიც ვერ გამოხატავს იმ ურთიერთობის შინაარსს, რაც ჩვენ შორის გაჩენილა. ესაა მასწავლებლისა და მოსწავლის გამოუთქმელი ურთიერთობა. თუნდაც მწარედ დავბერდე, მაინც მის მოსწავლედ დავრჩები და ეს მესიამოვნება. ზოგჯერ მგონია, მოვპარე მას ის, რის გამოც ვეღარასოდეს დამკარგავს. თუ ასეა, მიყოჩაღია, მე!

ღრუბელივით შევიწოვე ყველა მისი ნათქვამი, უბრალოდ ნასროლი სიტყვაც და ახლა ხელი ოდნავაც რომ მომიჭიროთ – ნაირა გელაშვილს დავწერ.

რუსუდან კაიშაური მოსწავლეებთან ერთად

ბებიის გახსენება

ჩემი ბებია ვარდების გაშლას
უყურებდა, როგორც პორნოსერიალს.
იგი, ვით ძაფის თეთრი გორგალი
მცირდებოდა,
ვიქსოვებოდი მე ვარდის ეკლებით.
ბებია ეხლა ჩემს ლექსებში გაფანტულია.
ის იმალება ჩემი კაბის
ათას ნაოჭში
და მარგალიტის მძივებშია
ის გატრუნული.
ჩემი თავიდან უკვე
თეთრმა თმებმა ამოხეთქეს.
ბებია ყველაზე უკეთ იქ დამემალება.

გეოგრაფია

შვილებისთვის მე რუკა ვარ,
ჯოხით შემოხაზავენ გულს.
ხელით მიფარავენ პირს და
სხვა საჩოთირო ადგილებს.
თვალებს მიტრიალებენ მრგვალებს
და ჩემი მოთმინების ეშინიათ.
სახლში მე ჭუჭყიან კედელს ვმალავ,
როცა გაკრული ვარ,
მაგრამ ცაშიც შემიძლია გაფრიალება.
საყრდენი მეცლება, როცა შვილები
ჩემგან ქაღალდის გემს აკეთებენ
გეოგრაფიაში სამოგზაუროდ.

სიზმარი

ვწუხვარ და თვალებს ვიხატავ ღამით,
მე მერე ფიქრის ვიქცევი ხიზნად.
და თავად ჩემზე ათასჯერ ღარიბს,
მადლობას ვწირავ გულკეთილ სიზმარს.
ტყუილი როდი უჯდება ძვირი,
ოთახი ჩემი სავსეა ლანდით.
ტყუილი, როგორც ბრჭყვიალა მძივი
მკიდია ყელზე და ველი ნამდვილს..
ყვავილს უჭირავს ეს ჩემი სახლი,
წელიწადს მოჰყავს სტუმარი ოთხი.
ოთხივე თავებს მიწამდე დახრის
და მოსცილდება ჩემს სარკმელს ოხვრით.
ჩემს სახლს ცხენივით ახსნის იმედებს
და მერე ღამეს უჭირავს თოკი.
ღმერთსა და ლოდინს ისე მივენდე,
ველარც ვიგრძენი, თუ როგორ მოვკვდი.
არ გამწყვეტია სიტყვა და ფიქრი,
კვლავ ერთგულებას ვიქებდი ჩემსას.
და განვაგრძობდი სიცოცხლეს იქით,
ვჭვრეტდი დიდი ხნის დაკარგულ ფერსაც.
დარდივით აწვა ზამთარი ბაღნარს,
ლოყაზე ცივად მადებდა ლოყას.
და მე ვიგრძენი უეცრად დაღლა,
სიკვდილიც თითქოს ამ ზამთარს მოჰყვა.
და მომეჩვენა ლოდინი ბარგად,
უცხო რამ იყო აწ ჩემი მიხვრა.
დილა გავწიე, ვით თეთრი ფარდა,
რომ დავმორჩილდე და ვიქცე თიხად.
მაინც რა უცებ გამწირა ღმერთმა...
ის ვარ, მის თვალში, ვინც არად ფასობს,
რომ ჩემი დიდი სათქმელი მეთქვა,
მე აღარ მეყო ძალა და სასო.

ტერენტი გრანელი

მთვარის მზესუმზირაა
ტერენტი გრანელი
და სიყვითლეშეპარული ლამპა
დღეებს ყლაპავს.
ჩუმად უთვალთვალებდა პოეტი
გახდილ მიწას,
რომელიც წვიმის ქვეშ
ახლაც ბანაობს...
ავად გახადა გრანელი ნიჭმა,
ცხოვრება აციებდა,
როგორც მარაო.
ხოლო ლექსების ალბომია
ყვითელი ფოთლების თაველი,
ანუ ზამთარმა გაიღიმა.
მხიარული ზამთარია
ტერენტი გრანელი,
მან თოვლზე გაიარა
და თოვლმა ველარ იცნო თავი,
ფიფქი მოხუცებულიყო
და კანკალებდა:
„მე რომ გაფრენა
არ შემიძლია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“.

უბრალო ცხოვრება

ნიჟარაში ჩავიკეტე.
მშვიდობით, ჩემო
უბრალო ცხოვრებავ,
მარგალიტობას ვიწყებ.

რა ჯდება ლექსი?

რა ჯდება ჩემი ლექსი?
შვილის ცრემლი, ჩემი გაბუტვა.
მატარებელივით კისრის დაგრძელება
და უბოდიშო კივილი.
ყველა მოვლენა, რაც მიყვარდა,
გრძნობისნაირი ღამეც კი –
მასხრად აგდებული;
ყეფით გამსკდარი ტელევიზორი,
როგორც სული,
თავისზე ვიწრო ყალიბში ჩაჭედილი;
სიკვდილის კამარას ძლივს აცდენილი ხელი,
რომ არ მოქმედებს არავის რჩევით.
რა ფასად გავყიდო ლექსი,
რომელსაც თითები ოდნავ რომ მოვუჭირო,
სისხლი გამოუვა ჩემი.

მასწავლებლის წიგნის თარო

პაატა სირბილაძე

ხშირად მომისმენია, როგორ გამოთქვამენ სინანულს უფროსი თაობის ადამიანები მასწავლებლის პროფესიის არსებული სტატუსის გამო და, რასაკვირველია, „ძველ, კეთილ დროებას“ იხსენებდნენ, როდესაც მასწავლებლის ავტორიტეტი შეურყეველი იყო, ხოლო მის მიმართ სიყვარული და პატივისცემა მოსწავლეს ერთგვარად აკეთილშობილებდა. საუბარი, როგორც წესი, ახალი თაობის მანკიერებებზე მსჯელობით მთავრდებოდა და ბანალური „ეს რა თაობა წამოვიდა“-ს გარდა, მეხსიერებამ ასეთი ფრაზებიც შემოინახა: „მასწავლებელს ბუნებრივი მოთხოვნილება თუ ჰქონდა, ვერც წარმოვიდგენდი“, „მასწავლებლის სიტყვა კი არა, გამოხედვაც ხმას ჩამაგდებინებდა ხოლმე, ახლა კი ის ერთს ამბობს და ბავშვი ათს პასუხობს“ და ა.შ.

მსგავსი საუბრების მომსწრე და მონაწილე არაერთხელ გავმხდარვარ ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან დღემდე. არც პათოსი იცვლება, არც – შინაარსი, ტენდენცია კი ასეთია: მასწავლებლები სულ უფრო და უფრო დაუცველები ხდებიან. ბუნებრივია, სადაც დაზარალებული მხარე არსებობს, იქ უეჭველად იქნება პასუხისმგებელი მხარეც, რომლის მოსაძებნად შორს წასვლა ნამდვილად არ გვჭირდება: ოჯახი, სახელმწიფო, საზოგადოება.

ოჯახი ბავშვს აღზრდასა და ყურადღებას აკლებს, სახელმწიფომ მასწავლებელი სოციალურად დაუცველ ფენად აქცია, საზოგადოება კი მთლიანად სოციალურ პრობლემებზე გადაერთო და მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლებას



პრიორიტეტულ მოთხოვნად აღარ განიხილავს – პრობლემებები მრავლადაა, გამოსავლის პოვნა კი არც ისე ადვილია. რა თქმა უნდა, ამ პრობლემების გადაჭრის აუცილებელი პირობა მათი ცალსახად, ზუსტად და მკაფიოდ ფორმულირებაა, რომლის დროსაც უამრავი ასპექტია გასათვალისწინებელი: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული და ა. შ. ამ სფეროში ჩატარებული სამეცნიერო და სოციოლოგიური კვლევების მწირი მასალები აქა-იქ არის მიმობნეული. მათი შეკრება და სისტემატიზაცია აუცილებელია, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ საკვლევია.

ამ სტატიის ძირითადი მიზანი სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემატიკის წინ წამოწევაა.

დავიწყოთ ისტორიული ასპექტით: პედაგოგიკა – უძველესი ტერმინია და მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან paidagogos. *país* – ბავშვი, agogos – გამყოლი. პედაგოგი, პირდაპირი მნიშვნელობით, „ბავშვის გამყოლს“ ნიშნავს. ძველ საბერძნეთში პედაგოგს იმ მსახურს უწოდებდნენ, რომელსაც ბატონის შვილის აღზრდა ევალებოდა, რაც სკოლასა და გიმნაზიუმში მის წაყვანას გულისხმობდა. მოგვიანებით ტერმინმა უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა. პედაგოგიკის ისტორიაც კაცობრიობის განვითარების განუყოფელ ნაწილად იქცა. დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად პედაგოგიკა მე-17 საუკუნეში ჩამოყალიბდა, რაშიც დიდი როლი ითამაშა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრენსის ბეკონმა, დარგის ფუძემდებლად კი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი ითვლება. სწორედ მისმა შრომებმა აქცია პედაგოგიკა მეცნიერების დარგად.

სწავლებისა და აღზრდის მეთოდოლოგიაში ნოვატორული იდეებისა და თეორიების დამკვიდრების გარდა, კომენსკის დამსახურებაა სასწავლო პროცესის სისტემატიზაციისა და სტანდარტიზაციის მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმაც. იმისათვის, რომ განათლება მეტი ადამიანისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, იმ დროს არსებული სწავლების ინდივიდუალური პროგრამების ნაცვლად, ჩეხმა პედაგოგმა საკლასო-საგაკვეთილო სწავლების სისტემა შეიმუშავა: 6 წლამდე ბავშვებს ე.წ. „დედობრივი სკოლა“ უნდა გაევლოთ (ანუ აღზრდა-განათლება ოჯახში დედის ხელმძღვანელობით უნდა მიეღოთ), 6-დან 12 წლამდე კი

„მშობლიური ენის სკოლა“ (მშობლიური ენის შესწავლა, არითმეტიკა, გეომეტრიის ელემენტები, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველების საფუძვლები, საღმრთო წერილი, უმთავრესი ხელობების გაცნობა), ხოლო დიდ ქალაქებში, 12-დან 18 წლამდე განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეებისთვის, „ლათინურ სკოლას“ ან გიმნაზიას ხსნიდნენ. ამასთან, კომენსკის აზრით, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა ყოფილიყო აკადემია ან უმაღლესი სკოლა, სადაც 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები ისწავლიდნენ.

ნიშანდობლივია, რომ კომენსკის მიერ განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფები საოცარი სიზუსტით ემთხვევა ბევრ წამყვან ქვეყანაში დღეისთვის შემოღებულ დაწყებითი, საშუალო-საბაზისო და უმაღლესი განათლების ასაკობრივ ჯგუფებს. მას, როგორც დიდი გამოცდილების პედაგოგსა და მეცნიერს, რომელიც ცოდნის მიღების სამ ძირითად წყაროს გამოყოფდა: ემპირიულს, მეცნიერულსა და პრაქტიკულს, სწორედ ემპირიულმა დაკვირვებებმა, მეცნიერულმა ანალიზმა და პრაქტიკაში მიღებულმა ცოდნამ მისცა საშუალება, ასაკობრივი ჯგუფებისა და სწავლების ისეთი სისტემა შეექმნა, რომელმაც ოთხი საუკუნის გამოცდას გაუძლო.

სწავლებისა და აღზრდის სფეროში არსებული ამოცანები მუდმივად იცვლება. აქ საკლასო-საგაკვეთილო სწავლების ზოგად სისტემასა და ასაკობრივ ჯგუფებთან ერთად, უდიდეს როლს თამაშობენ მეთოდები, რომლებიც კომენსკის ეპოქიდან დღემდე საგრძნობლად იხვეწებოდა, ასევე მუდმივად იცვლებოდა, ივსებოდა და ფართოვდებოდა სასწავლო პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ კომენსკის გავლენა მსოფლიო პედაგოგიკაზე უმნიშვნელოვანესია, ხოლო მისი დიდაქტიკური მეთოდები ახლაც გამოიყენება სწავლების თეორიებში, უამრავი ფაქტორიდან გამომდინარე (რომელთაგანაც საკმარისია, გამოვყოთ: ტექნიკური პროგრესი, ფილოსოფიური აზრის, კულტურისა და მეცნიერების განვითარება, დასავლეთში ლიბერალური დემოკრატიის იდეების გამარჯვება), სწავლების თანამედროვე მიდგომა და თეორიები თვისობრივად განსხვავდება არა მხოლოდ 400 წლის წინანდელი მეთოდებისგან, არამედ იმათგანაც, რომლებიც წინა საუკუნეში პროგრესულად ითვლებოდა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეულ კულტუროლოგიურ წრეებში მეტად პოპულარული გახლდათ მეტაფორა სამყაროსა და ტექსტის შესახებ: სამყარო შეიძლება გიგანტურ ბიბლიოთეკად განვიხილოთ, რომლის წაკითხვაც შესაძლებელია, თუ ის ენები და ნიშანთა ერთობლიობები ვიცით, რითაც არის შედგენილი ბიბლიოთეკის ტექსტები. თუ ამ აზრს განვავრცობთ, იოლად მივალთ შემდეგ დასკვნამდე: ადამიანის პირადი ბიბლიოთეკა, გარკვეულწილად, მისივე სამყაროა.

როდესაც სქელტანიანი ყავისფერი წიგნი „პედაგოგიკის ისტორია“ (გამომცემლობა „განათლება“, რედაქტორი პროფ. ნათელა ვასაძე, 1988 წ.) გადმოვიღე დედაჩემის, იმ დროს უკვე 20 წლის სტაჟის მქონე მათემატიკის მასწავლებლის ბიბლიოთეკის თაროდან, რასაკვირველია, მისი სამყაროს გაშიფვრაზე ნაკლებად ვფიქრობდი. უბრალოდ, ამ წიგნის გვერდით ს. თოფურიას ცნობილი მათემატიკური ამოცანების კრებულის პირველი და მეორე ტომები იდო, რომლებიც ხშირად მჭირდებოდა. ამ წიგნების სქელტანიანმა მეზობელმა ბოლოს და ბოლოს ჩემი ყურადღება მიიპყრო. როგორც წესი და რიგია, ჯერ შესავლის კითხვა დავიწყე. „პედაგოგიკის ისტორია შეისწავლის სკოლისა და პედაგოგიური იდეების განვითარების პრობლემებს, აჩვენებს კლასობრივ საზოგადოებაში აღზრდის კლასობრივ ხასიათს, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობებით აღზრდის შინაარსს და მიმართულებების განპირობებულობას“ – ამ დებულებას მოჰყვებოდა ციტატები ლენინისა და მარქსის თხზულებებიდან და შემდეგი აბზაცი: „პედაგოგიკის ისტორიის ამ სახელმძღვანელოში წარსულის პედაგოგიური ფაქტები და მოვლენები განხილული და შეფასებულია მაქრსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის პოზიციებიდან, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესების თვალთახედვით“. ეს ყველაფერი დღევანდელ მკითხველში ირონიულ-ნოსტალგიურ ღიმილს იწვევს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს 1989 წლის მიწურულს ვკითხულობდი. მაშინ ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა ძალას იკრებდა. მეც, მე-8 კლასის მოსწავლეს, უკვე საკმაოდ (თუმცა ბოლომდე არა) შერყეული მქონდა კომუნისტური იდეალების რწმენა და ამ შესავალმა საკმაოდ გამაღიზიანა. წიგნი ალაგ-ალაგ გადავიკითხე. იმ ნაწილშიც კი, რომელსაც „საზღვარგარეთული პედაგოგიკის ისტორია“ ერქვა, ავტორები ვირტუოზულად ახერხებდნენ აქა-იქ შემთხვევით გაპარული ფაქტობრივი მონაცემები ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკით გადაეფარათ. წიგნის ყველა გვერდი და აბზაცი კლასობრივი ბრძოლის პერმანენტულ ბატალიებს გადაესერა, რომელშიც გარდამავალი წარმატებით იმარჯვებდა უკლასო საზოგადოებაში ისტორიულ მატერიალიზმამდე ათასწლეულობით ადრე „შრომის, როგორც სიცოცხლის ძირითადი პირობის მიერ შექმნილი ჰომოსაპიენსი – ადამიანი“. რასაკვირველია, ენგელსის ეს ცნობილი ციტატა თვალსაჩინო ადგილას მოეთავსებინათ წიგნის ავტორებს.

„პედაგოგიკის ისტორია“ სწრაფად დაუბ-

რუნდა თაროს, მაგრამ დედაჩემის პირადი ბიბლიოთეკის „არამათემატიკური ნაწილის“ შესწავლის სურვილი პირველმა უიღბლო მცდელობამ ვერ გამიქრო. კიდევ ერთი წიგნი, რომელიც „პედაგოგიკის ისტორიის“ უშუალო სიახლოვეს მოეთავსებინათ, იან ამოს კომენსკის შესახებ დავით ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი მონოგრაფია გახლდათ. მახსოვს, ის დიდი ინტერესით წავიკითხე. მასში ისტორიულ-პოლიტიკურ ფონსა და კომენსკის ბიოგრაფიასთან ერთად ნათლად და გასაგებად იყო გადმოცემული ჩეხი მეცნიერის თეორიები და მეთოდოლოგია. განსაკუთრებით საინტერესო სწორედ მასწავლებლის შესახებ გამოთქმული აზრები ჩანდა, რასაც მან ფუნდამენტური თხზულების „პომპედიის“ მთელი თავი მიუძღვნა: მასწავლებელი უნდა ფლობდეს პედაგოგიკის თეორიებს, უყვარდეს თავისი საქმე, მოსწავლეები უნდა მიაჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებას და ხელს უწყობდეს მათ გაზრდას დამოუკიდებელ, შემოქმედებით ადამიანებად.

კომენსკის შესახებ მონოგრაფიაში უამრავი რამ გახლავთ საყურადღებო, თუმცა 1964 წელს გამოცემული ამ ფუნდამენტური ნაშრომის ტირაჟიც დამაფიქრებელია: 1000 ეგზემპლარი. დღეს მსგავსი ტირაჟით გამოსულ წიგნს ბესტსელერს უწოდებენ. უნდა გავითვალისწინოთ, ვისთვის არის იგი განკუთვნილი (70 ათასზე მეტი რეგისტრირებული მასწავლებელი) და „პედაგოგიკის ისტორიის“ 15-ათასიან ტირაჟს შევადაროთ. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში დიდი ტირაჟით პედაგოგიური თეორიებისა და მეთოდიკის სახელმძღვანელოები კი არა, ბულვარული რომანებიც არ გამოსულა, ადვილი წარმოსადგენი გახდება, რა სახის მეთოდური სახელმძღვანელოებით არის დაკომპლექტებული თანამედროვე მასწავლებლის „პირადი ბიბლიოთეკა“.

ნიშანდობლივია, რომ „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ ეპოქაში გამოცემულ ისტორიულ მონოგრაფიაში ერთხელაც არ უხსენებიათ მე-20 საუკუნის ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორებიც არიან: პიაჟე, ვიგოცკი და სხვები. მათ ნაცვლად ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმართულებების კრიტიკაა მოცემული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნეოთომიზმის პედაგოგიურ დოქტრინას, რომლის მომხრენიც თანამედროვე პედაგოგიურ თეორიებთან შუა საუკუნეების ღვთისმეტყველის თომა აქვინელის შეხედულებათა სისტემის მისადაგებას ცდილობენ.

„პედაგოგიკის ისტორიაში“ წამყვანი ადგილი უჭირავთ ისეთ მასშტაბურ მოღვაწეებს, როგორებიც არიან: ვ.ი. ლენინი, ნ.კ. კრუპსკაია, მ.ი. კალინინი, ა.ს. მაკარენკო, ვ.ა. სუხომლინსკი, რომელთა ათეულათასობით ტირაჟიანი ტომები ან დიდი ხნის წინ ჩააბარეს მაკულატურაში, ან ისევ მასწავლებლების წიგნის თაროებს ამძიმებს.

ამ ყველაფრიდან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ბავშვთან მუშაობისას თანამედროვე მასწავლებელი არჩევნის წინაშე დგას: ერთი მხრივ, მას შეუძლია იმ მეთოდიკით იხელმძღვანელოს, რომლის მიხედვითაც ბავშვის აღზრდა, უკეთეს შემთხვევაში, კლასობრივი ბრძოლისთვის მის მომზადებას ნიშნავს (უარეს შემთხვევას იოლად წარმოვიდგენთ, თუ გავიხსენებთ: ათწლეულების მანძილზე მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კლასში შედიოდა, როგორც ბელადი-მოძღვრის, მუმიფიცირებული ფარაონის ქურუმი-ადეპტი და მისი იდეოლოგიის გამტარებელი). მეორე მხრივ, მასწავლებელს შეუძლია გვერდზე გადადოს ყველანაირი თეორია, მოძღვრება-სწავლება და საკუთარი თანდაყოლილი უნარის, გამოცდილებისა და დაკვირვებების საფუძველზე შეიქმნას ის, რაც ფართოდ გავრცელებულ მეთოდოლოგიას შეუცვლის. რასაკვირველია, მასწავლებელთა უმრავლესობა ასეც იქცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანდათან სწავლების ინდივიდუალურ მეთოდებსა და პროგრამებს მიენიჭება უპირატესობა, რომელთა ჩანაცვლება ჯერ კიდევ 400 წლის წინ დაიწყო ერთიანი, სისტემატიზებული მეთოდიკითა და პროგრამებით. ამავე დროს, მასწავლებელთა დიდ ნაწილს, ანუ იმ ადამიანებს, რომელთაც პედაგოგის ნიჭი დედის მუცლიდან არ დაჰყვა (თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, კომენსკის დროიდან მოყოლებული, ნოვატორი მეცნიერ-მასწავლებლები თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ), სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, ძალიან უჭირს აუდიტორიასთან მუშაობა. ამ პროცესის თვითდინებაზე მიშვებით, საშუალოვადიან პერსპექტივაშიც კი, ადვილი შესაძლებელია, საქართველოში პედაგოგის განმარტება ნელ-ნელა მის ანტიკურ შინაარსს დაუბრუნდეს.

რასაკვირველია, მასწავლებლის სტატუსის ამაღლების ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ინსტიტუციური ხასიათის უნდა იყოს, მაგალითად, კანონმდებლობის მუდმივი დახვეწა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, ნორმალური ანაზღაურება, კეთილმოწყობილი სამუშაო ადგილები და ა.შ. მაგრამ ამ ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია, სერიოზულად განვიხილოთ „მასწავლებლის წიგნის თაროს“ საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მისი პროფესიული განვითარების პრობლემატიკას.

■

სახელმძღვანელო მასწავლებელთა დასახმარებლად

არჩილ გამზარდია

მასწავლებელთა პროფესიულმა სტანდარტმა, რომლის სამუშაო ვერსიასაც განათლების სფეროს ექსპერტები და მასწავლებლები კარგად იცნობენ, ქართულ საზოგადოებასა და პროფესიონალთა წრეში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. მასწავლებელთა ნაწილი მას აუცილებლად მიიჩნევს და მიესალმება, თუმცა, სხვების აზრით, აღნიშნული სტანდარტი მეტად მაღალია. მასწავლებლებმა პრობლემურ საკითხად ისიც დაასახელეს, რომ ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიები, რომელთა ცოდნაც მათ მოეთხოვებათ, თითქმის არ არის ქართულად ნათარგმნი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, პედაგოგთა დახმარების მიზნით, მასწავლებლის სახელმძღვანელოზე მუშაობა დაიწყო.

„სახელმძღვანელო ოთხ ნაწილად გამოიცემა და მასში ის საკითხები იქნება თავმოყრილი, რომელთა ცოდნაც მასწავლებლებს ახალი სტანდარტის მიხედვით მოეთხოვებათ: განვითარებისა და სწავლის თეორიები, სწავლება და შეფასება, სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული თემები. დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნდამენტური მიზანი აქვს: გარდა იმისა, რომ ის ინფორმაციულად უზრუნველყოფს მასწავლებელს, გამოცდილებით შეძენილი უნარების სისტემატიზაციასაც შესაძლებელს ხდის“, – ამბობს წიგნის რედაქტორი ნათია ნაცვლიშვილი.

სახელმძღვანელოზე მრავალი ავტორი მუშაობს: განათლების სფეროში მოღვაწე ფსიქოლოგები, პედაგოგიკის სპეციალისტები. ექსპერტებისგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭო შესრულებულ სამუშაოს განიხილავს და ავტორებს შენიშვნებით, კომენტარებითა და რეკომენდაციებით ეხმარება. ცენტრი რამდენიმე უცხოელ ავტორთანაც თანამშრომლობს, რომლებიც სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ნაწილზე მუშაობენ. შემდგენლები უცხოური გამოცდილების ქართულ ჭრილში გადმოტანას ცდილობენ, რაც წიგნის ეფექტურობისთვის არის აუცილებელი. ამ მხრივ, მოცემული სახელმძღვანელო ქართულ საგანმანათლებლო რეალობას პასუხობს. ცენტრის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი ქართული პედაგოგიკის მრავალწლიან გამოცდილებას ითვალისწინებენ.

ბუნებრივია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში მომზადებული ეს სახელმძღვანელო სრულყოფილი ვერ იქნება, თუმცა როგორც იმ ზოგადი საკითხების თავმოყრის პირველი მცდელობა, რომელთა ცოდნაც მასწავლებლებს მოეთხოვებათ, აღნიშნული გამოცემა უდაოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. წიგნზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება. მასწავლებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, სახელმძღვანელო საბოლოო სახეს მიიღებს, გამოიცემა და საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და რესურს-ცენტრში დარიგდება, ასევე განთავსდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე:

www.tpdc.ge

მასწავლებლისათვის საინტერესო ლიტერატურა

რას სთავაზობს დღეს წიგნის ბაზარი პედაგოგებს? ამის გასარკვევად, გამომცემლობებსა და წიგნის მაღაზიებს დავუკავშირდით. „მასწავლებლის" პირველ ნომერში ამ ლიტერატურის ნაწილს გაგაცნობთ.

განათლების სამინისტროს გამოცემები:

- ✓ ზოგადი განათლება საქართველოში, მონაცემები და მიმართულებები
- ✓ არაქართულენოვანი საჯარო სკოლების კვლევა
- ✓ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- ✓ მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია

ამ პუბლიკაციების, ასევე სხვადასხვა დებულებების, კანონებისა და ბრძანებების მოძიება შეგიძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge) და რესურს-ცენტრებში.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის გამოცემები:

- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმა (უცხო ენები – დაწყებითი/საბაზო/საშუალო)
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი/საბაზო/საშუალო)
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევები (2005-2007 წწ)
- ✓ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება
- ✓ განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის
- ✓ სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისათვის
- ✓ ინკლუზიური განათლება და საზოგადოება (კვლევის ანგარიში)
- ✓ გზა ინკლუზიისაკენ (თარგმანი)

აღნიშნული გამოცემების ნახვა შეგიძლიათ რესურს-ცენტრებში, ბიბლიოთეკებში. მათი გადმოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: www.ganatleba.org

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა:

- ✓ საქართველოს ისტორია XII — XV საუკუნეებში
- ✓ ხევსურული პოეზია
- ✓ ქართული ფოლკლორი
- ✓ მამულო საყვარელო, *ილია ჭავჭავაძე*
- ✓ ძალიან მოკლედ თითქმის ყველაფრის შესახებ, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ✓ ფსიქოლოგია, *რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო*

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა:

- ✓ შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, 2 ტომად
- ✓ განათლების მიზანი, *ნიილ პოსტმანი*
- ✓ შეთავაზება პაიდეიას შესახებ, *ორტიმერ ჯ. ადლერი*
- ✓ საგანმანათლებლო ფსიქოლოგია, *ანიტა უილ-ფოლკი*
- ✓ დემოკრატია და განათლება, *ჯონ დიუი*

თბილისის წიგნის მაღაზიებში ასევე იყიდება:

- ✓ ზოგადი ფსიქოლოგია, *დიმიტრი უზნაძე*
- ✓ პედაგოგიური ხელოვნება, *კრტე მელაშვილი*
- ✓ ბავშვთა აგრესია, *ლია ქურხული*
- ✓ ბავშვის ფსიქოლოგია, *მამია ყოლბაია*
- ✓ ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, *რუდოლფ შტაინერი*
- ✓ როგორ უნდა ბავშვის სიყვარული, *კორჩაკი*
- ✓ ბავშვის სამყარო, *ჯანა კახიანი*
- ✓ ბავშვის განვითარების ფაზები, *ლივეხუდი*
- ✓ სამკურნალო პედაგოგიური კურსი, *რუდოლფ შტაინერი*
- ✓ ბავშვები, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, *თომას ვაისი*
- ✓ ზოგადი ადამიანთმცოდნეობა, როგორც პედაგოგიკის საფუძველი, *რუდოლფ შტაინერი*
- ✓ Развитие ребенка, *Хелен Би*
- ✓ Социальная Психология, *Д.Майерс*
- ✓ Социальная Психология, *Ш.Тейлор, Л.Пипло, Д. Сирс*
- ✓ Обычные семьи, особые дети – системный подход к помощи детям с нарушениями развития
- ✓ Устронение общего недорозвития речи у детей дошкольного возраста, *Т.Б. Филичева, Г.В. Чиркина*
- ✓ Логопедическая работа по восстановлению голоса у детей, *Е.С.Алмазова*

მრავალ საინტერესო თემას აღმოაჩენთ, თუ ქართულ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებს გადახედავთ შემდეგ მისამართზე: http://gesj.internet-academy.org.ge/ge/default_ge.php

„მასწავლებელი" ეცდება, წიგნის ბაზრის სიახლეები რეგულარულად გაგაცნოთ.

მოამზადა გულიკო მჭედლიძემ

ფოტოკონკურსი



თბილისის 49-ე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის, ეთერ ნებიერიძის, ამ ფოტომ იუნესკოს 50 წლისადმი მიძღვნილ მასწავლებლთა საერთაშორისო ფოტოკონკურსზე გაიმარჯვა.

ფოტოხელოვნებით დაინტერესებული მასწავლებლების საყურადღებოდ!

ჟურნალი „მასწავლებელი“ იწყებს ფოტოკონკურსს.

გამოაგზავნეთ რედაქციაში თქვენი ნამუშევრები. საუკეთესო ფოტოები ჟურნალში გამოქვეყნდება, წლის ბოლოს კი ჟიური გამარჯვებულ ფოტოს და გამარჯვებულ მასწავლებელს გამოავლენს.

საინტერესო გამონათქვამები ცოდნასა და მასწავლებელზე

მასწავლებელი გაგიღებს კარს, რომელშიც თავად უნდა შეხვიდე

ჩინური ანდაზა

სწავლებით ვსწავლობთ – **Docendo Discimus**

სწავლება ოპტიმიზმის ყველაზე დიდი გამოვლინებაა

კოლინ უილკოქსი

ყველა საგნის სწავლების მიზანი ბავშვის გონების გაღრმავებასა და განვითარებაში მდგომარეობს

დიმიტრი უზნაძე

კარგი სწავლება სწორი შეკითხვების დასმას უფრო გულისხმობს, ვიდრე სწორი პასუხების გაცემას

ჯოზეფ ალბერსი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 58 36; ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ-ფოსტა: info@tpdc.ge www.tpdc.ge

Teacher Professional Development Center
52, Dimitri Uznadze St. 0102, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 95 58 36; Fax: (+995 32) 95 58 36
E-mail: info@tpdc.ge www.tpdc.ge